...პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 თებერვალი **ხუთშაბათი** 2011
№ 044 (13341) ფასი 60 თეთრი

# შეთამაშება გაუგრძელდათ



დინამო მეორე ეტაპზე ვერ იგებს

საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტური ↳2

## შერმადინი ტოპ 16-ში: პირველი დამარცხებაში

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ლიუბლიანის „ოლიმპია" ევროლიგის ტოპ-16-ში შინ „რომასთან" 76:87 დამარცხდა.
გიორგი შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო, 20 წუთში 10 ქულა (4-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 5 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. იგი ტოპ-16-ში დაფარებებში საუკეთესოა: საშუალოდ 2.4.
ვლადიმერ ბოისამ „ოლიმპიას" შემადგენლობაში 16 წუთში თითო მოხსნა და პასი მოაგროვა.

# რევანში გერმანულად

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ინტერმა თასი უნდა დააბრუნოს

↳9





## მშრალი ველოდრომი

### უგოლო ფრე მანჩესტერის შანსებს ზრდის

23.02. რუსთავი. ფოლადი
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 1 |
| დინამო | 0 |

1:0 მაისურაძე (30)

| ოლიმპი | დინამო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ბედიაშვილი | ლორია |
| მურველაშვილი | შ. კაშია |
| კვახაძე | კაკუბავა |
| რეხვიაშვილი | გ. კვარაცხელია |
| დობროვოლსკი | მაროვიჩი |
| რაზმაძე | ედნილსონი |
| ტყემალაძე | კოშკაძე |
| ქავთარაძე | რობერტინიო |
| დ. ბოლქვაძე | არზიანი |
| ი. მაისურაძე | ჯუისი |
| მოდებაძე | ელიჩი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. მაისურაძე | კ. კაჭარავა |

**ოლიმპი**

77. მაისურაძე - **გეწაძე**
86. ტყემალაძე - **გ. ჭელიძე**
86. ქავთარაძე - **ჯაფარიძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ლ. სეთურიძე, გორდეზიანი, უგულავა*

**დინამო**

37. არზიანი - **კვეკვესკირი**
46. რობერტინიო - **კახელიშვილი**
69. კაშია - **ლონლაძე**

*სათადარიგოები: ზარქუა, ხმალაძე, თექთურმანიძე, სიხარულიძე*

**გაფრთხილება:** ბოლქვაძე (5), რაზმაძე (18), არზიანი (20), ბოლქვაძე (26), ედნილსონი (30), კოშკაძე (34), ლონლაძე (81)
**გაძევება:** ბოლქვაძე (26).
**არბიტრი:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მონდომება VS კატასტროფა

## სტატისტიკა და ცხრილი

„ოლიმპისა" და „დინამოს" ურთიერთდაპირისპირების ისტორია მხოლოდ მეექვსე წელიწადს ითვლის და რუსთაველი გუნდის გუშინდელი გამარჯვებით ბალანსი გათანაბრდა: მეტოქეებს ხუთ-ხუთი მოგება და ოთხი ფრე დაუგროვდათ; თუმცა, „ოლიმპის" გუშინდელი წარმატება ორმაგად ფასეული იყო: რუსთაველმა გუნდმა პირველად შეძლო ერთ სეზონში ორჯერ დაემარცხებინა ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი; ამას გარდა, სტატისტიკაზე ბევრად მნიშვნელოვანი იყო გუნდების სატურნირო მდგომარეობა: „ოლიმპმა" ამ მოგებით ცხრილის პირველი ადგილი, სულ მცირე, მომავალ ტურამდე შეინარჩუნა და, რაც მთავარია, თავისი ერთ-ერთი კონკურენტი „დინამო" უკვე... შვიდი ქულით ჩამოიტოვა! რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მატჩები ჯერ წინ არის და სატურნირო ცხრილშიც ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ აშკარად აღმავლობის გზაზე მდგარი „ოლიმპი" ასეთ უპირატესობას იოლად რომ არ გაფლანგავს, ფაქტია; თანაც, „დინამოს" ბოლოდროინდელი ასპარეზობის შემხედვარე, ამ გუნდის ერთგულ ქომაგებს, ცოტა არ იყოს, პესიმისტური განწყობაც შეექმნათ. ჰო, აი ამას კი ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა: მეორე ეტაპის სტარტზე „დინამომ" 3 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 2 ქულა მოაგროვა! ასეთ შედეგს, რაღა თქმა უნდა, გარკვეული მიზეზ(ებ)იც ექნება და ყველაზე უკეთ „დინამოს" მთავარ მწვრთნელს **კახა კაჭარავას** ეცოდინება თავისი გუნდის ასეთი არადამაჯერებელი ასპარეზობის „რეცეპტი". თუმცა, „დინამოს" პრობლემები მართლაც ცალკე საუბრის თემაა და ამით სულაც არ გვინდა გასაოცარი მონდომებითა და შემართებით მოთამაშე „ოლიმპის" გამარჯვების დაკნინება; პირიქით: გუშინ მასპინძლებმა აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვეს და, იმის მიუხედავად, რომ ფაქტობრივად, ერთი საათი რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ, მეტოქეს საკუთარი თამაში მოახვიეს და შეხვედრაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

„ოლიმპის" გამარჯვებაში გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა ლომის წილი შეიტანა, მაგრამ ნურც მწვრთნელის ღვაწლი დაგვავიწყდება: ახალგაზრდა სპეციალისტმა **თორნიკე მაისურაძემ** სწორი და, რაც მთავარია, სასურველ შედეგზე ორიენტირებული ტაქტიკა დაუპირისპირა ტიტულოვან მეტოქეს და, როგორც ხედავთ, არჩევანმა გაუმართლა კიდეც!

## ეფექტიანი გადაადგილებები

ტაქტიკა ვახსენეთ და ვიდრე ტურის ცენტრალური მატჩის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, ორივე გუნდის შემადგენლობაში წინა მატჩებთან შედარებით განხორციელებულ ცვლილებებზე უნდა ვთქვათ. „დინამომ" ტრავმირებული **გულვერდ თომაშვილი** მოისაკლისა (ასევე, ავადმყოფობის მიზნით ტოვებდა მატჩს სტუმართა ახალწვეული **დიმიტრი ტატანაშვილი**) და დაცვის ცენტრში უნივერსალი **ლევან კაკუბავა** გამოჩნდა; სამაგიეროდ, სიახლე იყო დაცვის მარჯვენა ფლანგზე, სადაც გარკვეული პაუზის მერე „დინამოში" მობრუნებული **შოთა კაშია** ვიხილეთ. ისიც ცხადი იყო, რომ წინა მატჩში დაშავებული **ჰაჯიბულიჩი** „ოლიმპის" წინააღმდეგ ვერ იასპარეზებდა და სტუმართა მოედნის შუახაზს **ალექსანდრე კოშკაძე** და **ედნილსონი** ამაგრებდნენ, მათზე წინ კი **ზურაბ არზიანი** თამაშობდა. სიახლეები იყო „ოლიმპის" შემადგენლობაშიც და წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ყველა ის გადაადგილება ეფექტიანი გამოდგა! ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი მატჩის ერთ-ერთი გმირი მასპინძელთა მარჯვენა მცველი **გიორგი მურველაშვილი** გახლდათ, ვინც უმაღლეს ლიგაში თავის სადებიუტო მატჩში მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. დისკვალიფიცირებული **რევაზ ქემოკლიძის** ნაცვლად დაცვის ცენტრში **გიორგი რეხვიაშვილი** რომ გამოჩნდებოდა, ადვილად პროგნოზირებადი იყო (ეს უკანასკნელი პირველ ეტაპზე „ოლიმპის" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და მეორე ეტაპის საწყისი მატჩები დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა). თორნიკე მაისურაძემ გარკვეული გადაადგილებები შუახაზშიც მოახდინა: წინა მატჩისგან განსხვავებით ამჯერად, ძირითადში დაიწყო თამაში **ვალიკო ტყემალაძემ**, ვინც **ლუკა რაზმაძეს** შეუწყვილდა მოედნის ცენტრში; მარჯვენა გარემარბად **გიორგი ქავთარაძე** იყო გამწესებული, მარცხნივ — **ირაკლი მაისურაძე**, ხოლო გამთამაშებლად **დავით ბოლქვაძე**. აქვე, კიდევ ერთხელ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ „ოლიმპში" ჩარიცხვის მერე ბოლქვაძემ უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა; უფრო ზუსტად, ვიდრე მოედანს ორი ყვითელი ბარათის გამო დატოვებდა, ორივე გუნდის შემადგენლობაში, გამორჩეული სწორედ ეს გამოცდილი ნახევარმცველი გახლდათ...

## დებიუტანტების დღე

მატჩის დღეს რუსთავში სიცივე იყოო, რბილად ნათქვამი გამოგვივა; ჰოდა, ამიტომაც არ ველოდით „ფოლადის" სტადიონზე 1000 ქომაგის მოსვლას, რომლებსაც ნამდვილად არ უნანიათ: სანახაობრივი თვალსაზრისით ურიგო მატჩიც (განსაკუთრებით, პირველი ტაიმი) არ უნახავთ და, რაც მთავარია, „ოლიმპის" დამსახურებული და კანონზომიერი გამარჯვებითაც გაიხარეს.

მატჩი თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო და მაშინვე ნათელი გახდა, რომ უშელავათო ბრძოლის მოწმენი უნდა გავმხდარიყავით. ამასთან, მეტოქეებმა ზომაზე მეტად ხისტი ფეხბურთიც გააჩაღეს და, ალბათ, ამის გამოც იყო, მატჩის არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** პირველ ტაიმში... 6 ყვითელი ბარათი რომ უჩვენა ორივე გუნდის მოთამაშეებს. სხვათა შორის, „ოლიმპმა" შეხვედრის დასაწყისიდანვე უმკაცრეს პრესინგს მიმართა: მასპინძელთა ფეხბურთელები მეტოქის ნახევარზევე იწყებდნენ მჭიდრო მეურვეობას და ამის „პარალელურად", სახიფათო იერიშების წამოწყებაც არ ავიწყდებოდათ. პირველი სახიფათო მომენტი დავით ბოლქვაძემ შექმნა: მასპინძელთა გამთამაშებელმა 25 მეტრიდან ოსტატურად დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით გადასცდა „დინამოს" კარის ხარიხას. ამის მერე უკვე **გიორგი ლორიას** ჯერი დადგა: „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარემ ჯერ **ალექსანდრე კვახაძის** ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია, შემდეგ კი მახვილი კუთხიდან **ირაკლი მოდებაძეს** არ დაანება გოლის გატანა. ამ ორივე ეპიზოდში ბოლქვაძე აქტიურად მონაწილეობდა და აი, მაშინ, როცა „ოლიმპის" უპირატესობა თვალში საცემზე მეტი გახდა, მასპინძლები... კაცნაკლულნი დარჩნენ! ყველაფერი კი „დინამოს" საჯარიმოში მომხდარ ეპიზოდს მოჰყვა: ბურთისათვის ბოლქვაძე და **გივი კვარაცხელია** იბრძოდნენ, რის შემდეგაც მასპინძელთა გამთამაშებელი მოედანზე წაქცეული აღმოჩნდა. არბიტრმა, ალბათ, სიმულაცია დაინახა და, როგორც წესია, ყვითელი ბარათით დასაჯა, რომელიც, ბოლქვაძისთვის ამ შეხვედრაში მეორე აღმოჩნდა. ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქცია ექნებოდათ მასპინძელთა მწვრთნელ-ფეხბურთელებსა თუ ქომაგებს — შეხვედრის დამთავრებამდე ხომ საათზე მეტი დრო იყო დარჩენილი...

თუმცა, „დინამოს" თამაშს საერთოდ არ დასტყობია ეს ფაქტორი: სტუმართა შესრულებით კვლავაც უშინაარსო თამაშს და, რაც ყველაზე თვალში საცემი იყო, კვლავაც უამრავ შეცდომას ვადევნებდით თვალს. საპირისპირო „განწყობა" იყო მასპინძელთა შორის და ასეთი მონდომება დაუფასდათ კიდეც: მთელი მატჩის განმავლობაში დამაჯერებლად მოასპარეზე **გიორგი მურველაშვილმა** მარჯვენა ფლაგზე ლამის 50-მეტრიანი რეიდი განახორციელა, ძალისმიერ ორთაბრძოლებშიც დაჯაბნა მეტოქეები და სტუმართა საჯარიმოში შეჭრილმა, პარტნიორს ზუსტი პასიც გადააწოდა. „დინამოს" მცველებმა, თითქოსდა, განმუხტეს სიტუაცია, მაგრამ პირველი ბურთთან მასპინძელთა დებიუტანტი, ირაკლი მაისურაძე გაჩნდა და ახალგაზრდა ნახევარმცველმაც უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი გაიტანა.

სტუმართა თავკაცმა კახა კაჭარავამ პირველ ტაიმშივე მოახდინა ერთი ცვლილება, რასაც გარკვეული ტაქტიკური გადაადგილება მოჰყვა: **ნიკა კვეკვესკირმა** „საყრდენის" პოზიცია დაიკავა, გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე კოშკაძემ** (ლორიასთან ერთად, ალბათ მხოლოდ მის მიმართ არ უნდა ჰქონოდა არავის პრეტენზია) კი გამთამაშებლის ამპლუა მოირგო. თუმცა, „დინამოს" თამაშს პირველ ტაიმში მხოლოდ და მხოლოდ... კატასტროფული თუ ეთქმოდა: 45 წუთის განმავლობაში სტუმრებმა ერთადერთხელ დაარტყეს „ოლიმპის" კარისკენ, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილმა** პოზიცია სწორად შეარჩია და ის... ვითომ-მომენტიც გააუვნებლა.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპი საგრძნობლად დაეცა, თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო: მასპინძლები თავს საკმაოდ ორგანიზებულად იცავდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ მეტოქისთვის თავისუფალი სივრცეების შეზღუდვას. „დინამოს" თამაშზე მცირეოდენი ზეგავლენა შეცვლებმა მოახდინა, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობაზე საუბარიც ზედმეტი იყო; აქვე, ლუკა რაზმაძის გამორჩეულად სასარგებლო თამაშიც უნდა ვახსენოთ: მასპინძელთა შუახაზელმა უაღრესად შრომატევადი სამუშაო გასწია და მისი დიდი დამსახურებაც იყო, მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობით რომ ვერ ისარგებლა.

...ერთი-ორჯერ კოშკაძემ სცადა სიტუაციის გამწვავება, აქტიურად ჩაერთო თამაშში **თემურ ლონლაძეც**, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. თუმცა, მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, „დინამოს" ქულის გადარჩენის, ფაქტობრივად, 100-პროცენტიანი შანსი მიეცა: ლონლაძე-კვეკვესკირის კომბინაციის შემდეგ **გიორგი კახელიშვილი** მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. სხვისი რა მოგახსენოთ, და ეს გოლი რომ გასულიყო, ცოტა არ იყოს, უსამართლობაც იქნებოდა: გუშინ „დინამო" ერთ ქულასაც არ იმსახურებდა...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

## ერთსულოვნებით...

23.02. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე
650 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| ტორპედო | 0 |

1:0 ეხვაია (58)

| ბაია | ტორპედო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-4-2 |
| სომხიშვილი | მიგინეიშვილი |
| სვირავა | ფოფხაძე |
| აქუბარდია | მაჭავარიანი |
| აფაქიძე | ს. თოდუა |
| გამრეკლიძე | ჩიკვილაძე |
| რ. ონიანი | გ. სეთურიძე |
| ვართაგავა | დათუნაიშვილი |
| რიგვავა | ბაქურაძე |
| შ. ლომია | თარხნიშვილი |
| ეხვაია | მეგრელაძე |
| ქობალია | ვ. კვარაცხელია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | გ. გიგატაძე |

**ბაია**

65. გამრეკლიძე – **სიხარულია**
82. ეხვაია – **წურწუმია**
90. ლომია - **შონია**

*სათადარიგოები: მაქაცარია, ქვარცხავა, ჩანგელია, ქირია*

**ტორპედო**

52. დათუნაიშვილი – **ნ. მაისურაძე**
62. ფოფხაძე – **დოლიძე**
70. კვარაცხელია – **გოცირიძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, გურული, ფარულავა, მ. გიგაური*

**გაფრთხილება:** კვარაცხელია (26), სეთურიძე (64), ქობალია (68), წურწუმია (84)
**არბიტრი:** თ. გვანცელაძე (სამტრედია)

მატჩი „ტორპედოს" უპირატესობით დაიწყო; სტუმრებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს და პირველი ხიფათიც **სეთურიძემ** შექმნა, თუმცა ბურთი ბადეს გვერდიდან შეეხო. შემდეგ, ტორპედოელებმა **კვარაცხელია** გაიყვანეს დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მიზანს მანაც ააცილა. მეტოქის აქტიურობას **ლომიამ** უპასუხა. მან კარგი გადაცემით **ეხვაია** მოძებნა, მაგრამ ამ უკანასკნელს ოდნავ ფეხი დაუცდა, ბურთი მაინც შეიმაგრა, ლამაზი მოძრაობით სამი მცველიც ჩამოიტოვა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა.

გააქტიურდა ზუგდიდელთა დებიუტანტი **ქობალიაც** და ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ **მიგინეიშვილის** კარისკენ ძლიერად დაარტყა, მაგრამ სტუმართა მეკარემ უშეცდომოდ ითამაშა. სახიფათო ეპიზოდები ამის მერეც რამდენჯერმე შეიქმნა. **მეგრელაძის** ჩინებული პასის შემდეგ კვარაცხელია პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, თუმცა დასწრებაზე **სომხიშვილმა** აჯობა. ცოტა ხანში **მეგრელაძემ** ახლო მანძილიდან საჯარიმო დაარტყა უზუსტოდ.

მეორე ტაიმში მასპინძლები გააქტიურდნენ, რასაც რამდენიმე წუთში სტუმართა კარში გოლი მოჰყვა. მანამდე, "ბაიას" კაპიტანმა **როინ ონიანმა** ორჯერ სახიფათოდ დაარტყა, შემდეგ ქობალიას ჯერი დადგა, რასაც კუთხური მოჰყვა. გოლიც აქედან გავიდა - ლომიამ ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, ირაკლი ეხვაიამ კი დასწრებაზე ყველას აჯობა და თავით აუღებელი დაარტყა. იმერლები გატანილი გოლის შემდეგ თითქოს გამოფხიზლდნენ და ანგარიშიც კინაღამ გაათანაბრეს, თუმცა მეგრელაძის ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მხოლოდ ხარიხა შეაზანზარა. „ბაიას" ყოფილმა ფორვარდმა საკუთარ თავზე სცადა თამაშის აღება, მაგრამ ამაოდ. დარჩენილ დროში სტუმრებმა თამაშის დალაგება ვერ შეძლეს, არეულად მოქმედებდნენ, უზუსტოდ აწვდიდნენ პარტნიორებს. მასპინძელთა ახალბედა ფორვარდ **ქობალიას** სწრაფ მოძრაობებს კი ვერც ერთი მცველი ხეირიანად ვერ პასუხობდა. ამ მიზეზით იყო თუ სხვა მოტივაციით, ქუთაისელთა თავკაცი მის მეურვეობას წარამარა გამოცდილ **მაჭავარიანს** და **თოდუას** აკისრებდა. მართალია ერთ-ერთ ეპიზოდში ზუგდიდელთა 18 წლის ფორვარდმა ყვითელ ბარათიც დაიმსახურა, მაგრამ მცველებიც დიდად აწერვიულა. სხვათა შორის, მეორე ეტაპის ერთ-ერთი აღმოჩენა ქობალია, ქუთაისელ ქომაგთან ერთად თამაშის ბოლოს, ამ მატჩის დასასწრებად სპეციალურად ჩამოსულმა იმერეთის გუბერნატორმაც შეაქო. მატჩი მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით და სასურველი შედეგით დაასრულეს.

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# მეკარეების დუელი

23.02. თბილისი. შატილი (თემქა). 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ზესტაფონი | 2 |

0:1 დაუშვილი (72. ალადაშვილის პასით), 0:2 წინამძღვრიშვილი (75), 1:2 ბუზალაძე (88).

| სპარტაკი 4-4-1-1 | ზესტაფონი 4-4-1-1 |
|---|---|
| გრიშიკაშვილი | რ. კვასხვაძე |
| სეფიაშვილი | ალადაშვილი |
| ბოიომო | კობახიძე |
| ტეტუნაშვილი | ხიდეშელი |
| ჭაფოძე | ელიავა |
| კლოვისი | დაუშვილი |
| მგელაძე | ბაბუნაშვილი |
| მამუჩიშვილი | შ. გრიგალაშვილი |
| ვ. ბოლქვაძე | ბენაშვილი |
| უგრეხელიძე | დვალი |
| მ. ბარაბაძე | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. კვარაცხელია | გ. გეგუჩაძე |

**სპარტაკი**

40. ბარაბაძე – **ბუზალაძე**
68. უგრეხელიძე – **ოთარიშვილი**
77. მგელაძე – **შონია**

*სათადარიგოები: ხომერიკი, ალავიძე, კილასონია, მ. ჯიშკარიანი,*

**ზესტაფონი**

64. ბაბუნაშვილი – **ძარია**
70. გელაშვილი – **წინამძღვრიშვილი**
77. დვალი - **ჭანკოტაძე**

*სათადარიგოები: მეშველიანი, ს. ლომია, ჩიხლაძე, გაგოშიძე*

გაფრთხილება: მგელაძე (6), ალადაშვილი (40), ბარაბაძე (40), ბაბუნაშვილი (41), ჭანკოტაძე (83).

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

მატჩი ლამაზი და სანახაობრივი გამოდგა. ეს კარგი საფარის დამსახურება, რომელიც თამაშის სტილს და ხარისხს განაპირობებს.

შეხვედრა სტუმართა შეტევებით დაიწყო: სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო **კახა ალადაშვილმა**, მაგრამ "სპარტაკის" მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი**, რომელიც საუკეთესო სეზონს ატარებს, ამ ეპიზოდშიც და დარჩენილ დროშიც საიმედოდ გამოიყურებოდა.

თუმცა, არც ცხინვალელები იყვნენ სტატისტების როლში: მათ აკლდათ დისკვალიფიცირებული **კახა კაკაშვილი** და **ზვიად მეტრეველი**, აგრეთვე ტრავმირებული **ბესიკ დეკანოიძე**. მოკლედ, **მიხეილ ბარაბაძე როინ კვასხვაძესთან** პირისპირ დარჩა და ბურთის თავზე გადაგდება სცადა, მაგრამ ზესტაფონელთა მეკარემ აუღო. "სპარტაკის" შეტევების სული და გული **ვალერი ბოლქვაძე** იყო, რომელიც თამაშის მიმართულებას დროულად ცვლიდა. მე-15 წუთზე მისი შორეული დარტყმა კარს მცირე მანძილით ასცდა. მალე "ზესტაფონის" კარს მახვილი კუთხიდან **ნიკა მგელაძე** დაემუქრა, მაგრამ სიზუსტე მასაც არ ეყო.

პირველი ნახევარი მაგიდის ჩოგბურთს დაემსგავსა, ხან ერთი უტევდა, ხან მეორე და ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა – 26-ე წუთზე ანგარიშის გახსნის მშვენიერი შანსი ჰქონდა **ნიკოლოზ გელაშვილს**, მაგრამ თავური დარტყმა "სპარტაკის" კარს მცირე მანძილით ააცილა.

"სპარტაკის" კარის აღება 32-ე წუთზე **ჯაბა დვალსაც** შეეძლო, მაგრამ გრიშიკაშვილს ვერ აჯობა.

36-ე წუთი: ბოლქვაძე ცენტრიდან დაიძრა, რამდენიმე მოწინააღმდეგეს სწრაფად და ეფექტურად გასცდა და რომ არა როინ კვასხვაძის მშვენიერი თამაში, ბურთი "ზესტაფონის" კარის ბადეს შეარხევდა. ეპიზოდი ამით არ დასრულებულა: კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კარისკენ ახლო მანძილიდან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ბოიომო ფრიდოლინმა** გაისროლა – კვასხვაძემ კვლავ საოცარი რეაქცია გამოავლინა.

"ზესტაფონმა" მეორე ტაიმში უპირატესობა მოიპოვა: სახიფათო მომენტები ჰქონდა გელაშვილს, მეკარესთან პირისპირ დარჩა დვალი, მაგრამ გრიშიკაშვილი კვლავ ჩინებულად თამაშობდა - გამოცდილი მეკარე ასეთ ფორმაში მაშინაც არ ყოფილა, როდესაც ნაკრებში იწვევდნენ.

"სპარტაკს" აშკარად დააკლდა აქტიური **მიხეილ ბარაბაძე**, რომელიც პირველ ტაიმში კახა ალადაშვილმა მოცელა. ეს სათამაშო ეპიზოდი იყო და არა წინასწარგანზრახული უხეშობა, თუმცა ბარაბაძეს ეს ვერ უშველის – მძიმედ დაშავებულმა მოედანი დატოვა.

სპარტაკელთა შეტევებიდან **გიორგი მამუჩიშვილის** შორეული დარტყმაა აღსანიშნავი, როდესაც კვასხვაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ანგარიში 70-ე წუთზე გაიხსნა: მარცხენა ფლანგიდან ალადაშვილმა საჯარიმო შეასრულა, მცველთა უყურადღებობით **ბუბა დაუშვილმა** ისარგებლა და ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ბადე შეარხია – 0:1.

მალე შეცვლაზე შემოსულმა **რატი წინამძღვრიშვილმა** ივარგა, საჯარიმოში შექმნილ არეულობაში დროულად გაერკვა, რამდენიმე მცველს დაასწრო და - 0:2.

**ილია ბუზალაძემ** ანგარიში შეამცირა, თუმცა მასპინძლებმა მეტი ვერ შეძლეს, ისევე როგორც სტუმრებმა – საფინალო სასტვენამდე წინამძღვრიშვილმა ახლო მანძილიდან ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა.

„სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელია** მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა: *"ვფიქრობ, თამაში ყველას მოეწონა. დანაკლისი გვქონდა, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ და სწორი მსაჯობა რომ ყოფილიყო, არ წავაგებდით. მსაჯებზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ გიორგი ვადაჭკორიას ზედმეტი მოუვიდა. "ზესტაფონმა" პირველი გოლი საეჭვო ჯარიმის გათამაშებით გაგვიტანა. მიხეილ ბარაბაძე უკნიდან წააქციეს. ასეთ შემთხვევაში წესის დამრღვევს წითელ ბარათს აძლევენ, ვადაჭკორიამ კი მხოლოდ ყვითელი ბარათი ამოიღო და გასაძევებელი ფეხბურთელი დაინდო... უკვე სამი მატჩია, ვადაჭკორიას გამო ვისჯებით. ასე იყო რუსთავის "ოლიმპთან", აგრეთვე "ვიტ ჯორჯიასთან" თასის განმეორებით მატჩში. ამ სიტყვებს ჰაერზე არ ვამბობ, დამტკიცება ფაქტებით და დასახელებული მატჩების ჩანაწერებით შემიძლია. თუ დაინტერესდებიან, ფაქტებს დეტალურად წარმოვადგენ".*

**მერაბ მამულაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლაც და კმაყოფილებაც

23.02. სამტრედია. ე. მანჯგალაძე 1900 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 1 |
| სიონი | 1 |

1:0 ცხადაია(2. ბურჯანაძის პასით), 1:1 ჯიქია (40. ჩირიკაშვილის პასით)

| სამტრედია 4-5-1 | სიონი 4-5-1 |
|---|---|
| ჯინჭარაძე | ბობლიაშვილი |
| ჩხიკვაძე | კობაური |
| გოგია | ორბელაძე |
| ხუმარაშვილი | თარგამაძე |
| კირთაძე | ქორიძე |
| რუხაია | ისიანი |
| ლომაშვილი | დიდავა |
| ცხადაია | გოგოხერიშვილი |
| გ. მიქაბერიძე | ნოზაძე |
| ბურჯანაძე | ჩირიკაშვილი |
| ბაკარანძე | რ.ჯიქია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ლ. ანჯაფარიძე | გ. ყიფშიძე |

**სამტრედია**

72. რუხაია - **ჩომახიძე**
69. მიქაბერიძე - **გოგიშვილი**

*სათადარიგოები: კეკელიძე, ნინუა, ხვადაგიანი, ენდელაძე, დვალიშვილი*

**სიონი**

66. ისიანი - **ვაშაკიძე**
82. ჯიქია - **რეხვიაშვილი**

*სათადარიგოები: მერლანი, ოქროპირიძე, ნ.კვასხვაძე, ადამაშვილი, ქუცურუა*

გაფრთხილება: ბაკარანძე (65), ცხადაია(76), ორბელაძე (90)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

„სამტრედიის" გაჭირვებაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ფინანსურმა კრიზისმა მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე მძიმედ სწორედ სამტრედიელებს „დაარტყა". პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გუნდი პრეზიდენტმა, მთავარმა მწვრთნელმა და არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. „სამტრედია" ხელახლა „შეკოწიწდა", თუმცა, როგორც ჩანს, მებრძოლი სული ახალ გუნდსაც შენარჩუნებული აქვს. **ლევან ანჯაფარიძის** ახალგაზრდულმა გუნდმა გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „სიონს" არაფერი დაუთმო და ცოტათი რომ გამართლებოდათ, მოგებაც შეეძლოთ. სეზონის განახლებამ სამტრედიაში დიდი ინტერესი გამოიწვია და ცუდი ამინდის მიუხედავად, სტადიონი ბოლომდე შეივსო.

მასპინძელთა პირველივე სახიფათო შეტევას გოლი მოჰყვა: **ბურჯანაძის** ჯარიმის შემდეგ სტუმართა კართან არეულობა შეიქმნა, ბოლნისელებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს, „სტანდარტულის" შესრულება კვლავ ბურჯანაძემ იკისრა. მან მარჯვნიდან დაბალი ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი მეკარის ბაქანთან, სადაც **ცხადაიამ** დასწრებაზე ითამაშა და ახლო მანძილიდან დალაშქრა **ბობლიაშვილის** კარი - 1:0. ამ ეპიზოდში სტუმართა მეკარესა და მცველებს მეტი ყურადღება მართებდათ.

ქვემოქართლელები ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ და მცირეოდენ სათამაშო უპირატესობასაც დაეუფლნენ, მაგრამ რეალურ მომენტებს ვერ ქმნიდნენ. ბოლნისელები იერიშების დროს აქტიურად იყენებდნენ ფლანგებს, 34-ე წუთზე შეტევაში **კობაური** ჩაერთო, მან მარჯვენა ფრთიდან საპირისპირო მხარეს გახსნილ ჩირიკაშვილს ჩაუწოდა, სამტრედიელთა მეკარე უხეშად შეცდა და **ჩირიკაშვილმა** მახვილი კუთხიდან კარში გაგზავნა ბურთი, სამტრედიელთა იღბლად იქვე **ჩხიკვაძე** აღმოჩნდა და ბურთი დაუცველი კარიდან გამოიტანა. მასპინძლები ამ ეპიზოდში კი გადაურჩნენ გაშვებულ გოლს, მაგრამ ტაიმის მიწურულს მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი თამაშის გამო მაინც დაისაჯნენ: მე-40 წუთზე ჩირიკაშვილის ფლანგურ გადაცემას **ჯიქიას** თავური დარტყმა მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა -1:1

გოლამდე სამტრედიელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, 35-ე წუთზე ჯარიმიდან ბურჯანაძის ჩაწოდების შემდეგ **ბაკარანძე** თავით ურტყამდა და მეკარე ბობლიაშვილმა ლამაზი ნახტომით იხსნა ქვემოქართლელები.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები ბოლნისელთა კარნახით მიმდინარეობდა, თუმცა მალე უპირატესობა ადგილობრივი ქომაგებისგან შეგულიანებული სამტრედიელების ხელში გადავიდა. მასპინძლებს რომ გამართლებოდათ, გოლსაც გაიტანდნენ. მათ, საამისო შანსი ზედიზედ ორჯერ მიეცათ. 59-ე წუთზე სამტრედიელებმა უმწვავესი შეტევა განახორციელეს, ჩხიკვაძის პასის შემდეგ **რუხაია** ძლიერად ურტყამდა და ბობლიაშვილმა ურთულესი ბურთი მოიგერია. კუთხურს **ხუმარაშვილის** სახიფათო თავური მოჰყვა, ამჯერად მეკარე უძლური იყო, მაგრამ ბურთი ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა ცარიელი კარიდან.

ბოლო წუთებმა დაძაბულად, თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. მე-80 წუთზე შეცვლაზე შემოსული **გოგიშვილი** მცველებთან ბრძოლისას მეტოქის საჯარიმოში წაიქცა, რის გამოც სამტრედიელები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა. ამან გულშემატკივრების უკმაყოფილება გამოიწვია, მაფრამ, მათი ხმაურიანი პროტესტი მალევე ჩაწყნარდა და რაიმე ინციდენტში არ გადაზრდილა. ამ გუნდების პირველ შეხვედრაში „სიონმა" მატჩის მიწურულს გატანილი ერთადერთი კურიოზული გოლით გაიმარჯვა... კინაღამ ახლაც მსგავსი განმეორდა; 85-ე წუთზე კუთხურის შემდეგ იმერლებს ბურთი აეჭრათ, რომელიც კარიდან ხუთიოდე მეტრში მყოფ **ორბელაძეს** მიუვიდა. ალბათ ასეთ საჩუქარს ისიც არ ელოდა და დარტყმა სუსტი გამოუვიდა, თორემ სხვა შემთხვევაში მასპინძელთა კიპერი უძლური იქნებოდა. ბოლო წუთებზე სამტრედიელები უტევდნენ, მაგრამ საგოლე მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ და ანგარიშიც აღარ შეცვლილა.

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი | 21 | 13 | 5 | 3 | 33 | 17 | 44 |
| 2 | ზესტაფონი | 20 | 13 | 2 | 5 | 41 | 13 | 41 |
| 3 | დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24 | 11 | 37 |
| 4 | ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21 | 23 | 29 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 21 | 8 | 2 | 11 | 21 | 27 | 26 |
| 6 | სიონი | 21 | 6 | 7 | 8 | 15 | 24 | 25 |
| 7 | ტორპედო | 20 | 5 | 8 | 7 | 10 | 12 | 23 |
| 8 | კოლხეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 16 | 33 | 22 |
| 9 | სამტრედია | 20 | 5 | 5 | 10 | 19 | 34 | 20 |
| 10 | სპარტაკი | 20 | 4 | 5 | 11 | 20 | 26 | 17 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 10 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 10(1) |

**მომდევნო ტური. 27.02. კვირა**

დინამო-ბაია
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
ტორპედო-კოლხეთი
სპარტაკი-სიონი
ზესტაფონი-ოლიმპი

# ქარის საწინააღმდეგოდ

## ფოთელი ქომაგები შეროზიას შემოსწყრნენ: დაგვიბრუნეთ ინიაშვილი!

23.02. ფოთი. ფაზისი 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |

0:1 ჩიმაკაძე (9. ბეჟვაიას პასით), 0:2 ბეჟვაია (57. ჯანელიძის პასით).

| კოლხეთი 4-4-1-1 | ვიტ ჯორჯია 4-4-1-1 |
|---|---|
| ძაგანია | ა. მიქაბერიძე |
| ცხვიტარია | ხურციძლავა |
| მახვილაძე | ადამაძე |
| ინწკირველი | კასრაძე |
| მეგრელიშვილი | ჭანკვეტაძე |
| გულუა | ბეჟვაია |
| გოგონაია | ვასაძე |
| გვალია | მაისაშვილი |
| სიჭინავა | ლანიაშვილი |
| კვერენჩხილაძე | ჯანელიძე |
| მდივნიშვილი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. შეროზია | მ. კოჭლაშვილი |

**კოლხეთი**

69. მეგრელიშვილი-**მოისწრაფიშვილი**
83. მდივნიშვილი-**ნიქარიშვილი**

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ქორჩილავა, ბარამიძე, გეგელია, გელაჭეიშვილი*

**ვიტ ჯორჯია**

75. ბეჟვაია - **გოგიაშვილი**
80. ჩიმაკაძე - **როსტიაშვილი**
88. ჯანელიძე - **ზაქრაძე**

*სათადარიგოები: ძაძამია, კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, გურამ გურეშიძე*

გაფრთხილება: მახვილაძე (18), მდივნიშვილი (53)

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

...**ის იყო**, მატჩის არბიტრმა საფინალო სასტვენი მისცა, რომ სტადიონზე მოსული მცირერიცხოვანი ქომაგებიდან რამდენიმემ გუნდსა და განსაკუთრებით, მთავარ მწვრთნელ **ბესიკ შეროზიას** ობსტრუქცია მოუწყო. *„კარგი გუნდი გვყავდა, როცა ზაზა ინიაშვილი იყო მთავარი მწვრთნელი. მშვენივრად თამაშობდნენ და შედეგიც ჰქონდათ. დღეს კი რა ხდება? თუ ფოთში ფეხბურთი გინდათ, დააბრუნეთ ინიაშვილი და თუ ჩვენს ქალაქში ნორმალური გუნდი არ უნდა იყოს, თადარიგი ახლავე დაიჭირეთ და სიმინდი დათესეთ მოედანზე"* — აცხადებდნენ ისინი.

ვერ გეტყვით, რამდენად ეკუთვნის მათი აგრესია კოლხთა მთავარ მწვრთნელს ან მხოლოდ მას, მაგრამ გუშინ ქომაგებს იმედგაცრუების საბაბი ჰქონდათ: მთელი შეხვედრის მანძილზე მასპინძლებს აშკარა საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. ვერც იმას ვიტყვით, რომ სტუმრებმა აჩვენეს ლამაზი სანახაობა, თუმცა თავიდანვე აშკარა იყო, ვეტერინარები აქცენტს კონტრშეტევებსა და შედეგზე აკეთებდნენ.

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა. მეტიც, კოლხები უპირატესობასაც დაეუფლნენ და ორ-სამჯერ კარისკენაც გაისროლეს. განსაკუთრებული უპირატესობა მათ კუთხურებში ჰქონდათ: 5-წუთიან მონაკვეთში სტანდარტული ექვსჯერ შეასრულეს, მაგრამ უშედეგოდ. გამორჩეული იყო გუნდში ახალდაბრუნებული **დავით სიჭინავა**. ეს მაშინ, როცა სტუმრები მეტოქის ნახევარზე ხეირიანად არ გადასულან და მათი შემტევები - **ჯანელიძე** და **ჩიმაკაძე** ძირითადად თავიანთ ნახევარზე მოქმედებდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს ქარიც ეხმარებოდათ.

თუმც, მე-9 წუთზე, როცა ვიტელები პირველად გადავიდნენ შეტევაზე, მათ „კოლხეთის" დაცვასთან ერთად ქარის წინააღმდეგობაც იოლად დასძლიეს და მატჩის გამორჩეულმა ფეხბურთელებმა პირველი გოლიც „გამოაცხვეს" — ყველაფერი ჯანელიძის აქტიურობით დაიწყო, მან **ბეჟვაია** მოძებნა, კაპიტანმა კი ჩიმაკაძეს საგოლედ უპასა, 1:0.

მასპინძლები წინა საშინაო შეხვედრაში მიღწეულის გამეორებას შეეცადნენ, როცა „სამტრედიასთან" აგებდნენ და მოიგეს, მაგრამ... დედაქალაქელებმა ისევ იოლად დაძლიეს კოლხთა დაცვისა და ქარის წინააღმდეგობა — ამჯერად კუთხურიდან ჯანელიძის მოწოდებულს ფოთელთა კარში უკვე ბეჟვაიამ მიუჩინა ადგილი - 2:0.

ამ გოლმა მატჩის ინტრიგა, ფაქტობრივად, მოკლა. მართალია, კოლხები პირველ ტაიმშივე ეცადნენ ვითარების გამოსწორებას, მაგრამ მათ ამის საშუალება სტუმართა დაცვამ და განსაკუთრებით მეკარემ აღარ მისცა. **არდალიონ მიქაბერიძე** უშეცდომოდ მოქმედებდა, რამაც ქარის დახმარების მიუხედავად, „კოლხეთს" ისედაც მიზერული შანსები კიდევ უფრო შეუმცირა. ტაიმის მიწურულს აღსანიშნავია **გიგა კვერენჩხილაძის** თავური, რომელიც ხარიხას ზემოდან მოხვდა.

ფოთელებმა ვითარების გამოსწორება ვერც მეორე ნახევარში მოახერხეს. იმის გათვალისწინებით, რომ სტუმრებს ორბურთიანი ფორა ჰქონდათ და ანგარიშის შესანარჩუნებლად თამაშობდნენ, ხოლო კოლხებს შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ, ტაიმი მეტად ულიმღამო სანახავი გამოდგა და ისე მიილია, ერთი აღსანიშნავი მომენტიც არ შექმნილა.

**მატჩის შემდეგ:**

**მერაბ კოჭლაშვილი** („ვიტ ჯორჯია"): „ბიჭების მადლობელი ვარ, დავალება კარგად შეასრულეს. ორი ტაქტიკა გვქონდა შემუშავებული - ქარის საწინააღმდეგოდ და თუ ქარი ჩვენს სასარგებლოდ იქნებოდა, კონტრშეტევაზე ავაწყობდით თამაშს. წინა შემთხვევებში ლამაზ ფეხბურთზე გავაკეთეთ აქცენტი და ვერ მოვიგეთ. ამიტომ დღეს შედეგზე თამაში ვამჯობინეთ, რაც სათაკილო სულაც არ არის - ამას ჩვენზე ძლიერი გუნდებიც აკეთებენ. ფაქტობრივად, 6-ქულიანი თამაში იყო და გახარებული ვარ".

**ბესიკ შეროზია** („კოლხეთი"): „მეტოქეს უპირატესობა ჰქონდა და გვაჯობეს, ვერ ვიტყვი. სულ 4-ჯერ შემოგვიტიეს სერიოზულად და 2-ჯერ გაგვიტანეს. დასანანი გოლები გავუშვით. დიდი სამუშაო გვაქვს წინ. აშკარად გვჭირდება ძლიერი ფეხბურთელების დამატება, თან ძნელია შუა სეზონში გუნდის გაკეთება. ჩვენთან ხომ ბოლოს გადაწყდა შეკრება. ყველაფრისთვის მზად ვარ, ეს იქნება ახალი სისხლი თუ ნებისმიერი რამ, რაც კლუბს წაადგება".

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

## ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ ალექსანდრე ამისულაშვილთან

**ალექსანდრე ამისულაშვილის თურქული "ქაისერიდან" რუსეთის პრემიერლიგის "კრასნოდარში" გადასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია - რუსებმა კვირის ტრანსფერებში გამორჩეული ადგილი მიაკუთვნეს. საქართველოში კი ტრანსფერს დებატები მოჰყვა - რატომ გადავიდა "კაისერიდან" ნახევარი წლის შემდეგ ასე მოულოდნელად, რატომ მიატოვა შოთა არველაძე და იყო თუ არა მისი გადაწყვეტილების მთავარი მოტივი ფინანსური დაინტერესება? ეს კითხვები უპასუხოდ რომ არ დარჩენილიყო, ამისულაშვილს თურქეთში დავუკავშირდით, სადაც უკვე ახალ კლუბ "კრასნოდარში" ვარჯიშობს.**




ალექსანდრე ამისულაშვილი (მარცხნივ)

# თურქეთს ვერ შევეგუე, თორემ შოთას მადლიერი ვარ

## ამისულაშვილი კრასნოდარში გადასვლის მიზეზებზე ალაპარაკდა

**- ბევრი რამ გვაქვს გადასამოწმებელი. შევიტყვეთ, რომ "კრასნოდარამდე" მოსკოვის "ლოკომოტივი" გიწვევდა, ზამთარში რამდენჯერმე დაგიკავშირდნენ და გუნდში ოფიციალური წერილი გააგზავნეს, თურქები კი მოლაპარაკებაზე არც წავიდნენ, ზაფხულამდე გვაცალეთო.**

- დიახ, ასე იყო. მოლაპარაკება დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო. პირადად დამიკავშირდა ჩემი ყოფილი მწვრთნელი იური კრასნოჟანი, "ლოკომოტივში" მივდივარ და თუ წამოხვალო. ავუხსენი, რომ "ქაისერი" ისე არ გამომიშვებს, ფულია გადასახდელი-მეთქი, შემდეგ კი დაინტერესება არც თურქული კლუბისთვის დამიმალავს და ავუხსენი, რომ წასვლა მსურდა.

**- "ქაისერში' ზაფხულში ჩაირიცხე და ასე მალე წასვლა რატომ გადაწყვიტე?**

- უამრავი ფაქტორის გამო, ენის ბარიერიც იყო, მშვენირ ქალაქში ვცხოვრობდით, მაგრამ იქ სპეციფიკური ცხოვრების სტილია, მოკლედ, ოჯახი თურქეთს ვერ შეეგუა.

**- გულახდილად რომ ვთქვათ, ბევრს გაუჩნდა კითხვა, გუნდში შოთა არველაძესთან ან ვინმესთან კონფლიქტი ხომ არ მოგივიდა?**

- როგორ გეკადრებათ, რა კონფლიქტი, შოთა და მისი ოჯახიც ჩემს ოჯახს გადაყვა, ყველანაირად გვეხმარებოდა და შეპირებულზე მეტიც მომცა. იგივეს ვიტყვი გუნდზე, "ქაისერში" თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ თურქეთს ვერ შევეგუე.

**- ეს კლუბის ხელმძღვანელებს უთხარი?**

- რა თქმა უნდა, წასვლა მინდა და ოჯახის მომავალზეც ვფიქრობ-მეთქი. დასამალი რა არის.

**- შოთა ამბობს, რომ შენი მოულოდნელი წასვლის გამო, ცენტრალური მცველის დამატებას ველარ ახერხებს.**

- კლუბს ჩემი პოზიცია წინასწარ დავუფიქსირე, მათ კი - თავისი, შენი გაშვება არ გვსურს, სხვა საქმეა, თუ გადაიხდიანო. ასე რომ, "ქაისერისთვის" ჩემი გადასვლა მოულოდნელი არ იყო, რადგან მოლაპარაკება დეკემბერში დაიწყო. კლუბის ბრალია, დროულად რომ არ იფიქრეს შემცვლელის აყვანაზე.

**- კლუბს ჩემი გაშვება არ სურდაო, მაშინ როგორ წახვედი?**

- კონტრაქტში იყო პუნქტი: თუ დაინტერესებული კლუბი კონკრეტულ თანხას გადაიხდიდა, "ქაისერს" დავტოვებდი. "ლოკომოტივი" თურქებს ევაჭრა, მაგრამ ვერ შეუთანხმდა, "კრასნოდარმა" კი თანხა გადაიხადა.

**- ანუ, სამი მილიონი ევრო?**

- დიახ, კონტრაქტში სწორედ ეს თანხა ეწერა. ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება, ერთ ადგილზე ვერ გაჩერდები, სულ აქეთ-იქით დადიხარ და ამაში საწყენი არაფერია.

"კრასნოდარს" ამბიცია გაუჩნდა, ძლიერ გუნდს აყალიბებენ და ახლა თუ ვერ გადავიდოდი, ზაფხულამდე არავინ დამელოდებოდა, რადგან რუსეთში მომდევნო სატრანსფერო ფანჯარა აგვისტოში იხსნება. ჩემი და "კრასნოდარის" სურვილები ერთმანეთს დაემთხვა, მე თურქეთიდან წასვლა მსურდა, კლუბს კი ჩემი დამატება. რა არის ამაში მიულებელი?

**- შოთას თუ ელაპარაკე?**

- აბა, კი არ გამოვიპარე! უმადური არასდროს ვყოფილვარ და ყველგან ვიტყვი, რომ ამ კაცმა ბევრი სიკეთე გამიკეთა. ძნელი წარმოსადგენი იყო, საკმაოდ მწირი ბიუჯეტით ნახევარ წელიწადში ასეთ ძლიერ გუნდს თუ ჩამოაყალიბებდა. ადამიანურად მისი მესმის, შესაძლოა, ნაწყენი დარჩა, მაგრამ ჩემი ოჯახი ვერ შეეგუა და რა მექნა? კლუბის ინტერესს ანგარიშს რომ ვუწევდი, ასე ნალჩიკში რამდენიმე წელი დავრჩი და ჩემი კარიერა ისე ვერ ავიწყე, როგორც შეიძლებოდა. არადა, კარგი კლუბები მიწვევდნენ. ვფიქრობდი, უხერხულია, ფეხი დავკრა და წავიდე-მეთქი. მაგრამ სულ კლუბის ინტერესით ვერ ვიცხოვრებ. ერთადერთი, წამოსვლას შოთას გამო განვიცდი, ნიჭიერი და გულიანი კაცია, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს აყვანას მაინც არ ინანებს, ისევე როგორც კლუბი – ჩემში არაფერი გადაუხდიათ, ექვს თვეში კი 3 მილიონი ევრო შეიძინეს. ამ თანხით ბევრი კარგი მოთამაშის ყიდვაა შესაძლებელი - ფეხბურთი დღეს ბიზნესია. კლუბს დეკემბერშივე რომ გავეშვი და შემცვლელი მიეყვანათ, მწვრთნელს პრობლემა არ შეექმნებოდა. სხვათა შორის, ახალ კონტრაქტს, თანაც საკმაოდ სარფიანი პირობებით, თურქებიც მთავაზობდნენ, მაგრამ გაჩერება ალარ მსურდა.

**- სარისკო არ არის ქართველი მწვრთნელის გუნდიდან იქ წასვლა, სადაც არ იცი, ახალი დამრიგებელი რა თვალით შემოგხედავს?**

- რუსეთში კარგად მიცნობენ და 3 მილიონ ევროს ჰაერში არ ყრიან. თუმცა, ყველგან უნდა დაამტკიცო, რომ ძირითადში თამაშს იმსახურებ.

**- და მაინც, შენი ტრანსფერის შემდეგ ყველას პირზე აკერია, "კრასნოდარში" ფულის გამო გადავიდაო.**

- ნებისმიერი პროფესიის ადამიანი სამუშაოს უკეთესი შემოსავლის გამო თანხმდება, ფეხბურთელები სხვა პლანეტაზე ვცხოვრობთ? რატომ მიდიან "ბარსელონადან", ან "რეალიდან" "მანჩესტერ სიტიში", ან "ჩელსიში"? რა, რობერტო კარლოსი ოცნებობდა მახაჩყალაში ეთამაშა, თუ რუუდ გულიტი – გროზნოში ესეირნა? რა თქმა უნდა, "კრასნოდარში" უფრო მეტი შემომთავაზეს, ვიდრე "კაისერში", მაგრამ ამ შემოთავაზებამდე მე და ჩემი ოჯახი თურქეთიდან წასვლაზე უკვე ვფიქრობდით.

სხვა სფეროში თუ 65-70 წლამდე შეიძლება დასაქმდე, ჩვენს პროფესიაში მაქსიმუმ 15-20 წელი, შემდგომი კარიერისთვის საფუძველი უნდა მოამზადო. თუ ეს ფაქტორი არ უნდა გავითვალისწინო? ჩემი და ჩემი ოჯახის ინტერესი კლუბისაზე მაღლა რომ დავაყენე, გასაკვირი და დასაძრახია? სხვაგვარი მოქცევის უფლება არც მქონდა, კარიერის დასრულების შემდეგ ბავშვთა ფეხბურთში ვიქნები შემოსავლით უზრუნველყოფილი?

**- გულშემატკივართა სატკივარი ესაა, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელი პროვინციულ გუნდში გადადის და არ დაიკარგოსო.**

- ოთხი წლის წინ ყაზანის "რუბინი" რას წარმოადგენდა? არ იყო პროვინციული გუნდი, ან მახაჩყალის "ანჟი", სადაც რობერტო კარლოსი ჩაიყვანეს? ჩემთვის ყველა დეტალს მნიშვნელობა ჰქონდა და წავედი იქ, სადაც ამბიციური კლუბი მელოდება, ენობრივი ბარიერი არ შემაწუხებს და ქვეყანასაც მეტ-ნაკლებად ვიცნობ. "კრასნოდარის" ამბიცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, კლუბის მეპატრონე რუსეთის უმდიდრესი ადამიანების ოცეულში შედის და არავის გაუკვირდეს, მალე "კრასნოდარი" „რუბინივით" რომ დაწინაურდეს.

დღეს რუსული პრემიერლიგა თურქულ ლიგასაც სჯობია და კიდევ ბევრს. ჩემი აზრით, ევროპის საუკეთესო ექვსეულში შედის და ჯერ კიდევ საკითხავია, საფრანგეთის ლიგაა უკეთესი თუ რუსეთის. ამ ორი ქვეყნის გუნდების ბოლოდროინდელ მიღწევებს გადავხედოთ და პასუხი გაგვიადვილდება. უკეთეს ლიგაში, უკეთეს პირობებში გადასვლაზე უარს ვინ იტყვის?

**- არის აზრი, რომ ხმაურიანი ტრანსფერებით რუსები საკუთარი ჩემპიონატის პიარაქციას ატარებენ: რობერტო კარლოსისა და რუუდ გულიტის ჩასვლამ მსოფლიო აალაპარაკა, თურქეთიდან შენი წამოყვანით კი თითქოს ხაზი გაუსვეს, თურქებზე მაღლა ვდგავართო. ამას პრესტიჟის ტრანსფერებს უწოდებენ.**

- ბოლო დროს რუსებმა ისეთი ტრანსფერები განახორციელეს, ასეთი აზრი ბევრს გაუჩნდა. თუმცა, ჩემთვის მთავარია, ფეხბურთი მაღალ დონეზე ვითამაშო.

**მერაბ მამულაშვილი**

● პრესკონფერენცია

# გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის...

## წერილი ახლავე, თანხა სეზონის ბოლომდე

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და "ზესტაფონის" დავის შესახებ გუშინდელ ნომერში დავწერეთ. შეგახსენებთ, სფფ იმერული კლუბისგან ხორვატი ახალწვეული გორან გრუიცასთვის ეროვნულ ჩემპიონატსა და თასზე თამაშის უფლების მინიჭებისთვის დებულებით დადგენილი 15 ათასი ლარის გადახდას ითხოვს, "ზესტაფონი" კი ჯერჯერობით, ამაზე უარს ამბობს, რისთვისაც ორი მოტივი აქვს – სეზონის დაწყებამდე პროფესიული ფეხბურთის ლიგაში შეტანილი საწევრო და მის მიმართ არსებული ფეხბურთის ფედერაციის ძველი დავალიანება. შეგახსენებთ, "ზესტაფონმა" პროფლიგაში სრული გადასახადი შეიტანა, საწევროს განახევრების შემდეგ კი თანხის ნახევარი უკან აღარ დაბრუნებია.**

**სფფ "ზესტაფონს" ამ 15 ათასის შეტანას ახლავე არ სთხოვს და მხოლოდ საგარანტიო წერილს ელის, მაგრამ კლუბი ამ გადასახადის გაქვითვას პროფლიგისგან მისალებითანხაში ითხოვს, ფედერაცია კი პფლ-ის ვალის გასტუმრებაზე უარს ამბობს...**

**ამ სადავო საკითხს მიეძღვნა ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ გამართული პრესკონფერენცია, სადაც მასმედიის წინაშე ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე და გენერალური სამდივნოს უფროსი რევაზ შენგელია წარსდგნენ.**

დასაწყისში შენგელიამ შექმნილი სიტუაციის შესახებ კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება.

- 2010 წლის 3 მარტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება უცხოელი ფეხბურთელის ტრანსფერისთვის გადასახდელი თანხის თაობაზე, რის შემდეგაც ეს სიახლე პროფესიული ფეხბურთის ლიგის დებულებაშიც შევიდა 6.10 პუნქტით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიესალმება ჩვენს ჩემპიონატში მაღალი კლასის ლეგიონერების თამაშს, მაგრამ საპირისპირო შემთხვევებიც ხშირი იყო, რის გამოც ადგილობრივი ნიჭიერი ახალგაზრდები უყურადღებოდ რჩებოდნენ. ალმასკომმა სწორედ იმიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ კლუბებმა საქართველოში უფრო აქტიური სელექცია აწარმოონ და მხოლოდ ისეთი დონის ლეგიონერები მიიწვიონ, რომელთა სანაცვლოდაც აღნიშნული თანხის გადახდა ულირთ. უმაღლეს ლიგაში უცხოელების ტრანსფერზე გადასახადი შეადგენს 15 ათას ლარს, პირველ ლიგაში 5 ათას ლარს, ხოლო მეორე ლიგაში 2 ათას ლარს.

რაც შეეხება "ზესტაფონის" პოზიციას, მოგეხსენებათ, ამ კლუბს თანხა პროფლიგისგან აქვს დასაბრუნებელი და არა ფედერაციისგან. პროფლიგა იურიდიულად არსებობას განაგრძობს და ვალის გასტუმრებაც მას ეკისრება. ასე რომ, "ზესტაფონმა" პროფლიგას უნდა მიმართოს.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციიდან გორან გრუიცას სატრანსფერო ფურცლის დროულად მისალებად აქტიურად ვიმუშავეთ და ოპერატიულადაც მივიღეთ.

ცნობისთვის, თბილისის "დინამო" ხუთი ახალი ლეგიონერის სატრანსფერო თანხას, 75 ათას ლარს სეზონის დასრულებამდე ეტაპობრივად გადაიხდის.

**რევაზ არველაძე:** - ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საკმაოდ დიდი მოცულობის დავალიანება გაისტუმრა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე "ზესტაფონისა" არაფერი გვმართებს. მოდით, ამ კლუბის მოთხოვნები ცალ-ცალკე განვიხილოთ. პირველი – პროფლიგაში გადახდილი თანხის გაქვითვა. აქ სადავო საერთოდ არაფერია, რადგან კლუბს ეს ფული ფედერაციაში არ შემოუტანია; და მეორე – მეტ-ნაკლებად სადავო თემა, რომელიც ფედერაციის "ზესტაფონის" მიმართ დავალიანებას ეხება. ეს საკითხი ჯერ ბოლომდე არ გარკვეულა და თუ თანხის გადახდა დაგვეკისრება, გადავიხდით კიდეც, მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ ამ ფულის რაოდენობა 15 ათას ლარზე გაცილებით ნაკლებია. ვფიქრობთ, ამ ორ თემას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ "ზესტაფონს" სატრანსფერო თანხის გადახდას ახლავე არ ვთხოვთ. კლუბისგან მხოლოდ ოფიციალურ წერილს ველით, სადაც დადასტურებული იქნება, რომ ფედერაცია ლეგიონერის დარეგისტრირებისთვის დაწესებულ თანხას მიმდინარე სეზონის დასრულებამდე მიიღებს. აი სულ ეს არის ჩვენი მოთხოვნა და არა მგონია, სიტუაცია გამოუვალი იყოს.

**- თუკი ფეხბურთის ფედერაციამ პროფლიგის ვალდებულებები გადაიბარა, ატარებს ჩემპიონატს, დავალიანება გაუსტუმრა მსაჯებს, მაინცდამაინც ეს 20 ათასი ლარი რატომ გახდა სადავო?**

- მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, მომავალ ჩემპიონატს ფედერაცია ჩაატარებს თუ პროფლიგა. ეს რომ გაირკვევა, ამ 20 ათასი ლარის თემაზეც აქტიურად მაშინ ვიმსჯელებთ.

**- და თუ პროფლიგამ ჩემპიონატის ჩატარება ვერც მომავალ სეზონში შეძლო?**

- ამაზე საუბარი ჯერ რთული და ნაადრევია. იდეალური იქნებოდა, ჩემპიონატი პროფლიგის ეგიდით ჩატარებულიყო, მაგრამ თუ მას საამისო სახსრები არ აღმოაჩნდა, სხვა გზა აღარ იქნება და ამ საქმეს კვლავ ფედერაცია გაუძღვება. შესაძლოა, პროფლიგამ გარკვეული ფუნქციები მაინც დაიბრუნოს და მაგალითად, პირველი ლიგა ჩაატაროს... თუმცა გავიმეორებ, რომ ჯერ ამ თემაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა.

დასასრულს, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არავინ გვყავს ამორჩეული. არავის ეგონოს, რომ რომელიმე კლუბს მიზანმიმართულად ვებრძვით, პირიქით, მაქსიმალურად ვცდილობთ, თითოეულ მათგანს ხელი შევუწყოთ, მაგრამ დებულება ყველამ უნდა შეასრულოს. "ზესტაფონისა" და განსაკუთრებით მისი მწვრთნელის მიმართ პატივისცემას კი კიდევ ერთხელ დავადასტურებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის პრეს-სამსახურის განცხადება

სპორტულმა მედიამ დიდი ყურადღება დაუთმო საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" ხორვატი ლეგიონერის **გორან გრუიცას** სახელთან დაკავშირებულ ამბავს. ძალიან სამწუხაროა, როდესაც სპორტსმენი, რომელიც საქართველოში ფეხბურთის სათამაშოდაა ჩამოსული, საზოგადოების ყურადღების ცენტრში სრულიად სხვა მიზეზთა გამო ექცევა.

როგორც მოგეხსენებათ, ცხინვალის „სპარტაკთან" დღეს გამართულ შეხვედრაში გორან გრუიცას უთამაშებლობის მიზეზად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მიერ უცხოელი ფეხბურთელის დარეგისტრირებისათვის, ალმასკომის დადგენილებითა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის დებულებით (!), დაწესებული თანხის - 15 ათასი ლარის გადაუხდელობას ასახელებენ. საფეხბურთო საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია ისიც, რომ იმერული კლუბი ამ თანხის გაქვითვას ითხოვს და ამ გაქვითვის განსახორციელებელ წყაროსაც ნათლად უთითებს. პასუხად ფეხბურთის ფედერაციაში აცხადებენ, რომ ამ ვალს არ ცნობენ (ან სადავოდ მიიჩნევენ) და კლუბმა, პრობლემის მიგვარების მიზნით, უნდა მიმართოს ფედერაციას ოფიციალური წერილით, სადაც დასახელებული იქნება კონკრეტული თარილი, თუ როდის დაიფარება ზემოთ ნახსენები თანხა.

მოგახსენებთ, რომ საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და დღესაც ეკიდება ჩემპიონატის ჩამტარებელი ორგანიზაციების მიერ დაწესებულ თამაშის წესებს და ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს. სწორედ ასე მოხდა მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინაც - კლუბმა ეროვნული პირველობის უმაღლესლიგელთათვის დაწესებული სამონაწილეო თანხა დადგენილ ვადებში სრულად დაფარა. შემდგომში მოხდა ისე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეს გადასახადი გაანახევრა, თუმცა, ზესტაფონელთათვის გადახდილი თანხის ნახევრის დაბრუნება არავის გახსენებია.

ფედერაციაში დღეს გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს თანხა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში აქვს შეტანილი და ამდენად ფეხბურთის ფედერაციას (რომელიც იმავდროულად ფეხბურთელებზე გადასახადს სწორედ პროფესიული ფეხბურთის ლიგის დებულების მიხედვით აწესებს და მსაჯთა კორპუსის წინაშე პფლ-ის არსებულ დავალიანებას ისტუმრებს) ამ ვალის გასტუმრებასთან არავითარი საქმე არა აქვს. საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" არ ეთანხმება ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას მრ[illegible]ალ მიზეზთა გამო...

დავიწყოთ იმით, რომ თავის დროზე სწორედ ფეხბურთის ფედერაციის რეკომენდაციითა და შემდგომში გადაწყვეტილებით, მოხდა ეროვნული პირველობისა და თასის გათამაშების ჩატარების უფლების საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაზე დელეგირება. გამოდის, რომ კეთილსინდისიერი გადამხდელი - საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" ზარალდება სწორედ ფედერაციის ამ წინდაუხედავი და, როგორც დღევანდელი გადასახედიდან გამოჩნდა, ყოვლად მოუმზადებელი ნაბიჯის გამო. ან თუკი პფლ არ იყო მზად, ღირსეულად ჩაეტარებინა ეროვნული ჩემპიონატი და თასის გათამაშება, თავისი წილი პასუხისმგებლობა პფლ-ისათვის ამ უფლება-მოვალეობის დამკისრებელსაც უნდა დაეკისროს.

მეტიც, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე სხვა გუნდებთან შედარებით ზესტაფონი არათანაბარ პირობებშია აღმოჩენილი, კერძოდ, საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტებთან - ზოგისთვის თამაში წესები კომფორტული და შემწყალებელია, ზოგისთვის კი - პირიქით.

აღარაფერს ვამბობთ ფედერაციის მესვეურთა აზრით სადავო 4 083,33 ევროზე, რომელიც მათ სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენს და ყოველივე ამის დამტკიცება ფედერაციასა და კლუბს შორის თავის დროზე გაფორმებული კონტრაქტით უმარტივესად შეიძლება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ბევრს საუბრობდნენ ერთ წერილზე, რომელსაც ყოველგვარი პრობლემის მარტივად გადაჭრა შეუძლია. მეტიც, ფედერაციის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებული და გრუიცას საქმისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია ძალიან იმედისმომცემი სათაურით იწყება - ფეხბურთის ფედერაცია „ზესტაფონისგან" ოფიციალურ წერილს ელის ...

ძალიან დიდი სინანულით უნდა განვაცხადოთ, რომ ფედერაციის მხრიდან იმის მტკიცება, რომ კლუბი საკითხის გასარკვევად მზადყოფნას არ გამოთქვამდა, არის ბანალური ტყუილი. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" პრესსამსახური წარმოგიდგენთ წერილს, რომელიც კლუბმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ, 22 თებერვალს, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციიდან გრუიცას განთავისუფლების ფურცლის ჩამოსვლის შემდეგ, გაგზავნა (იხილეთ ქვემოთ).

დაბოლოს, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" პრეს-სამსახური უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი - არსებობს გარკვეული ეჭვი, რომ იმერული კლუბის ფეხბურთელის დარეგისტრირების გაჭიანურება არის საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებათა ჯაჭვის ერთ-ერთი ნაწილი. კლუბში ყურადღებით აკვირდებიან მოვლენათა განვითარებას და ამ მოვლენათა ამგვარი სცენარით შემდგომშიც გაგრძელების შემთხვევაში, საფეხბურთო კლუბი ზესტაფ[illegible]ნი იტოვებს უფლებას - თავის პოზიცია უფრო ქმ[illegible]დითი ნაბიჯებით დაი[illegible]ვას.

ამბები

## გადამწყვეტი ექვსი მატჩი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** ამბობს, რომ პასუხს კითხვაზე, შეძლებს თუ არა მისი გუნდი ამ სეზონში სამ შეჯიბრებაში გამარჯვებას, შემდგომ სამ კვირაში დანიშნული ექვსი შეხვედრა გასცემს. ლეგენდარულ შოტლანდიელ მწვრთნელს ეჭვი არ ეპარება, რომ **უეინ რუნი** და კომპანია მზად არიან გამოწვევა მიიღონ.

„წინ ურთულესი და გადამწყვეტი სამი კვირა გველის. სტუმრად ოთხი თამაში გვაქვს ჩასატარებელი და ბევრ კითხვას პასუხს სწორედ ეს თამაშები გასცემს. კერძოდ, „მარსელში“ ჩემპიონთა ლიგის თამაშის შემდეგ სტუმრად „უიგანს“ უნდა შევხვდეთ. ეს იოლი გასეირნება არ იქნება, რადგან „უიგანი“ პრემიერლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე დგას და მთელ ძალღონეს შემოგვალევს. ამას კი მოსდევს „ჩელსისთან“, „სტემფორდ ბრიჯზე“ სტუმრობა და გასვლა ლივერპულში. მოკლედ, დიდი თამაშებით სიამოვნების დრო დაგვიდგა. საბედნიეროდ, ასეთ დროს ფეხბურთელები, როგორც წესი, არ გვღალატობენ ხოლმე“, - თქვა ფერგიუსონმა.

გარდა ამ ოთხი თამაშისა, შემდეგ სამ კვირაში „იუნაიტედს“, ფეხბურთის ასოციაციის თასზე, „არსენალსა“ და „ლეიტონ ორიენტს“ შორის გამარჯვებულთამ მოუწევს საქმის დაჭერა და, რასაკვირველია, აქვეა საპასუხო შეხვედრა „მარსელთან“. ფეხბურთელი, რომლისაც ამ შეხვედრებში სერ ალექსს გამორჩევით ეიმედება, პორტუგალიელი **ნანი** გახლავთ. მას მიმდინარე სეზონში შთამბეჭდავი სტატისტიკა უმაგრებს ზურგს: 10 გოლი და 13 საგოლე პასი.

„ამ სტატისტიკას სხვა სიტყვებით გამაგრება აღარ სჭირდება. მიმდინარე სეზონში ნანი დიდებულად თამაშობს,“ - ბრძანა ფერგიუსონმა.

## ჰლები და მარილი

„ქარლინგის“ თასის ფინალში გასული „ბირმინგემისთვის“ ბელარუსი ვარსკვლავის **ალექსანდრ ჰლების** გამოჯანმრთელება და კვირას „უემბლიზე“ თამაში, კერძზე მარილის მოყრას დაემსგავსება. მოგეხსენებათ, „ბირმინგემს“ ფინალში ჰლების ძველი გუნდი „არსენალი“ ხვდება, 29 წლის ნახევარმცველმა კი ჯინაზე, მაინცდამაინც, ამ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე, „შეფილდ უენსდეისთან“ შეხვედრაში იტკინა ფეხი, თუმცა სკანირებამ აჩვენა, რომ მყესები, საბედნიეროდ, დაზიანებული არ არის. დასკვნისა და მკურნალობისთვის ჰლები სასწრაფოდ ლონდონში ჩავიდა და იქაურ სპეციალისტს ეჩვენა.

„ბირმინგემის“ მწვრთნელმა **ალექს მაკლიშმა** იმედიანად თქვა: „ჩვენ მის თამაშს ჯერ არ გამოვრიცხავთ. მუხლი კი სტკივა, მაგრამ გვითხრეს, რომ საშინელი არაფერი სჭირს. ჰლები უმაღლესი დონის ფეხბურთელია, უდიდესი გამოცდილებით და მისი „უემბლიზე“ ყოლა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“.

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

# ვის სჯერა სასწაულის?

**ჰარი რედნაპს** სასწაულების, წესით, არ უნდა სჯეროდეს, ხოლო „ბლექპულის“ თავკაც **იან ჰოლოუეის** საამისოდ ყველა მიზეზი აქვს: მისი გუნდი „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში იმდენჯერ გადარჩა გოლს, რომ მომენტები სამ თამაშს ეყოფოდა. ეს ამბავი ბლექპულში „ბლუმფილდ როუდზე“ მოხდა, სადაც მასპინძლებმა საბოლოოდ 3:1 გაიმარჯვეს.



დი ჯეი კემპბელმა (მარჯვნივ) სეზონში მე-9 გოლი გაიტანა

ის ეპიზოდები, სადაც „დეზებს“ მოწინააღმდეგის კარში გოლი ვერ გააქვთ, რომ ამოვკრიბოთ და კლიპად შევკრათ, დარჩება შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ცალკარა თამაში. მერედა, ამას უკვე 0:3-ზე **რომან პავლიუჩენკოს** მიერ 90-ე წუთზე გატანილი ეფექტური გოლიც დაამატეთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება - გეგონებათ, რომ ძლიერმა გუნდმა ოსტატურად მოუგო სუსტს, ოღონდ ეგ ერის, ბევრი გოლი ვერ შეუგდო. მაგრამ, ვაგლახ... პირიქით მოხდა. სამი გოლი „ბლექპულმა“ გაიტანა, დაცვაში კი... ჰოლოუეის ფეხბურთელები ცარიელ კარში მაინცდამაინც იქ აღმოჩნდებოდნენ, სადაც ტოტენჰემელი ბურთს არტყამდა. გვარიანად ივაჟკაცა 32 წლის განელმა მეკარემ **რიჩარდ კინგსონმაც**.

ანგარიში „ბლექპულის“ კაპიტანმა **ჩარლი ადამმა** - რომელიც იანვარში კინაღამ „ტოტენჰემში“ გადავიდა - პენალტით გახსნა. პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ **სებასტიან ბასონგმა დი ჯეი კემპბელი** საჯარიმოში წააქცია. აქ კემპბელს გვინდა გამოცდილება შევუქოთ - მომენტი ჩინებულად შეაფასა და ბასონგმა ფეხი რომ წაჰკრა, წაიქცა. რომ არ წაქცეულიყო მსაჯს შეიძლება არც დაესტვინა. არადა, პენალტი არ იყოო, ვერ იტყვი.

ცოტა ხნის შემდეგ კემპბელმა თავად გამოიჩინა თავი. გოლი, რომელიც „დეზებს“ გაუტანა, მისთვის მიმდინარე სეზონში მეცხრე იყო. ეს პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მოხდა, მან **ჯეიმს ბიტის** ჩაწოდებულს დაარტყა ოსტატურად - ძალიან ლამაზი, დინამიკური მომენტი იყო. მესამე კი **ბრეტ ორმეროდმა** მე-80 წუთზე გაიტანა.

მატჩის შემდეგ რედნაპმა ის სიტყვები თქვა, რასაც მის ადგილზე ბევრი ჩვენგანი იტყოდა:

„რამდენი წელიწადია ფეხბურთში ვარ და ერთ თამაშში ამდენი გაფუჭებული მომენტი არ მინახავს. ვიდეოს და ვხედავდი, როგორ არტყამდნენ ჩემი ფეხბურთელები სამი მეტრიდან, ოთხი მეტრიდან, ხუთი მეტრიდან, ბურთი კი სულ კარის ხაზზე ჩარჩენილ რომელიღაც ბლექპულელს ხვდებოდა. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი...

თამაში ცუდად არ დაგვიწყია, მაგრამ მეტოქეს არაფრისგან პენალტის დარტყმის საშუალება მივეცით. ამით მასპინძლებს, რასაკვირველია, გული მივეცით. მინდა „ბლექპული“ შევაქო. ამ გუნდმა, რაც მის ხელში იყო ყველაფერი გააკეთა და, მიუხედავად იმისა, რომ სრულ უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, პირველი ტაიმის მიწურულს ორამდე გაზარდა ანგარიში.



მატჩის გმირი
დი ჯეი კემპბელი
ფორვარდი. 29 წლის
თამაშში: 1 გოლი, 2 დარტყმა, მოპოვებული პენალტი
სეზონში: 23 თამაში, 9 გოლი, კარში 56 დარტყმა

შესვენების შემდეგ მასპინძელთა კართან მომენტს მომენტზე ვქმნიდით, ერთი გოლი რომ გაგვეტანა, ყველაფერს ყირაზე დავაყენებდით, მაგრამ ბურთი კარში ჯიუტად არ გადიოდა. ის, რომ „ბლუმფილდ როუდზე“ იოლი გასეირნება არ გვექნებოდა, იმთავითვე კარგად ვიცოდით. ჩვენ დაკვირვებით შევისწავლეთ „ბლექპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშის ჩანაწერი. თუ გახსოვთ, მასპინძლები იქაც 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ, შემდეგ, „იუნაიტედმა“ სადავეები ხელში აიღო და სამი გოლით უპასუხა. ჩვენც მზად ვიყავით იგივე გაგვეკეთებინა, მაგრამ ამისათვის „ბლექპულის“ კარში გოლი უნდა შემძვრალიყო, რაც არ მოხდა“.

„ბლექპულის“ თავკაცი იან ჰოლოუეი კი სიხარულს ვერ მალავდა - მისი გუნდი გასავარდნთა ზონას 5 ქულით ასცდა:

„არა მგონია ვინმეს ოდესმე ეთქვას ან დაეწეროს ის სიტყვა, რომელიც ჩემს კმაყოფილებას გამოხატავს. ასეთი ლექსიკონშიც არ იქნება. ყველა იმ ვარიანტიდან, რომელიც მეორე ტაიმში შეიძლებოდა განვითარებულიყო, განვითარდა მაინცდამაინც ის, რომელიც ჩვენ გვაძლევდა ხელს“.

**„რამდენი წელიწადია ფეხბურთში ვარ და ერთ თამაშში ამდენი გაფუჭებული მომენტი არ მინახავს. ვიდეოს და ვხედავდი, როგორ არტყამდნენ ჩემი ფეხბურთელები სამი მეტრიდან, ოთხი მეტრიდან, ხუთი მეტრიდან, ბურთი კი სულ კარის ხაზზე ჩარჩენილ რომელიღაც ბლექპულელს ხვდებოდა. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი...**

**ბლექპული–ტოტენჰემი 3:1**

**ბლექპული:** კინგსონი - ევატი, კეთკარტი, ბაპტისტი, ერდლი - სილვესტრი (58. საუთერნი) ვონი, ადამი, კემპბელი - ფილიპსი (63. ბიტი), კორნილენკო (63. ორმეროდი).

**ტოტენჰემი:** გომეში - ბასონგი (კრაუჩი 73), დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - პალასიოსი (45. ჯენასი), მოდრიჩი, პიენაარი (59. კრანჩარი), ლენონი, - დეფო, პავლიუჩენკო.

**გოლები:** 1:0 ადამი (18), 2:0 კემპბელი (44), 3:0 ორმეროდი (80), 3:1 პავლიუჩენკო (90)

**მაყურებელი:** 16 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4. ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 12. ბლექპული | 27 | 9 | 5 | 13 | 42:51 | 32 |

ამბები

## რას ნანობს ჰაინცე?

არგენტინელი მცველი **გაბრიელ ჰაინცე** აღიარებს, რომ ძალიან შეცდა, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „ლივერპულში“ გადასვლა მოისურვა. შეგახსენებთ, რომ ჰაინცემ „ოლდ ტრეფორდზე“ სამი წელიწადი გაატარა, 2007-ში კი მერსისაიდელებმა მისი კონტრაქტის გამოსყიდვა მოიწადინეს და სერ **ალექს ფერგიუსონს** 6,8 მილიონი ფუნტი შესთავაზეს. თავად ჰაინცესაც ჭკუაში დაუჯდა მანჩესტერიდან გაქცევა. საქმე ის იმაშია, რომ „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ადგილს უკვე ფრანგი **პატრის ევრა** იმკვიდრებდა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰაინცეს გაყიდვაზე უარი არ თქვა, თუმცა მისი პრემიერლიგელი კონკურენტისთვის გადაბარება არ ისურვა და არგენტინელი მადრიდის „რეალს“ დაუთმო. 33 წლის ჰაინცე ამბობს:

„ჩემს კარიერაში ძალიან ცოტა რამ მომხდარა, რაც მერე სანანებელი გამიხდა, მაგრამ რამდენიმე ასეთი გადაწყვეტილება მაინც იყო და ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ფერგიუსონთან დაკავშირებული ეპიზოდი. მე ბუნებით იმპულსური და ჯიუტი ადამიანი ვარ, რაც ხანდახან სირთულეების წინაშე მაყენებს. მაშინაც სწორედ ასე იყო. ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედში“ გატარებულ ბოლო თვეს ვნანობ. მეც მტკიცე



ჰაინცე მანჩესტერში თამაშისას

ხასიათის ადამიანი ვარ და ფერგიუსონიც, მაგრამ მას არ გავუშვივარ, წასვლა მე დავიჩემე. იმედი მაქვს, რომ ასეთი საქციელის გამო „ოლდ ტრეფორდზე“ ფანებმა არ შემიძულეს. მე მანჩესტერში გატარებული სამი წელიწადი საუცხოოდ მახსენდება“.

## აგერი ვერ ცხრება

**დანიელ აგერმა** „ლივერპულის“ ყოფილ მწვრთნელს **როი ჰოჯსონს** კიდევ ერთი „მუჯლუგუნი“ მიაყოლა ზურგში. მიუხედავად იმისა, რომ ჰოჯსონი მერსისაიდიდან კარგა ხანია, გაუშვეს და მან უკვე „ვესტ ბრომვიჩის“ თავკაცად დაიწყო მუშაობა, დანიელი მცველი ვერ ისვენებს და ინტერვიუებში სულ მის ლანძღვას ცდილობს.

„დღევანდელი გუნდი ზუსტად იგივეა, რაც ჰოჯსონის დროს იყო, უბრალოდ კენი დალგლიში მოვიდა ახალი იდეებით. ამ იდეების წყალობით, „ლივერპულის“ ფეხბურთელებს თამაში გვსიამოვნებს და სწორედ ამიტომ ვუშვებთ ბოლო დროს ნაკლებ გოლებს“.

26 წლის დანიელმა ფეხბურთელმა პრაღის „სპარტასთან“ ევროლიგის ერთი კვირის წინანდელი თამაში საზარდულის ტკივილის გამო გამოტოვა, მაგრამ დღეს მოედანზე იქნება. პირველი შეხვედრის ანგარიში 0:0 გახლდათ. „ლივერპულსა“ და „სპარტას“ შორის გამარჯვებული მერვედფინალში პოზნანის „ლეხსა“ და „ბრაგას“ შორის მოგებულს შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

არსენალი ფსიქოლოგის თვალით

# როგორ მოვიგოთ ცუდად?

„არსენალმა“ „ბარსელონა“ დაამარცხა და მიმდინარე სეზონში კვლავ აქვს ოთხივე შეჯიბრებაში გამარჯვების შანსი, მაგრამ ის სრულყოფილებისგან ძალიან შორს დგას - ეს ჩვენი მოსაზრება არ გეგონოთ, **არსენ ვენგერის** უახლოესი მეგობრისა და მრჩევლის **ჟაკ კრევუასიეს** ნათქვამია. კრევუასიეს ვენგერთან 40-წლიანი ნაცნობობა აკავშირებს. ის გახლავთ ფრანგი ფსიქოლოგი და მწვრთნელი, რომელიც ამტკიცებს, რომ დღევანდელ „არსენალი“ ხანგრძლივი წარმატებისთვის მზად არ არის. ის ბრძანებს, რომ გუნდს არ შეუძლია მოგება, როდესაც ცუდად თამაშობს, მას სათადარიგო გეგმა აკლია. და კიდევ, ვენგერის მეგობარი ამბობს, რომ „მეთოფეებს“ სუსტი დაცვა ჰყავთ.

„არსენალმა“ „ბარსელონასთან“ გამარჯვების შემდეგ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე პირველი ლიგის (ანუ, მთელი ორი ლიგით დაბლა მდგომ) „ლეიტონ ორიენტთან“ 1:1 ითამაშა. გუშინ ჩრდილოლონდონელებმა „სტოკს“ უმასპინძლეს, კვირას კი - „უემბლიზე“, „ქარლინგის თასის“ ფინალი ელის - ექვსი წლის შემდეგ პირველად შეუძლია რაიმე ტიტული მოიგოს. კრევუასიე ამბობს:

„ლონდონელებს თამაშის ინტელექტუალური სტილი აქვთ. ისინი ყოველთვის ცდილობენ მოწინააღმდეგეს თავს თავიანთი ტექნიკა, პასები და სისწრაფე მოახვიონ. ევროპაში მხოლოდ ორი გუნდის გუნდის ცქერისას უვლის ადამიანს ჟრუანტელი. ეს გუნდები „არსენალი“ და „ბარსელონა“ არიან, მაგრამ „მეთოფეებს“ ერთი სერიოზული ნაკლი აქვთ — არ იციან როგორ მოიგონ, როდესაც ცუდად თამაშობენ. მათგან განსხვავებით ეს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეხერხება საუცხოოდ. ერთი სიტყვით, რამდენადაც მე შევამჩნიე, „არსენალს“ B გეგმა არ აქვს.

გარდა ამისა, ხშირად არ მომწონს ბალანსი „მეთოფეების“ თავდასხმასა და დაცვას შორის. შესაბამისად, თუ გუნდი ბრწყინვალე ფორმაში არ არის, ვერ იგებს. ამის თვალსაჩინო მაგალითი ცოტა ხნის წინ, „ნიუკასლთან“ შეხვედრის დროს ვნახეთ. იმ შეხვედრაში „არსენალი“ 4:0-ს იგებდა, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა 4:4 დასრულდა. რასაკვირველია, თავისი როლი მსაჯთა შეცდომებმა და მოწინააღმდეგე გუნდის ზოგი ფეხბურთელის ქცევამაც ითამაშა“.

კრევუასიემ, რომელიც **ჟერარ ულიეს** მწვრთნელობის დროს „ლივერპულში“ მუშაობდა ვენგერის ბიჭების დადებითი და უარყოფითი თვისებების აღმოსაჩენად 117-კითხვიანი ტესტი მოიფიქრა. ამ სპეციალისტს პერსონალურად უმუშავია **ტიერი ანრისთან**, **ნიკოლა ანელკასთან**, **ჯეკ უილშირთან** და თეო უოლკოტთან. დღეს ის ამტკიცებს, რომ „არსენალს“ დაცვის გაძლიერება სჭირდება:

„უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ცენტრალური მცველი, რომელიც ტომას ვერმაელენსა და ლორან კოშელნის შეავსებდა. ეს უნდა იყოს, დაახლოებით რიო ფერდინანდის კალიბრის ფეხბურთელი. ვინმე, ტონი ადამსის მაგვარი, რომელსაც მეტოქის თავდამსხმელებთან ორთაბრძოლაში შესვლა შეუძლია.. რაც ვენგერი „არსენალის“ მწვრთნელია, ადამსზე უკეთესი მცველი არ ჰყოლია. უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი „არსენალი“ ხშირად სწორედ ამ პოზიციიდან ისჯება. ბაკარი სანია, კოშელნი და გაელ კლიში დიდი მცველები ნამდვილად არ არიან, ხომ მეთანხმებით?

თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს: არსენს ამ პოზიციაზე ახალი მოთამაშის მიყვანა რომც მოუნდეს, საიდან უნდა მოიყვანოს ის და რა უნდა გადაიხადოს?

სხვა მხრივ კი ახლა „არსენალი“ შარშანდელზე დაბრძენებული და გამოცდილი ჩანს. თუ ვენგერის გუნდი კარგ ფორმას შეინარჩუნებს, ტრავმებს გადაურჩება და დაშავებულ ვერმაელენსაც მალე დაიბრუნებს, ვფიქრობ, პრემიერლიგის ტიტულის რეალური კანდიდატი იქნება. ასეთ შემთხვევაში ჩემპიონის ვინაობა მას და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის გაირკვევა. კიდევ, მათ ორი ინგლისური თასის მოპოვებაც შეუძლიათ.

მე არსენს ხშირად ველაპარაკები და ვიცი, რომ ჯილდოს გარეშე ყოფნა აღარ შეუძლია. მას ფეხბურთში სილამაზე უყვარს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის მებრძოლი ბუნების ადამიანია“.



ჟაკ კრევუასიე

**ვენგერის მეგობარი და ფსიქოლოგი ასკვნის:**
- არსენალს B გეგმა არა აქვს
- არსენალს „ტონი ადამსი“ აკლია
- არსენალი დაბრძენდა
- არსენალი ტიტულებს მოიგებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● რომა

# სენსი: რა დროს ანჩელოტია? ვილაპარაკოთ მონტელაზე

"რომას" მთავარ მწვრთნელად რომ **ვინჩენცო მონტელა** დაინიშნა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. ახალგაზრდა სპეციალისტმა სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება და თუ მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ თანამშრომლობით, კონტრაქტი გახანგრძლივდება. თუმცა, პრესაში უკვე აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან "ჯალოროსის" **კარლო ანჩელოტი** ჩაუდგება სათავეში. კარლიტომ თითქოს ამოწურა თავისი თავი ინგლისში და თუ მიმდინარე სეზონში ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგო, დიდი ალბათობით დაემშვიდობება კიდეც "ჩელსის". ანუ, ზაფხულში თავისუფალი იქნება და თუ "რომას" მესვეურებისგან წინადადება მიილო, წესით, უნდა დათანხმდეს. მით უმეტეს, ანჩელოტი ყოველთვის ამბობდა, რომ "ჯალოროსის" გაწვრთნა მისი ერთ-ერთი მთავარი ოცნება იყო. შეგახსენებთ, რომ კარლო რვა წლის განმავლობაში ასპარეზობდა დედაქალაქურ გუნდში და ამად არის, რომ ტრიგორიაზე დაბრუნების დიდი სურვილი აქვს. აქვე აღვნიშნოთ, რომ საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ანჩელოტიმ სამ გუნდში ითამაშა, "რომას" გარდა, "მილანის" და "პარმას" ღირსებას იცავდა. საგულისხმოა, რომ ემილიური და ლომბარდიული გუნდების მთავარ მწვრთნელად უკვე იმუშავა, დარჩა "რომა" და ვნახოთ, გამართლდება თუ არა



ანჩელოტი ჯერ მხოლოდ უბრალო რომანისტაა

ჟურნალისტთა პროგნოზი. თავად მწვრთნელი "კორიერე დელო სპორტთან" საუბარში შემდეგს აცხადებს:

*"ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ "რომას" ჩემს გულში დიდი ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა, ჯერ არ მომცემია ამ გუნდში მუშაობის საშუალება და არც ის ვიცი, როდის დადგება ეს დღე. ინგლისში ყველაფერი მაკმაყოფილებს, ენთუზიაზმი არ გამნელებია და ჯერჯერობით, "ჩელსის" დატოვებას არ ვაპირებ. "რომა" კი ოცნებაა, რომელიც იმედია ოდესმე ასრულდება".*

ანჩელოტის კომენტარი ბევრს არაფერს გვეუბნება, კლუბის პრეზიდენტ **როზელა სენსის** კი შემდეგი პოზიცია აქვს: *"მიკვირს, რომ კარლო ანჩელოტიზე ვსაუბრობთ, რადგან "რომას" სულ რამდენიმე დღეა, რაც ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ვინჩენცო მონტელაზე შემთხვევით არ შეგვიჩერებია არჩევანი და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მოლოდინს 100%-ით გაამართლებს. კარგად ვიცნობ მის პიროვნულ თვისებებს და ვფიქრობ, რომ სწორედ მისი მენტალიტეტი უნდა დაინერგოს გუნდში. რამდენიმე სხვა კანდიდატურაც გვყავდა, მაგრამ არჩევანი სრულიად შეგნებულად სწორედ ვინჩენცოზე შევაჩერეთ. რაც შეეხება ანჩელოტის, მას ვაფასებთ როგორც ნამდვილ რომანისტას – უფრო მეტს დღეს ვერაფერს გეტყვით".*

**ლაშა ნიკლაური**

● ლაციო

# ლოტიტოს მოულოდნელი განცხადება

## ასეთი ჩემპიონი არ გვჭირდება

სერია A-ს უკანასკნელი ტური "ლაციოსთვის" განსაკუთრებულად წარმატებული გამოდგა. "ბარის" ძლევით "ბიანკოჩელესტემ" სამი ქულა ჩაიწერა აქტივში, კონკურენტებმა კი წაიფორხილეს და საგრძნობლად გაირთულეს სატურნირო მდგომარეობა. "ლაციო" ამ დროისთვის მეოთხე ადგილზეა და მთელი ოთხი ქულით უსწრებს მეხუთე პოზიციაზე მყოფ "უდინეზეს". თუმცა, გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგის საგზური აღარ აკმაყოფილებთ და ბევრი სკუდეტოზეც თამამად საუბრობს. ეს თემა ჟურნალისტებმაც აიტაცეს და **კლაუდიო ლოტიტოს** სთხოვეს პოზიციის დაფიქსირება. სანამ სიტყვას გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტის პოზიციამ საფეხბურთო იტალია ძალიან გააკვირვა:

*"სკუდეტო? – დავეშვათ მიწაზე და უფრო რეალისტურ გეგმებზე ვისაუბროთ. კი ბატონო, ჩემპიონატის მოგება ყველას ძალიან გაგვახარებს, ეს ისტორიული მოვლენა იქნება, მაგრამ მეორე მხრივ, გვყავს კი საჩემპიონო გუნდი? – ვფიქრობ, რომ არა. როდესაც სვენ გორან ერიქსონის დროს "ლაციომ" სკუდეტო მოიგო, მაშინ მართლაც ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობდნენ "ბიანკოჩელესტეში" და ობიექტურად უძლიერესი გუნდი გვყავდა. დღეს კი ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა უნდა იყოს და იმედია, ამ ამოცანას შევასრულებთ. გუნდი ვითარდება და წინ მიდის, ეს მახარებს, მაგრამ სკუდეტოზე საუბარი დღეს ძალიან ადრეა. სიმართლე გითხრათ, არ მინდა იტალიას ისეთი ჩემპიონი ჰყავდეს, როგორიც დღევანდელი "ლაციოა". ეს იმის ნათელი დადასტურება იქნება, რომ სერია A-ს დონემ საგრძნობლად დაიწია. სუსტ ჩემპიონატში პირველობას კი მირჩევნია ძლიერთა შორის მეოთხე ვიყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელებს და მით უმეტეს, მთავარ მწვრთნელს სათანადოდ არ ვაფასებ – მათი მისამართით კარგის მეტი არაფერი მეთქმის. თავის საქმეს პირნათლად ასრულებენ და მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ".*

**ლაშა ნიკლაური**



კლაუდიო ლოტიტო

● იუვენტუსი

# ტურინელებმა ესპანეთს გახედეს




ბოიან კრკიჩი

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გუშინ "კორიერე დელო სპორტმა", რომელიც "იუვენტუსს" და მის სატრანსფერო პოლიტიკას ეხება. როგორც ჩანს, მიმდინარე სეზონში წარუმატებელი ასპარეზობიდან გამომდინარე, ტურინული გრანდის მესვეურები გუნდის გაძლიერებაზე დაფიქრდნენ და თვალი ესპანეთში მოთამაშე ფეხბურთელებს დაადგეს. საუბარია "რეალის" საყრდენ ნახევარმცველ **ფერნანდო გაგოსა** და "ბარსელონელ" შემტევ **ბოიან კრკიჩზე**. "კორიერეს" ცნობით, პიემონტელებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ, რომ ზაფხულში მადრიდელებს და კატალონიელებს ოფიციალური წინადადებით მიმართავენ.

გაგოს შემთხვევაში ბარტერზეა საუბარი – ანუ, არგენტინელი "იუვენტუსში", **მოჰამედ სისოკო** კი "რეალში". რაც შეეხება კრკიჩს, თუ ავტორიტეტულ გამოცემას ვენდობით, ტურინელები მის სანაცვლოდ 20 მილიონი ევროს გადახდას არიან ყაბულს. "იუვეს" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** ამ ინფორმაციას არ უარყოფს, რაც ალბათ დადასტურებას ნიშნავს: *"გაძლიერება არც ერთ გუნდს არ აწყენს და მათ შორის, არც "იუვენტუსს". ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონში რაღაც გვაკლია და ამ რაღაცას პოვნა სჭირდება. თუმცა, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა. სეზონი გადამწყვეტ ფაზაშია შესული და თითოეულ თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანია დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმი მოვიპოვოთ. რაც შეეხება კრკიჩისა და გაგოს შესაძლო ტრანსფერებს, მხოლოდ ერთი შემიძლია გითხრათ, ორივე შესანიშნავი ფეხბურთელია".*

**ლაშა ნიკლაური**

● დორტმუნდი



რომან ვაიდენფელერი ვარჯიშის დროს დაშავდა

# ვაიდენფელერი დაშავდა!

## თუ შაბათამდე ვერ მომჯობინდა, ბაიერნთან ბორუსიას კარში გამოუცდელ მეკარეს ვიხილავთ...

მიუნხენის „ბაიერნთან“ უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩის წინ, დორტმუნდის „ბორუსიას“ გულშემატკივრებმა შოკისმომგვრელი ინფორმაცია შეიტყვეს: ბუნდესლიგის ლიდერის მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და დიდი შანსია, რომ შაბათს რეკორდმაისტერთან ვერ ითამაშოს. თუ რომანი „ბაიერნთან“ კარში ვერ ჩადგება, ის ახალგაზრდა და გამოუცდელმა კიპერმა, **მიტჩელ ლანგერაკმა** უნდა შეცვალოს.

30 წლის ვაიდენფელერი სამშაბათის ვარჯიშზე, **მატს ჰუმელსთან** ორთაბრძოლისას დაშავდა და „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპს** უდიდესი თავსატეხი გაუჩინა. რომანმა თავიდან ვარჯიში არ შეწყვიტა, მაგრამ მერე მუხლი გაუსივდა და იძულებული გახდა, ექიმებისთვის მიემართა. „დორტმუნდის“ სამედიცინო შტაბში აცხადებენ, რომ ვაიდენფელერს შაბათამდე მომჯობინების ძალიან მცირე შანსი აქვს და შეძლებს თუ არა „ბაიერნთან“ თამაშს, ეს პარასკევს გაირკვევა.

რაც შეეხება ლანგერაკს, რომელსაც ვაიდენფელერის შეცვლა მოუწევს: 22 წლის ავსტრალიელს გერმანიაში თამაშის გამოცდილება ფაქტობრივად არ აქვს. აქამდე მან „დორტმუნდის“ მაისურა მხოლოდ ერთხელ მოირგო და ისიც რეგიონალლიგაში, გასულ უქმეებზე. რომან ვაიდენფელერის არყოფნა „ბაიერნთან“ მატჩში BVB-სთვის ძალიან სერიოზული დანაკლისი იქნება, რადგან ვესტფალიური კლუბის გამოცდილ მეკარეს გუნდის წარმატებებში ლომის წვლილი მიუძღვის. სწორედ რომანის დამსახურებაა ის, რომ „ბორუსიას“ მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში ყველაზე ცოტა გოლი აქვს გაშვებული.

**გოტფრიდ ლენცი**

# შმელცერი 2014 წლამდე

ამასობაში, „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების მარცხენა მცველმა **მარსელ შმელცერმა** დორტმუნდულ კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი და თავისი ბედი BVB-ს 2014 წლამდე დაუკავშირა. **სვენ ბენდერის** (2016 წლამდე), **კევინ გროსკროიტცისა** და **მარიო გიოტცეს** (ორივე 2014 წლამდე) შემდეგ, შმელცერი „დორტმუნდის“ მეოთხე ტალანტია, რომელმაც ამ სეზონში ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მარსელს ამ სეზონში ბუნდესლიგის 23-ივე მატჩი აქვს ჩატარებული (კიკერის საშუალო შეფასება 3.0).

აქვე გეტყვით, რომ „შავ-ყვითლების“ 29 წლის ეგვიპტელმა თავდამსხმელმა **მოჰამედ ზიდანმა** ტრავმა მიიღო და კლოპის გუნდს უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

**გოტფრიდ ლენცი**

● ინგლისი. პრემიერლ. გამოტოვებ. მატჩი

**არსენალი–სტოკი 1:0**

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, დჯურუ, სკილაჩი, კლიში - უოლკოტი (71. დენილსონი), უილშირი, სონგი, ნასრი - ფაბრეგასი (14. არშავინი), ბენდტნერი (80. შამახი)

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილსონი (88. უილკინსონი), ჰუთი, შოუკროსი, პაფი - პენანტი, უილენი, უაიტჰედი, დილეპი - უოლტერსი (78. ფულერი), კარეუ

**გოლები:** 1:0 სკილაჩი (8)

**გაფრთხილება:** კლიში - უოლტერსი, უილსონი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 7-10; **კარში დარტყმა:** 10-7 (4-1); **თამაშგარე:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 71%-29%

**მაყურებელი:** 60 041

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57-25 | 57 |
| 2. არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57-27 | 56 |
| 3. სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43-24 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38-31 | 47 |
| 5. ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46-22 | 45 |
| 6. ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35-32 | 39 |
| 7. სანდერლენ. | 27 | 9 | 10 | 8 | 33-33 | 37 |
| 8. ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38-37 | 36 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42-38 | 35 |
| 10. სტოკი | 27 | 10 | 3 | 14 | 31-34 | 33 |
| 11. ბლეკბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34-42 | 32 |
| 12. ბლეკპული | 27 | 9 | 5 | 13 | 42-51 | 32 |
| 13. ფულჰემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28-28 | 31 |
| 14. ევერტონი | 26 | 6 | 12 | 8 | 33-36 | 30 |
| 15. ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25-35 | 30 |
| 16. ასტონ ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31-46 | 30 |
| 17. ვესტ ბრომ. | 27 | 7 | 7 | 13 | 35-52 | 28 |
| 18. უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27-45 | 27 |
| 19. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30-48 | 25 |
| 20. ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27-46 | 25 |

● იტალია. სერია A გამოტოვ. მატჩი

**ბოლონია–რომა 0:1**

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო – ესპოზიტო, მუტარელი (71. სილიგარდი), ჩერუბინი, რუბინი (88. მორლეო) – კაზარინი, მუდინგაი, დელა როკა – რამირესი – მეჯორინი (70. პაპონი), დი ვაიო.

**რომა (4-3-1-2):** დონი – ნ. ბურდისო, რიისე, მექსე, კასეტი – დე როსი, პიზარო, ტადეი – სიმპლისიო (79. ბრიგი) – ბორიელო (73. ტოტი), ვუჩინიჩი (82. მენეზი).

**გოლი:** 0:1 დე როსი (45).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 7(2)-12(3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46-20 | 55 |
| 3. ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41-22 | 52 |
| 2. ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47-29 | 50 |
| 4. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 33-22 | 48 |
| 5. უდინეზე | 26 | 13 | 5 | 8 | 42-30 | 44 |
| 6. რომა | 26 | 12 | 6 | 8 | 39-36 | 42 |
| 7. იუვენტუსი | 26 | 11 | 8 | 7 | 41-32 | 41 |
| 8. პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44-36 | 40 |
| 9. კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-28 | 35 |
| 10. ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 24-25 | 35 |
| 11. ფიორენტინა | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| 12. ბოლონია | 26 | 9 | 8 | 9 | 27-34 | 32 |
| 13. კიევო | 26 | 7 | 10 | 9 | 28-29 | 31 |
| 14. სამპდორია | 26 | 7 | 10 | 9 | 23-27 | 31 |
| 15. პარმა | 26 | 6 | 9 | 11 | 25-36 | 27 |
| 16. ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 28-46 | 27 |
| 17. კატანია | 26 | 6 | 8 | 12 | 22-34 | 26 |
| 18. ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 20-33 | 23 |
| 19. ჩეზენა | 26 | 5 | 7 | 14 | 19-36 | 22 |
| 20. ბარი | 26 | 4 | 6 | 16 | 14-40 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

### სილვას მანჩესტერიც მოსწონს და სიტიც

„მანჩესტერ სიტის“ ესპანელი ლეგიონერი **დავიდ სილვა** ძალიან გაულიზიანებია მედიის მტკიცებას, რომ ის თავს ბედნიერად ვერ გრძნობს „ისთლენდზე“ და კლუბის შეცვლა სწყურია. ამ თემით უმთავრესად ესპანური მედია სპეკულირებდა. სილვამ კი გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო მოუღოს ასეთ ხმებს: *„ეს სტატიები, რომ წავიკითხე, ძალიან გავვოცდი, ისევე როგორც ჩემ ირგვლივ მყოფები. რა თქმა უნდა, ესპანელ ჟურნალისტებს ინტერვიუებს ვაძლევ ხოლმე, მაგრამ მსგავსი ფრაზები არსად მითქვამს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ „მანჩესტერ სიტიში“ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ძალიან მომწონს მანჩესტერიც, დიდი ქალაქია და შენი ცხოვრებით ყოფის საშუალებას გაძლევენ“*, - განუცხადა ესპანელმა „მანჩესტერ სიტის“ ოფიციალურ ვებსაიტს. 25 წლის ესპანელს სეზონის განმავლობაში ჰქონდა ჩავარდნები, მაგრამ ახლა კარგ ფორმაშია და თამაშიც ხშირად უწევს, ის კვლავ მიიწვიეს ეროვნულ გუნდშიც.

### კოპა-2015 ბრაზილიას

გუშინ ცნობილი გახდა, თუ რომელი ქვეყანა უმასპინძლებს 2015 წლის სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს, იგივე კოპა ამერიკას - ბრაზილია. კონმებოლი მასპინძლის შერჩევისას როტაციის პრინციპით მოქმედებს, ამიტომაც მომავალ ოთხ წელიწადში კოპას გამართვა ბრაზილიას ეკუთვნოდა, თუმცა ამ კანდიდატურას ბევრი კრიტიკოსიც ჰყავდა. შემდეგი კოპა - 2019 წელს ჩილეს უწევს, ჩილეელებმა ბრაზილიელებს გაცვლა შესთავაზეს, მაგრამ მათგან ცივი უარი მიიღეს. 2014 წლიდან მოყოლებული ბრაზილია სპორტული სამყაროს ცენტრი ხდება: იქ ჯერ მუნდიალი, შემდეგ კოპა ამერიკა და ბოლოს ოლიმპიადა გაიმართება. და ეს ყველაფერი, სულ რაღაც, სამ წელიწადში. შეგახსენებთ, რომ უახლოესი კოპა ამერიკა წლეულს ივლისში არგენტინაში გაიმართება.

### ხედირას ოთხთავა და 15 დღე

მადრიდის „რეალის“ გერმანელი ნახევარმცველი **სამი ხედირა** მომდევნო 15 დღეს იუქმებს. მიზეზი ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის პირველ მატჩში, „ლიონთან“ მიღებული ტრავმაა. გერმანიის ნაკრების წევრი საფრანგეთში **ლასანა დიარამ** 69-ე წუთზე შეცვალა. „ლოს ბლანკოსის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ხედირამ მარცხენა ფეხის ოთხთავა კუნთი გაიჭიმა. *„მის მდგომარეობას სწავლობენ და ხუთშაბათს ტესტები უფრო ზუსტ დიაგნოზს დაადგენენ. ესპანურმა მედიამ დაადგინა, რომ ამ სახის ტრავმის მორჩენას დაახლოებით 15 დღე დასჭირდება.* ასე რომ, „რეალის“ 23 წლის ახალწვეული (ხედირა პირველ სეზონს ატარებს „სამეფო კლუბში“) ლა ლიგის მომავალ სამ ტურს გამოტოვებს, „დეპორტივოსთან“, „მალაგასთან“ და „რასინგთან“.



სესკ ფაბრეგასი

### სტატისტიკის მიხედვით...

„ოპტა სტატისტიკსის“ მიხედვით, მთელ ევროპაში ყველაზე შემოქმედი ფეხბურთელი „არსენალის“ ესპანელი ლეგიონერი და კაპიტანი **სესკ ფაბრეგასია.** სესკი, რომელიც „მეთოფეთა“ შეტევების მთავარი „რეჟისორია“, უწყვეტ თამაშში (ანუ შეჩერებების გარეშე) ყოველ 29 წუთში ერთხელ ქმნის გუნდისთვის საგოლე მომენტს. ეს კი საუკეთესო შედეგია ევროპის ხუთ მოწინავე ლიგაში: სერია A-ში, ლა ლიგაში, პრემიერლიგაში, ლიგა 1-სა და ბუნდესლიგაში.

როცა „ოპტა სტატისტიკის“ გამოკვლევის შედეგი სესკის ბოს **არსენ ვენგერს** აცნობეს, ფრანგმა დამრიგებელმა შემდეგი თქვა: *„სულაც არ მიკვირს, ჩემზე უკეთ ვინ იცის, რა განსაკუთრებული ფეხბურთელია სესკი. ის ნამდვილი სენსაციაა თანამედროვე ფეხბურთში. სესკის დიდი დამსახურებაა, რომ „არსენალს“ ბევრი გოლი გააქვს“.* პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ფაბრეგასის ანგარიშზე 10 საგოლე პასია.

### კიკე კალდერონიდან პისხუანზე?

რას აღარ გაიგებ - ესპანურ მედიაში ბოლო დროს მოხშირდა სტატიები, რომ „სევილია“ მალე დაშორდება მწვრთნელ **გრეგორიო მანსანოს** და მის ნაცვლად ანდალუსიურ კლუბს „ატლეტიკოს“ ახლანდელი თავკაცი **კიკე სანჩეს ფლორესი** გაწვრთნის. „მარკა“ ამ ყველაფერს ცოტა მოგვიანებით, სეზონის ბოლოს ვარაუდობს, როცა კიკე ვერ შეასრულებს პირობას და მადრიდულ კლუბს ოთხეულში ვერ გაიყვანს. შესაბამისად, მას „ვისენტე კალდერონიდან“ დაითხოვენ. დიდი მომავალი „სევილიაში“ არც გრეგორიო მანსანოს აქვს, სამაგიეროდ, „სანჩეს პისხუანზე“ მოწადინებულნი არიან, გუნდი ახალგაზრდა და ენერგიულმა კიკემ ჩაიბაროს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ბარსელონა



სანდრო როსელმა პეპი კიდევ ერთი წლით (მიაქციეთ ყურადღება პეპის თითს) დაითანხმა



**ხოსეპ გვარდიოლა ი სალა**

**დაიბადა:** 1971 წ. სანტპედორი (კატალონია)
**სიმაღლე:** 180 სმ
**საფეხბურთო ამპლუა:** საყრდენი ნახევარმცველი ბარსელონაშია 1983 წლიდან
**კლუბები:** ბარსელონა (1990-2001); ბრეშა (2001-2002, 2003); რომა (2002-2003); ალ-აჰლი (2003-2005); დორადოსი (2005-2006)
**ესპანეთის ნაკრები:** 47 თ. 5 გ.
**სამწვრთნელო კარიერა:** ბარსელონა ბ (2007-2008); ბარსელონა (2008-დღემდე).

# სიტყვის კაცი

გუშინ **ხოსეპ გვარდიოლამ** „ბარსელონასთან“ ოფიციალურად გააფორმა ახალი კონტრაქტი. ის, რომ 40 წლის სპეციალისტი კლუბის ხელმძღვანელობას პრინციპულ საკითხზე შეუთანხმდა, უკვე ვწერდით. გუშინ, უბრალოდ, ამ საქმეს თავი მოება. ხელმოწერის ცერემონიალი გუშინ დილით „კამპ ნოუზე“ მოეწყო. სუპერწარმატებულმა მწვრთნელმა, რომელსაც ივნისის ბოლოს ეწურებოდა კონტრაქტი, ხელშეკრულება ზუსტად 12 თვით გააგრძელა. ახლა პეპი 2012 წლის 30 ივნისამდე „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელია.

თუკი გვარდიოლა ბოლომდე გაასრულებს (ანუ ოთხი წელი იმუშავებს „ბლაუგრანას“ თავკაცად) ამ კონტრაქტს, ის „ბარსელონას“ ისტორიაში მეოთხე მწვრთნელი გახდება კლუბის გაწვრთნის ხანგრძლივობით **კრუიფის, გრინველისა** და **რაიკაარდის** შემდეგ. დიდი ხანია, რაც გვარდიოლა „კამპ ნოუზე“ წარმატების სინონიმად იქცა - წინა ორი სეზონის განმავლობაში, რაც პეპი კატალონიურ გრანდს მოძღვრავს, „ბარსამ“ 10 შესაძლებელიდან 8 ტიტული მოიგო! ესპანურ ლიგაში მან 100 მატჩში გამოიყვანა გუნდი და 79-ჯერ მოაგებინა. უფრო მეტიც, ვიდრე სტატისტიკას შეუძლია გვამცნოს - „ბარსამ“ გვარდიოლას ხელში უმაღლეს დონეზე დახვეწა თამაშის სტილი, რომელსაც დედამიწის ზურგზე მილიონობით გულშემატკივარი აღტაცებაში მოჰყავს.

გუშინ პეპს დატვირთული დღე ჰქონდა, ის ცერემონიაზე მრჩეველის, **ჟოზეფ ორობიტგის** თანხლებით მივიდა, მას შემდეგ, რაც გუნდმა დილის ვარჯიში დაასრულა. კონტრაქტს ხელი პეპმა და „ბარსას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** მოაწერეს.

2009 წელს გვარდიოლას გუნდმა ენითაუწერელი რამ ჩაიდინა - 6 ტიტული მოიგო! არა გვგონია, რომელიმე კლუბმა, თუნდაც იმავე „ბარსამ“, ეს შედეგი მალე გაიმეოროს, თუკი ოდესმე ვინმე ამას შეძლებს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი სეზონის მიმდინარეობისას განაახლეს **სერხიო ბუსკეტსმა** და **ბოიან კრკიჩმა**, მომავალ კვირაში იმავეს **ერიკ აბიდალი** იზამს. ამბობენ, ბრაზილიელი **დანი ალვეშის** კონტრაქტთან მიმართებაშიც სასიკეთო ძვრებიაო...

მოდით, გავეცნოთ პეპის ყველაზე ფრთიან გამონათქვამებს და მიხვდებით, რატომ დავარქვით სტატიას ასეთი სათაური:

*„ტიტულებს ვერ დაგპირდებით, მაგრამ ერთს ვიტყვი, ხალხი ჩვენით იამაყებს“.*

**17/06/2008: პრეზენტაციაზე ნათქვამი**

---

*„მე სიტყვა მოგეცით, რომ მუხლჩაუხრელად ვიშრომებ და ასეც იქნება. არ გპირდებით მოგებებს, გპირდებით შრომას. ასე რომ, სწრაფად დაიკავეთ თქვენი ადგილები, საოცარი სეზონი გელით“.*

**16/08: „ბარსას“ ფანებთან სეზონისწინა შეხვედრაზე ნათქვამი**

---

*„ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემს ცხოვრებაში იშვიათია ასეთი დღე. აქ, ამ სტადიონზე ასე ითამაშო, სიამაყის საფუძველია. დღეს ჩვენ ძალიან ბევრი ადამიანი გავახარეთ, ეს კი უდიდესი შეგრძნებაა“.*

**02/05/2009: „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ 6:2 დამარცხების შემდეგ.**

---

*„მაგარია, მაგრამ გპირდებით, რომ არც ოთხშაბათს შეგარცხვენთ“.*

**23/05: ესპანური დუბლის (ჩემპიონატი და თასი) ზეიმისას, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ.**

---

*„ვერც კი წარმოიდგენთ, რა ლამაზია დღეს ბარსელონას ქუჩები, სტადიონი. მინდა სამი რამ გითხრათ: პირველი, თუკი ამ სეზონში რამე შეცდომა დავუშვით, გვაპატიეთ ამ მიღწევის გამო; მეორე, ყველა ჩემს კოლეგას დიდ მადლობას გადავუხდი და მესამე, ყველას გთხოვთ, ოვაციები მოუწყეთ ამ ბიჭებს, ფეხბურთელებს - წარმატების მთავარ შემოქმედებს“.*

**28/05: ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ**

---

*„უნდა ავაშენო ის შენობა, რისი აშენებაც შემიძლია: ვიშრომოთ ბოლომდე, ვიზრუნოთ გუნდის წარმატებაზე, შევინარჩუნოთ მოტივაცია. მე მჯერა ამ გუნდის“.*

**20/07: ახალი სეზონის წინ პირველ პრეზენტაციაზე.**

---

*„დავიწყებ იმით, რომ ჩემს ფეხბურთელებს მადლობას გადავუხდი იმ თვეებისთვის, რაც მათ კლუბის წარმატებას შესწირეს. არასოდეს დავივიწყებ, რომ რაც ვარ და ვინც ვარ, მათი დამსახურებით ვარ“.*

**19/12: მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგების შემდეგ**

---

*„ჩვენ ფანებთან ვალში ვართ, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, მათ ძალიან მაგრად დაგვიჭირეს მხარი ჩემპიონატში“.*

**16/05/2010: ზედიზედ მეორე ჩემპიონატის მოგების შემდეგ**

---

*„ძალიან დიდი სურვილი მაქვს ისევ ისე ვიმუშაო - ანუ კარგად. მინდა, რომ ფანები ისევ ამაყობდნენ „ბარსას“ თამაშის სტილით.*

**19/07: ახალი სეზონისთვის მიძღვნილ პირველ პრესკონფერენციაზე**

---

*„ჩემი სიტყვა ასეთია - ისევ და ისევ - ყველაფერს გავიღებთ კლუბის წარმატებისთვის. მჯერა, რომ ეს სეზონიც „ბარსელონასთვის“ დიდებული გამოდგება“.*

**25/08: ახალი სეზონის პრეზენტაციაზე**

---

*„ასეთი დიდებული მომენტით ვტკბებით. ყველა მაგარ განწყობაზეა, რადგან თითოეული ფეხბურთელი მძიმე შრომის შედეგს ხედავს, თან როგორ შედეგს“.*

**29/11: „კლასიკოზე“ „რეალის“ 5:0 განადგურების შემდეგ**

---

*„არ მინდა წარსულით ვიცხოვრო და დავტკბე. იმავე შედეგების გამეორება კი გაგვიჭირდება, მაგრამ, მწამს, რომ მოგებებს კვლავაც გავაგრძელებთ“.*

**11/02: პრესკონფერენციაზე, სადაც პირველად გაცხადდა, რომ პეპი კონტრაქტს გააგრძელებდა**

---

### ევროპის ლიგა. პლეი ოფის საპასუხო მატჩების წინ

| დღეს | |
|---|---|
| ზენიტი-იანგ ბოისი | 20:00 (1:2) |
| ლევერკუზ.-მეტალისტი | 22:00 (4:0) |
| ლივერპული-სპარტა | 22:00 (0:0) |
| პსვ-ლილი | 22:00 (2:2) |
| სპარტაკი-ბაზელი | 22:00 (3:2) |
| სპორტინგი-რეინჯერსი | 22:00 (1:1) |
| აიაქსი-ანდერლეხტი | 00:05 (3:0) |
| ბრაგა-ლეხი | 00:05 (0:1) |
| დინამო-ბეშიქთაში | 00:05 (4:1) |
| სიტი-არისი | 00:05 (0:0) |
| პსჟ-ბატე | 00:05 (2:2) |
| შტუტგარტი-ბენფიკა | 00:05 (1:2) |
| ტვენტე-რუბინი | 00:05 (2:0) |
| ვილიარეალი-ნაპოლი | 00:05 (0:0) |




ჯანომ შვეიცარიაში „სპარტაკს“ მოაგებინა, რას იზამს საპასუხო მატჩში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ექვსი წლის შემდეგ: მეოთხედფინალი რეალურია!

## რა უნდა მოხდეს სანტიაგო ბერნაბეუზე?

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

OLYMPIQUE LYONNAIS

**ლიონი (საფრანგეთი) 1:1 რეალი (ესპანეთი)**

**22 თებერვალი. ლიონი. სტად დე ჟერლანი. 40 300 მაყურებელი**

**გოლები:** 0:1 ბენზემა (65), 1:1 გომისი (83)

**ლიონი (4-5-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო - ბაშტოში (69. ბრიანი), გურკუფი, ტულალანი, კალსტრიომი (77. პიანიჩი), დელგადო (69. პიე) - გომისი.

**რეალი (4-3-2-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, არბელოა - დი მარია, ჩაბი ალონსო, ხედირა (68. ლ. დიარა) - იოზილი (75. მარსელო), რონალდო - ადებაიორი (64. ბენზემა).

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**„რეალმა“ „ლიონს“ ზედიზედ მეშვიდე თამაში ვერ მოუგო, მაგრამ „სტად ჟერლანზე“ მიღწეულმა ფრემ (1:1) ჟოზე მოურინიოს გუნდს საპასუხო მატჩისთვის მეოთხედფინალში გასვლის ძალიან კარგი შანსი დაუტოვა და თუ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „სამეფო გუნდი“ 2004 წლის შემდეგ პირველად გადალახავს მერვედფინალურ ეტაპს.**

### მატჩამდე

**კლოდ პუელმა** 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა აირჩია და ყველასათვის მოულოდნელად, **პიანიჩი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა, ერთადერთ ცენტრფორვარდად **გომისი** გაამწესა, ხოლო მის უკან სწრაფი გარემარბები, **ბაშტოში** და **დელგადო**, შუაში კი ჭკვიანი **გურკუფი** დააყენა.

ჩვენი ესპანელი კოლეგების ვარაუდი არ გამართლდა: მოურინიომ მესამე საყრდენზე უარი თქვა და **ლასანა დიარა** სკამზე დატოვა, მის ნაცვლად კი, სასტარტოში, შემტევი დუეტის, **იოზილისა** და **რონალდოს** გვერდით **ანხელ დი მარია** გაამწესა.

### მატჩი

პირველი რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ 31-ე წუთზე შეიქმნა და **კრიშტიანო რონალდოს** საჯარიმო დარტყმას მოჰყვა, რომელიც **ლორისმა** მოიგერია. შემდეგ იყო ფრანგების ძალიან სახიფათო კონტრშეტევა: გომისმა ბაშტოშს ბურთი მარცხენა ფლანგზე გაატანა, ამ უკანასკნელმა კი **კასილიასის** საჯარიმოში ჩააწოდა. იკერმა კარი დატოვა, მაგრამ ბურთი უხეიროდ მოიგერია. გომისი ადგილზე გაჩნდა, 13 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ კასილიასმა რეაქცია მაინც მოასწრო და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი რონალდოს მორიგი ბრწყინვალე ჯარიმით დაიწყო: პორტუგალიელმა ლორისის კარის ძელი შეაზანზარა. არ გასულა წუთზე მეტი და „ლიონი“ გაშვებული გოლისგან ისევ ძელმა იხსნა, როცა იოზილის კუთხურს **სერხიო რამოსი** გამოეხმაურა.

65-ე წუთზე „რეალმა“ ანგარიში გახსნა: **ქარიმ ბენზემა** მოედანზე სულ რაღაც 42 წამის შესული იყო, როცა ბურთისთვის სამაგალითოდ იბრძოლა და იოზილ-რონალდოს ბრწყინვალე კომბინაციის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, საჭირო პაუზა გააკეთა და ლორისს ბურთი ფეხებშუა გაუტარა. **კრისი** ბურთს მისწვდა, მაგრამ უხეიროდ - 0:1.

როცა ყველამ იფიქრა, რომ მადრიდელები თამაშს მოიგებდნენ, გომისმა წონასწორობა აღადგინა: გურკუფის საჯარიმო ჩაწოდება, კრისმა საჰაერო დუელი მოიგო და ბურთი თავით გომისს დაუგდო, რომელიც თამაშგარეში ჩარჩენას გადაურჩა და კასილიასს შანსი არ დაუტოვა.

ამრიგად, პირველ ტაიმში „ლიონი“ ფლობდა უპირატესობას, მეორეში კი „რეალი“, მაგრამ იმის გამო, რომ ბურთი ორჯერ მოხვდა „ლიონის“ კარის ძელს, უნდა ვთქვათ, რომ ფრანგულ კლუბს გაუმართლა, ეს თამაში რომ არ წააგო.

### რეაქციები

**კლოდ პუელი** („ლიონის“ მწვრთნელი): *„ჩემი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, თითოეული მათგანი მაქსიმალურად ეცადა, მაგრამ ვიცი, რომ მეტი შეგვიძლია. დაცვაში რეალურად მხოლოდ ერთხელ შევცდით და ის შეცდომაც გაშვებული გოლის ფასად დაგვიჯდა.“*

**ჟოზე მოურინიო** („რეალის“ მწვრთნელი): *„ჩემპიონთა ლიგისთვის დამახასიათებელი თამაში გამოვიდა. ძალიან კარგ გუნდთან, რომელსაც ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს, სტუმრად 1:1 ვითამაშეთ და უკმაყოფილების საფუძველი არ მაქვს. მარტო მსაჯით ვარ უკმაყოფილო, რადგან მან 55 მეტრიდან ვერ დაინახა, რაც მე 50 მეტრიდან დავინახე. პენალტი გვეკუთვნოდა!“*

### TOP ფეხბურთელი

**ქარიმ ბენზემა (რეალი)**

ფაქტია, რომ ბენზემას ეს საღამო ძალიან დიდხანს ემახსოვრება. მოურინიომ ყოფილ კლუბთან მატჩში ის სათადარიგოთა სკამზე დასვა და როცა მოედანზე შეუშვა, ფრანგ თავდამსხმელს უდიდესი მონდომება ეტყობოდა. რაც ყველაზე მთავარია, ბენზემამ მოედანზე შესვლიდან 42 წამში უაღრესად მნიშვნელოვანი გოლის გატანა შეძლო. ესეც რომ არ იყოს, ბენზემა გაცილებით ეფექტური იყო, ვიდრე მისი კონკურენტი **ადებაიორი**.

### FLOP ფეხბურთელი

**ანხელ დი მარია (რეალი)**

არგენტინელი პირველ ტაიმში საერთოდ არ ჩანდა და „რეალის“ მადრიდელთაგან პასების ყველაზე ცუდი კვოტა ჰქონდა. მან მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთ შეტევაში მიიღო ნაყოფიერი მონაწილეობა: 85-ე წუთზე ლორისის კარისკენ დაარტყა და ააცილა.

### მსაჯი

შეიძლება ითქვას, რომ გერმანელი **ვოლფგანგ შტარკი** მატჩს საკმაოდ კარგად გაუძლვა - მაგალითად, მან სამართლიანად უჩვენა მე-9 წუთზე სერხიო რამოსს ყვითელი ბარათი, მაგრამ იყო საკამათო ეპიზოდიც: 64-ე წუთზე შტარკს შეეძლო, „ლიონის“ კარში პენალტი დაენიშნა, როცა რონალდოს ჯარიმის დროს გურკუფს საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა.

### ანალიზი

მოლოდინი გამართლდა: „სტად ჟერლანზე“ პირველივე წუთებიდან უმძაფრესი ბრძოლა გაჩაღდა. ფეხბურთელები მოედნის ცენტრში ერთმანეთს სანტიმეტრსაც კი არ უთმობდნენ, რის გამოც პირველ ნახევარ საათში თვალსასეირო მომენტები ფაქტობრივად არ ყოფილა. სამაგიეროდ, იყო 20 ჯარიმა.

უნდა ითქვას, რომ „ლიონი“ „რეალზე“ მეტს ცდილობდა - განსაკუთრებით ბაშტოში და დელგადო აქტიურობდნენ ფლანგებიდან, „რეალს“ კი „სტად ჟერლანზე“ თავისი თამაშის პოვნა საკმაოდ გაუჭირდა. დი მარია **სისოხომ** გათიშა, **რევეიერი**, **ტულალანი** და **კალსტრიომი** კი რონალდოს და იოზილს, როგორც ვამბობთ ხოლმე, პირდაპირ „ფეხებზე აჯდნენ“. სწორედ ამიტომ, მადრიდელებმა პირველ ნახევარ საათში ერთადერთი მომენტი სტანდარტულიდან შექმნეს (რონალდოს ჯარიმა).

სამაგიეროდ, მეორე ტაიმი „სამეფო გუნდმა“ გაცილებით კარგად დაიწყო - მოურინიოს შეგირდებს დაეტყოთ, რომ გასახდელიდან უფრო მობილიზებულები გამოვიდნენ, რადგან „რეალის“ თამაშმა გარკვეული სტრუქტურა მიიღო. თუმცა იოზილი და განსაკუთრებით დი მარია ისევ თვლემდნენ და ერთადერთი, ვინც ინიციატივა საკუთარ თავზე მართლა აიღო, კრიშტიანო რონალდო გახლდათ.

„ლიონისგან“ ველარაფერს ვხედავდით, თუ არ ჩავთვლით შტურმისმაგვარს ბენზემას გოლამდე. ცხადია, მოურინიოს დამსახურებაა ისიც, რომ მეორე ტაიმში „რეალის“ უკანახაზელებმა ბაშტოშისა და დელგადოს უკეთ გაკონტროლება შეძლეს და მადრიდული გრანდი დაცვაში გაცილებით უკეთ, ფაქტობრივად უშეცდომოდ ათამაშდა. მასპინძლებს გადამწყვეტი ძალისხმევა აკლდათ. პლეიმეიქერი გურკუფი არ ჩანდა, გომისს კი **პეპე** და **კარვალიო** ძალიან კარგად მეურვეობდნენ, ოღონდ, მხოლოდ 83-ე წუთამდე, როცა გომისი მათ იდეალურად დაუძვრა და ანგარიში გაათანაბრა. გოლის შემდეგ „ლიონმა“ უფრო მეტი, კერძოდ, მოგება მოინდომა და შეიძლება ითქვას, რომ პუელის შეგირდებს მეორე სუნთქვაც გაეხსნათ, მაგრამ მოურინიოს გუნდმა „ლიონს“ მეტი არაფერი გააბედინა.



# კარლო ხარ და ქუდი გხურავს...

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**კოპენჰაგენი (დანია) 0:2 ჩელსი (ინგლისი)**

**22 თებერვალი. კოპენჰაგენი. პარკენ სტადიონი. 36 700 მაყურებელი**

**გოლები:** 0:1 ანელკა (17), 0:2 ანელკა (54)

**კოპენჰაგენი (4-4-2):** ვილანდი - პოსპეხი, ზანკა, ანტონსონი, ვენდტი (75. ბენგტსონი) - ბოლანიოსი, კვისტი, კლაუდემირი, გრონკიაერი (87. ზოჰორე) - სანტინი (46. ვინგაარდი), ნ'დოიე.

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი - ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი, მალუდა (85. ჟირკოვი) - ანელკა (73. დროგბა), ტორესი (92. კალუ).

**არბიტრი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

**„კოპენჰაგენი“ პირველი დანიური გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დაძლია და ეს უნდა იკმაროს - „კოპენჰაგენი“ ვერ გახდება პირველი დანიური კლუბი, რომელიც მერვედფინალურ ეტაპსაც გადალახავს. „პარკენზე“ გამართულ მატჩში, რომელიც „არისტოკრატებმა“ დამაჯერებლად, 2:0 მოიგეს, ყველაზე საინტერესო არც მეტი, არც ნაკლები, კარლო ანჩელოტის ქუდი იყო...**

### მატჩამდე

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში ორივე გუნდმა ერთნაირი ტაქტიკური სქემით დაიწყო: კლასიკური 4-4-2-ით. დანიელებს წინა ხაზზე **სანტინისა** და **ნ'დოიეს** წყვილი ჰყავდათ, **ვინგაარდი** კი ბევრისთვის გასაკვირად სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. ანჩელოტიმ მოედანზე საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანა: **ფერნანდო ტორესი** ძირითადში ვიხილეთ და ამრიგად, ჩემპიონთა ლიგაში, „ჩელსის“ მაისურით მისი დებიუტი შედგა. კარლიტომ **ობი მიკელი** სკამზე დატოვა, სასტარტოში კი **რამირესი** გაამწესა.

### მატჩი

პირველივე საინტერესო მომენტი გოლით დაგვირგვინდა: **გრონკიაერის** არაზუსტი პასი დანიელებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა - **ანელკამ ვილანდის** კარისკენ აილო გეზი და 15 მეტრიდან დაურტყა. **ანტონსონი** ბურთის მოგერიების მიზნით ამაოდ ჩაწვა და მეკარეც ცუდად გამოიყურებოდა.

თამაში ნანახიც რომ არ გქონდეთ და დიდი შანსია, რომ არც გეყურებინათ, რადგან პარალელურად „ლიონი“-„რეალი“ მიმდინარეობდა, მიხვდებით, რომ მარტო „ჩელსი“ ითამაშებდა. ასეც იყო.

**22-ე წუთი**: ტორესმა მარცხნიდან შეუტია, საჯარიმოში შეიჭრა, **იორგენსენს** გასცდა და 6 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ვილანდმა იყოჩაღა.

**32-ე წუთი:** ამჯერად ანელკამ დააღწია თავი მცველებს, მაგრამ ათი მეტრიდან ცოტა უხეიროდ დაარტყა.

**54-ე წუთი:** ანელკას მეორე გოლი. აღსანიშნავია **ფრენკ ლემპარდის** გენიალური პასი.

**59-ე წუთი**: ისევ ლემპარდის პასი, ოღონდ ამჯერად ტორესისკენ, რომელმაც ორი მცველი მოატყუა და ათი მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ვილანდმა ისევ აუღო.

დასკვნა თქვენ გააკეთეთ...

### TOP ფეხბურთელი

**ნიკოლა ანელკა (ჩელსი)**

გარდა იმისა, რომ ორი გოლი გაიტანა, ფრანგმა გოლეადორმა „კოპენჰაგენის“ მცველებს ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნა. დანიელები მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესდღეობით ანელკა ტორესსა და **დროგბაზე** გაცილებით უკეთეს ფორმაშია.

### FLOP ფეხბურთელი

**დეიმ ნ'დოიე (კოპენჰაგენი)**

ექსპერტები „კოპენჰაგენისთვის“ ამ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრაში ნ'დოიესგან ძალიან ბევრს ელოდებოდნენ, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. სენეგალელი თავდამსხმელი თავიდან საერთოდ არ ჩანდა და მხოლოდ ორი უნიჭო სიმულაციით დაგვამახსოვრა თავი, „ჩელსის“ კარისკენ კი ერთადერთხელ, ისიც 76-ე წუთზე და თანაც, ძალიან ცუდად დაარტყა. ეს ყველაფერი კი, პირველ რიგში, **ჯონ ტერის** დამსახურებაა, რომელმაც „კოპენჰაგენის“ ფორვარდს ფეხი არ გაანძრევინა.

### მსაჯი

თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს ის, რომ ჰოლანდიელ არბიტრ **ბიორნ კუიპერსს** პრობლემები ფაქტობრივად არ შეჰქმნია. მას მხოლოდ თამაშგარე მდგომარეობების დაფიქსირებისას არ გაუმართლა - ორჯერ. ისიც უნდა ითქვას, რომ კუიპერსმა ფეხბურთელებს ხუთი ყვითელი ბარათი უჩვენა და ხუთივე საკამათო იყო.

### ანალიზი

„კოპენჰაგენმა“ „ჩელსის“ მატჩის დასაწყისშივე დაუთმო მოედნის ცენტრი და წარმატებაზე ფიქრი კონტრშეტევებით დააპირა, მაგრამ მხოლოდ დააპირა, რადგან დანიელებს ესეც არ გამოუვიდათ. „კოპენჰაგენს“ ეს კონცეფცია ძალიან მალე, უკვე მე-17 წუთზე ჩაუვარდა, როცა გრონკიაერის უპატიებელ შეცდომას ანელკას პირველი გოლი მოჰყვა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ „ჩელსი“ ზედმეტად თავდაჯერებული გახადა, რის გამოც „არისტოკრატები“ საგოლე მომენტებს გულგრილად ეპყრობოდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, მატჩის ბედი გაცილებით ადრე გადაწყდებოდა. ასე კი, მეორე გოლი მხოლოდ 54-ე წუთზე გავიდა. მერე კი, „ჩელსიმ“ თამაში გააკონტროლა და მეტოქეს არაფერი გააბედინა. შედეგად, **ანჩელოტის** გუნდი ფაქტობრივად უკვე მეოთხედფინალშია, „სტემფორდ ბრიჯზე“ გასამართი საპასუხო მატჩი კი მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობად იქცა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# რევანში გერმანულად

## უგოლო ფრე მანჩესტერის შანსებს ზრდის

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**ინტერი (იტალია) 0:1 ბაიერნი (გერმანია)**

23 თებერვალი. მილანი. სან სირო 70 000 მაყურებელი

**ინტერი (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, რანოკია (73. ხარჯა), კივუ – კამბიასო, ძანეტი, მოტა – სტანკოვიჩი, სნეიდერი - ეტოო.

**ბაიერნი (4-5-1):** კრაფტი – ლამი, ბადშტუბერი, პრიანიჩი (37. ბრენო), ტიმოშჩუკი – ლუიზ გუსტავო, რიბერი, რობენი, შვაინშტაიგერი, მიულერი – გომესი.

**გოლი:** 0:1 გომესი (90).

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ბაიერნი | |
| | პირველი კუთხური: ინტერი | |
| | პირველი ჯარიმა: ბაიერნი | |
| | პირველი გაფრთხილება: ინტერი | |
| 10 (4) | დარტყმა | 9 (3) |
| 17 | ჯარიმა | 9 |
| 8 | კუთხური | 7 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)




**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**მარსელი (საფრანგეთი) 0:0 მანჩესტერი (ინგლისი)**

23 თებერვალი. მარსელი. ველოდრომი. 55 000 მაყურებელი

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა – ფანი, დიავარა, მბია, ჰაინცე – ხისე (70. შეირუ), კაბორე – რემი (79. ვალბუენა), ლუჩო გონსალესი, აეუ – ბრანდაო.

**მანჩესტერი (4-3-3):** ვან დერ სარი – ოში, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა – გიბსონი (72. სქოულზი), ქერიქი, ფლეტჩერი – ნანი, ბერბატოვი, რუნი.

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: მანჩესტერი | |
| | პირველი კუთხური: მარსელი | |
| | პირველი ჯარიმა: მანჩესტერი | |
| 8 (2) | დარტყმა | 4 (2) |
| 12 | ჯარიმა | 8 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)




ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრები იტალიური გუნდებისთვის კოშმარული გამოდგა. სერია A-ს სამივე ბინადარმა საკუთარ მოედანზე წააგო და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ძალიან შეიმცირა. "მილანისა" და "რომას" შესახებ გეცოდინებათ, "ინტერმა" კი გუშინ "ბაიერნს" უმასპინძლა და პრინციპულ მეტოქესთან ჭიდილში ვერაფერი გააწყო. პირველი რაუნდი გერმანელებმა მოიგეს, ერთადერთი, ანუ გამარჯვების გოლი კი მატჩის უკანასკნელ წუთზე **მარიო გომესმა** გაიტანა. მიუნხენელთა ტანმაღალმა ფორვარდმა **ჟულიო სეზარის** შეცდომით ისარგებლა და დამატებაზე ბრაზილიელი კიპერი უშანსოდ დატოვა. სეზარის შეცდომა კი იმაში მდგომარეობს, რომ შორეული დარტყმის შემდეგ ბურთის ხელში დაჭერა გადაწყვიტა და საბოლოო ჯამში, გომესს საგოლედ დაუგორა – თითქოს ერთი შეცდომაა, მაგრამ შესაძლოა საბედისწეროც.

ვერც იმას დავიჩემებთ, რომ შეხვედრა მასპინძელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა. უფრო პირიქით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში მიუნხენელები მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ და მილანელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს. იერიშების აღწერა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ სტუმრებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი მასპინძელთა კარის ძელს, ერთხელ **ფრანკ რიბერის** არ გაუმართლა, მეორედ - **არიენ რობენს**. შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე მილანელებმა შტურმის მოწყობა მოინადინეს, გადავიდნენ კიდეც მეტოქის ნახევარზე, რაც დიდწილად შეცვლაზე შესული **ხარჯას** დამსახურება გახლდათ. ახლოს იყო გატანასთან **სამუელ ეტოო**, ვისი დარტყმის შემდეგაც ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიუნხენელთა კარის ჩარჩოს. მატჩის კულმინაცია კი უკანასკნელი წუთი გახლდათ, მიუნხენელებმა მილანელთა მოშიშვლებული ზონები კარგად გამოიყენეს, შედეგიანი იერიში განახორციელეს და დიდი ფორა შეიქმნეს განმეორებითი მატჩის წინ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ლუის ვან გაალმა ლეონარდო** აშკარად დაჯაბნა – ბრაზილიელი სპეციალისტი მთელი თამაში ფიქრობდა მოგებაზე ეთამაშა თუ ფრე არ გაერისკა და ამ ორჭოფში სულაც დამარცხდა. "ინტერმა" მთელი შეხვედრა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშა, რაც ასევე შეცდომად უნდა მივიჩნიოთ.

გუშინდელი დღის მეორე შეხვედრა "ველოდრომზე" გაიმართა, სადაც მარსელის "ოლიმპიკმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლა. ორმატჩიან დუელში ფავორიტად ინგლისელები მიიჩნევიან და ეს სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ფრანგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველ შეხვედრაში არაფრით ჩამორჩნენ მეტოქეს. პირიქით, რიგ ეპიზოდებში სჯობდნენ კიდეც და თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებას, ეს სწორედ "ოლიმპიკი" გახლდათ. უგოლო ფრის წყალობით ფავორიტის სტატუსი ინგლისურმა გუნდმა შეინარჩუნა, თუმცა მთავარი ბრძოლა წინ არის.

**ლაშა წიკლაური**

ევროპის ლიგა 1/16 ფინალი. II მატჩი

**პორტო–სევილია 0:1 (2:1)**

**პორტო (4-3-3):** ელტონი – ფუსილე, როლანდო, ოტამენდი, პერეირა – ბელუსკი, ფერნანდო, მოუტინიო (75. ზეპუნარო) – ჰალკი, ფალკაო (86. მიკაელი), ვარელა (86. მაიკონი).

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი – სანჩესი (55. ლუიშ ფაბიანო), ალექსისი, ფასიო, ნავარო – რაკიტიჩი, ზოკორა (46. მედელი) – ნავასი, კანუტე, პეროტი (86. როდრი) – ნეგრედო.

**გოლი:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (71).

ციფრებით მოყოლილი ამბები




დანიელ არანსუბია ესპანურ ფეხბურთში ისტორიული გოლის ავტორი გახდა

# გოლი, რომელიც ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში შევიდა

**ჩვენი ახალი რუბრიკის პირველი ნომინანტები გასულ კვირას თავგამოჩენილი უეინ რუნი, რონალდო (ოღონდ, ბრაზილიელი) და ედინსონ კავანი იყვნენ. დღეს კი ციფრებით ამ კვირის გმირების, ჟოზე მოურინიოს, დანიელ არანსუბიას, მათიას ალმეიდასა და სხვების ამბებს მოგიყვებით...**



**317**

**დღიანი** საშინაო მოუგებელი სერიის შემდეგ, როგორც იქნა, მიონხენგლადბახის „ბორუსიამაც“ გაახარა ქომაგები. ბუნდესლიგის მორიგ ტურში გლადბახელებმა „შალკეს“ 2:1 მოუგეს. ბოლოს ამ სტადიონზე „ბორუსიამ“ 2010 წლის 9 აპრილს მოიგო, როცა „აინტრახტი“ დაამარცხა - 2:0. მას შემდეგ, 13 საშინაო მატჩში „დიე ვოლენმა“ 8 წააგო და 5 ფრედ დაასრულა. „ხუმარებზე“ მოგებამ განსაკუთრებით დებიუტანტი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** გაახარა - გლადბახელები თავიდან აგებდნენ **ფელიქს მაგათის** გუნდთან, თუმცა საბოლოოდ დაამარცხეს ჩემპიონთა ლიგაზე ყოჩაღად მოთამაშე „შალკე“. სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად მოხდა, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა ისეთი შეხვედრა წააგო, რომლის განმავლობაშიც წინ იყო.



**94**

**წუთი** და 12 წამი იყო გასული „ალმერიასა“ და „დეპორტივოს“ მატჩში, როცა მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა მეკარე **დანიელ არანსუბიამ** თავით ანგარიში გაათანაბრა - 1:1. ამით გალისიელთა ბასკი მეკარე ლა ლიგის ისტორიაში შევიდა - პირველად მოხდა, რომ გოლკიპერმა თამაშიდან გოლი გაიტანა (პენალტით და საჯარიმო დარტყმით გაუტანიათ). ლა ლიგაში აქამდე ხუთმა მეკარემ შეძლო გოლის გატანა. ოთხმა მათგანმა ეს პენალტის ნიშნულიდან მოახერხა: **ხოსე ლუის ჩილავერტი, ხუან სანტამარია, კარლოს ალბერტო ფენოი** და **ნაჩო გონსალესი**, ხოლო **ტონი პრატსმა** თავი საჯარიმო დარტყმით გამოიჩინა. ტოპ ევროპულ ლიგებში ბოლოს ასეთი რამ ინგლისელმა **პოლ რობინსონმა** მოახერხა, 11 თვის წინათ „ტოტენჰემის“ მეკარემ საკუთარი ნახევრიდან გაუტანა „უოტფორდს“. 31 წლის არანსუბიამ ამ ისტორიული გოლით „დეპორტივო“ ბოლო 7 მატჩში მე-5 წაგებისგან იხსნა.



**33**

**წუთში** გაანიავა „რომამ“ გენუაში 3-გოლიანი უპირატესობა **კახა კალაძის** „ჯენოასთან“ და 3:4 წააგო. ამ სასწაულებრივ მარცხს აკი **კლაუდიო რანიერის** რომაული კარიერაც შეეწირა და მის ნაცვლად „პატარა აეროპლანი“, **ვინჩენცო მონტელა** ვიხილეთ „რომას“ ახალ დამრიგებლად. 60 წლის რანიერის 24-წლიან სამწვრთნელო კარიერაში მსგავსიც კი არაფერი მომხდარა, არადა, მან 10 კლუბი გამოიცვალა. მსგავსი რამ შეემთხვა „ბარის“ 2001 წლის 29 აპრილს, როცა 3:0-ს უგებდა „პერუჯას“ და საბოლოოდ 3:4 წააგო. ამ თამაშის შემდეგ „რომას“ 4-მატჩიანი წაგებათა სერია გრძელდება, ხოლო „ჯენოამ“ ზედიზედ მე-4 მატჩში არ წააგო.



**19**

**წელიწადი** გავიდა მას შემდეგ, რაც **მათიას ალმეიდას** „რივერ პლეიტში“ დებიუტი ჰქონდა. ვეტერანი ახლაც, ამ კვირას დაეხმარა „ლოს მილიონარიოსს“, თავი დაეღწია გასავარდნი ზონიდან (მიუხედავად იმისა, რომ არგენტინაში კლაუსურა ახლახან დაიწყო, იქ გავარდნა-დარჩენა სხვა პრინციპით ითვლება და „რივერი“ გავარდნის კანდიდატია). ალმეიდამ პირველად „რივერის“ მაისურა 1992 წლის 21 თებერვალს მოირგო, ახლა კი ის სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ფეხბურთსა და მშობლიურ კლუბს. სხვათა შორის, ალმეიდას ხელახალი დებიუტი გამარჯვებით აღინიშნა - „რივერმა“ 2:0 მოუგო სტუმრად „ურაკანს“. ამ თამაშში თავი **ერიკ ლამელამ** გამოიჩინა, რომელიც ალმეიდას სულ პირველი დებიუტიდან რამდენიმე კვირაში დაიბადა. სხვათა შორის, ალმეიდა არც ისე „ბებერია“ - მხოლოდ 37 წლისაა.



**9**

**ჟოზე მოურინიომ** საოცარი რეკორდი დაამყარა - რაც მთავარი მწვრთნელია, მის კლუბს ეროვნულ ჩემპიონატში საშინაო მატჩი არ წაუგია. მოუს ოთხმა გუნდმა, ოთხ სხვადასხვა ჩემპიონატში ჯამში 148 მატჩი ჩაატარა, რომელთაგანაც 123 მოიგო, დანარჩენი კი ფრედ დაასრულა. ბოლო მარცხი ჟოზეს (რომლისთვისაც ეს პირველი საშინაო წაგება იყო სამწვრთნელო კარიერაში ჩემპიონატებში - პირველი და ერთადერთი!) 2002 წლის 23 თებერვალს შეემთხვა, როცა მისმა „პორტუმ“ 2:3 წააგო „ბეირა მართან“. სხვათა შორის, მაშინ „პორტუმ“ თამაში 9 კაცის ამარა ჩაამთავრა. მას მერე 38 დაუმარცხებელი შეხვედრა „პორტუზე“ მოდის, 60 - „ჩელსიზე“, 38 - „ინტერზე“ და 12 „რეალზე“. შეგახსენებთ, რომ შაბათს „რეალმა“ 2:0 დაამარცხა ვალენსიის „ლევანტე“. „განსაკუთრებული“ ერთადერთი არ იყო ამ უიქენდზე, რომელსაც „იუბილე“ ჰქონდა - მისი მთავარი ვიზავი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, **პეპ გვარდიოლა** ლა ლიგაში მე-100 მატჩს ატარებდა „ბარსას“ თავკაცის სტატუსით და 79-ე გამარჯვებაც იზეიმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული სპორტი

### ჭადრაკი



# ორიდან ორი ქულა

დოჰაში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის გათამაშების ბოლო ეტაპის მე-2 ტურში ქართველ ქომაგთა განსაკუთრებული ყურადღება **ნანა ძაგნიძისა** და მონგოლი **ბათჰუიაგ მონგონთუულის** შეხვედრისკენ იყო მიპყრობილი, რაც ორმა მიზეზმა განაპირობა: ჯერ ერთი, რომ ჩვენებური ტურნირისა და, საერთოდ, გრანპრის გათამაშების ფავორიტია და ამ შეჯიბრების მოგება (მეორე ადგილზე გასვლა მაინც) ჰაერივით სჭირდება, რომ წლის ბოლოს ტიტულისთვის ამჟამინდელ მსოფლიოს ჩემპიონ **ჰოუ იფანს** დაუპირისპირდეს, მეორეც - რევანში ჰქონდა ასაღები: ტურნირის სტარტზე მონგოლმა მოჭადრაკემ, ფაქტობრივად, წაგებული პარტია 180 გრადუსით შემოატრიალა და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ **მაია ჩიბურდანიძეს** სძლია (ცხადია, არა მეტოქის დაუხმარებლად). ძაგნიძემ ორივე ამოცანას წარმატებით გაართვა თავი: 43-ე სვლისთვის აშკარა პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, რაც რამდენიმე სვლაში მატერიალურშიც გადაიზარდა და 51-ე სვლაზე გათამაშების ცხრილში ზედიზედ მეორე გამარჯვება ჩაიწერა.

სამწუხაროდ, მეორე პარტია წააგო მაია ჩიბურდანიძემ. გუშინ იგი 74-ე სვლაზე სომეხ **ელინა დანიელიანს** დანებდა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი)-**მარტა ფიერო** (ეკვადორი) 1:0, **ჟუ ჩენი** (ყატარი)-**პია კრამლინგი** (შვედეთი) 0,5:0,5, **სიუ იუჰუა** (ჩინეთი)-**მარი სებაგი** (საფრანგეთი) 0:1, **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი)-**ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი) 0:1.

ორი ტურის შემდეგ: ძაგნიძე, დანიელიანი-2-2, კონერუ, ფიერო, კრამლინგი, სიუ იუჰუა, სებაგი, მონგონთუული, სტეფანოვა - 1-1, ჟუ ჩენი, მკრტიჩიანი - 0,5-0,5, ჩიბურდანიძე - 0 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: ფიერო-ძაგნიძე, კრამლინგი-კონერუ, სტეფანოვა-ჟუ ჩენი, სებაგი-მკრტიჩიანი, ჩიბურდანიძე-სიუ იუჰუა, მონგონთუული-დანიელიანი.

**ვაჟა დანელია**

# 26 გოგონა და 42 ვაჟი

სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობები ყოველთვის დაძაბულად და საინტერესოდ ტარდება, რადგან ჩემპიონ-პრიზიორებთან ერთად აქ ვლინდება მსოფლიოს და ევროპის პირველობების საგზურთა მფლობელების ვინაობაც. თბილისის ჭადრაკის სასახლეში ამჯერად 16-წლიანებმა მოიყარეს თავი. გოგონებში 26 მონაწილეა. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობენ **ნანი უნაფქოშვილი, ანა კუჭავა, ანა შამათავა, ნატო იმნაძე, ლიკა კობეშავიძე** და **ანა მარდალეიშვილი.** ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ **დეა გოგიშვილსა** და **ადა კაკუტიას.**

ვაჟებში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 42 წარმომადგენელი იბრძვის მედლებისთვის. აქ ერთშაბად 8 მოჭადრაკე დაწინაურდა 2-2 ქულით: **ირაკლი ბერაძე, გიგლა ბენიძე, შალვა ნადირაშვილი, გუგა ბურდული, გიორგი სიბაშვილი, ნოე თუთისანი, თემურ ჩაიძე, საბა ჟორდანია.**

დღეს მესამე ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

### ჩოგბურთი

# ტატიშვილმა მსოფლიოს პირველ ჩოგბანთან წააგო

21 წლის **ანა ტატიშვილმა** (127) მექსიკის ქალაქ აკაპულკოში „აბიერტო მექსიკანოზე" (WTA, 220 ათასი დოლარი) ასპარეზობა დაასრულა. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა, რომელიც საკვალიფიკაციო ბადეშიც პირველ ნომრად იყო განთესილი, ამ ბადის მოგება იკმარა, ძირითადი ბადის პირველ წრეში კი მე-4 ნომრად განთესილ არგენტინელ **ჟიზელა დულკოსთან** (73) წააგო - 3:6, 1:6. სამი დღის განმავლობაში ზედიზედ სამსეტიანი სამი მატჩის მოგების შემდეგ ანა ვერას გახდა დასვენებულ ფავორიტთან, რომელიც, სხვათა შორის, მსოფლიოს პირველი ჩოგანია წყვილთა რეიტინგში.

ასე რომ, ანა მექსიკურ ტურნირზე 17 სარეიტინგო ქულას და 1 700 დოლარს დასჯერდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

### მეტოქე

# ვაჩაძე - კოლუაშვილის პრობლემა

20 იანვარს მინსკში დამთავრებულ მსოფლიოს თასზე ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა ირანის ნაკრებმა - ფინალში **გოგი კოლუაშვილის** გაწვრთნილ რუსებს 4:3 მოუგეს. როგორც სხვა ევროპული გუნდები, რუსებიც მარტის ბოლოს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მინსკში ჩვენი ნაკრები არ გამოდიოდა - ბოლოდროინდელი ჩავარდნის ფონზე, საამისო რეიტინგი არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, შეიძლება, ის შეჯიბრება ჩვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს, დიდწილად განსაზღვროს რუსეთის ნაკრების ქართველი წევრის **ამბაკო ვაჩაძის** (66) ბედი და ამ წონაში ევროპის პირველობაზე ჩვენი ფალავანის მომავალი მეტოქე. შემადგენლობა ოფიციალურად ჯერ არც ჩვენებს დაუსახელებიათ და არც - რუსებს, მაგრამ იმათთვის ევროპის ბოლო ორი ჩემპიონატის ზედიზედ მომგები და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ვაჩაძე აქამდე მთავარი კანდიდატი იყო. იმდენად მთავარი, რომ კოლუაშვილმა საევროპოდ უმთავრესი შეჯიბრება - ივან პოდუბნის სახელობის მემორიალიც კი გამოატოვებინა. აი, ასეთი ფალავანი გამოვიდა მინსკში და სამი შეხვედრიდან ორი წააგო! ეტყობა, კოლუაშვილს მინსკშიც ძალიან ეიმედებოდა თანამემამულე-თანაქალაქელის (ორივე ქუთაისშია დაბადებულ-გაზრდილი) და ალბათ, ამიტომ დააყენა პირველ ორ შეხვედრაში. შეგირდმაც კარგად დაიწყო და თითქოს ისე ჩანდა, იმედებს ბოლომდე გაუმართლებდა - ვაჩაძემ ჯულფალაკიანთა ოჯახის უმცროს წარმომადგენელს, სომეხ **არამ ჯულფალაკიანს** ორ პერიოდში აჯობა - 3:0; 3:0. სამაგიეროდ, მეორე ორთაბრძოლაში მწვრთნელს ცივი წყალი გადაასხა - აზერბაიჯანელ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი რაჰიმოვთან** 1:3; 1:2 წააგო. ამან კოლუაშვილი შეაფიქრიანა და სასწრაფოდ მიმართა საკადრო ცვლილებას - ჯგუფური ეტაპის მომდევნო შეხვედრებში პოდუბნის მემორიალის გამარჯვებული **იური დენისოვი** დააყენა. საბოლოოდ რუსებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალში გავიდნენ. აქ კოლუაშვილმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ვაჩაძეს - ალბათ, იმიტომ, რომ გადამწყვეტი ორთაბრძოლა იყო, თუმცა ჩვენებური კვლავ დამარცხდა ვინმე **აბდვალი საედთან** - 1:3; 1:4. რა გასაკვირია, რომ მისი ასეთი გამოსვლით კოლუაშვილი უკმაყოფილო დარჩა. სხვათა შორის, მას იმედები ინგუშმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნაზირ მანკიევმაც** (55) გაუცრუა - პირველი შეხვედრა კი მოუგო დედით ქართველ აზერბაიჯანელ **როვშან ბაირამოვს**, მაგრამ ფინალი წააგო. მინსკიდან მოსკოვში დაბრუნებულმა კოლუაშვილმა ყველაზე მეტად ეს ორი წონა გააკრიტიკა - 55 და 66. მან პირდაპირ განაცხადა, რომ აქ ლიდერის პრობლემა აქვს. ვერ გეტყვით, ამათ შემცვლელებზე ის რა აზრისაა და რატომ არ მიიჩნევს მათ დასაყრდენებად, მაგრამ მინსკში ვაჩაძის შემცვლელმა დენისოვმა ორივე შეხვედრა მოიგო, მანკიევის დუბლიორმა **ვალერი ბორგოვიაკოვმა** კი სამივე ბრძოლაში იმარჯვა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ კოლუაშვილმა ძალიან აქო ნაკრების სხვა წევრები - **იმილ შარაფეტდინოვზე** (74), **ალან ხუგაევსა** (84) და **რუსტამ ტოტროვზე** (96) განაცხადა, რომ ისინი 0:3 ჩამორჩენასაც არ შეუშინდნენ, ხელი არ ჩაიქნიეს და მებრძოლი ხასიათის გამოვლენით საქმე მაინც მიიყვანეს გამარჯვებამდე. ხუგაევსა და ტოტროვზე დამატებით ისიც აღნიშნა, მათ დაამტკიცეს, რომ პოდუბნის სახელობის ტურნირზე ოლიმპიურ ჩემპიონებს - **ალექსეი მიშინსა** და **ასლანბეკ ხუშტოვს** შემთხვევით არ მოუგესო. მძიმეწონოსან ოლიმპიურ ჩემპიონ **ხასან ბაროევზე** თქვა, რომ მის გარდა ამ წონაში სერიოზული ამოცანების გადამჭრელი სხვა ფალავანი არ ჰყავს. მწვრთნელმა ყველაზე მეტად მაინც **რომან ვლასოვი** (74) შეაქო - მან პოდუბნის ტურნირიც მოიგო და ახლაც ჩინებულად იჭიდავა. საინტერესოა, რომ ახალგაზრდებში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ვლასოვს თვით ლეგენდარული **ალექსანდრ კარელინის** მწვრთნელი **ვიქტორ კუზნეცოვი** ავარჯიშებს! პოდუბნის ტურნირზე მან ნახევარფინალში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი შარაფეტდინოვი დაამარცხა, ფინალში კი დამაჯერებლად აჯობა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ვარტარეს სამურგაშევს**. *„ხუთი წლის წინ ჩემი საყვარელი წიგნი იყო „სხვა სიმაღლე კიდევ წინაა", რომელიც ვარტარეს სამურგაშევს ეძღვნებოდა, ახლა კი მისი დამარცხება შევძელი"* - განაცხადა ფინალის შემდეგ კერპთან მოგებით ეიფორიაში მყოფმა ვლასოვმა.

დავუბრუნდეთ ისევ ვაჩაძეს, მის წონას და ქართველებთან შეხვედრის პერსპექტივას. ცხადია, ვიდრე ჩვენი ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას არ დაასახელებს, ზუსტად ვერ გეტყვით, ვინ იჭიდავებს 66-ში, თუმცა ჯერჯერობით ყველაზე მეტი შანსი ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ **არჩილ თურმანიძეს** აქვს. ამ წონაში ლიდერის საკითხი საბოლოოდ ორიოდ დღეში ბულგარულ ბურგასში, ნიკოლა პეტროვის მემორიალზე გაირკვევა, სადაც თურმანიძეცაა წასული და მეორე კანდიდატი - **ანტონ მამაგეიშვილიც**. სავარაუდოდ, საევროპო საგზურსაც ის მოიპოვებს, იქ ვინც უკეთ იჭიდავებს. სამწუხაროდ, დორტმუნდში, კონტინენტის პირველობაზე **მანუჩარ ცხადაიას** წასვლა საბოლოოდ გამოირიცხა - ევროპის მესამე პრიზიორმა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა საქართველოს პირველობაზე ტვინის შერყევა მიიღო, რისგანაც დღემდე ვერ განიკურნა და საქართველოს შემდეგ არც უჭიდავია სადმე. თუმცა ისიც საკითხავია, ევროპაზე ცხადაია რომელ წონაში იჭიდავებდა - აქამდე 66-ში გამოდიოდა, მაგრამ დეკემბერში საქართველოს ჩემპიონატზე 74-ში გაიმარჯვა. ამის მიუხედავად, ახალ წონაში მისი გადასვლა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი - ეს საკითხი საერთაშორისო ტურნირებზე უნდა გადაჭრილიყო, მაგრამ ვერ მოხერხდა. ასეა თუ ისე, თურმანიძე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ნათელი წერტილია და სადღეისოდ წონის მთავარი ფავორიტიც. ეს იმიჯი მან საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებით დაიმსახურა, რასაც მერე იანვარში, სტამბოლში დამთავრებულ ვები ემრეს სახელობის საერთაშორისო ტურნირში კარგი გამოსვლაც დაუმატა. იქ ჩვენებურმა ბრინჯაოსთვის იჭიდავა, თუმცა დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა, მაგრამ ამას მის ფავორიტობაზე დიდად არ უმოქმედია, რადგან ჭიდაობის ხარისხით მწვრთნელთა მოწონება დაიმსახურა. ბულგარეთში მას მამაგეიშვილმა რომც აჯობოს, ესე იგი, მოცემულ მომენტში ის უფრო ძლიერი იქნება ანუ ამით ჩვენთვის ბევრი არაფერი იცვლება - ორივე შემთხვევაში ანგარიშგასაწევი ფალავანი გვეყოლება. ამდენადაა საინტერესო, ვინ იქნებიან გერმანიაში ჩვენებურის მეტოქეები - ეს წონა იმ მცირერიცხოვანთა შორისაა, სადაც წარმატების რაღაც შანსი გაგვაჩნია. ცხადია, კონკურენტთა შორის რუსეთის ნაკრები უმთავრესია.

თუმცა ჯერ ვაჩაძეს შანსი გადაწურული არ აქვს - რუსები ამ თვეში სლოვენიასა და სერბეთში იჭიდავებენ, მარტში უნგრეთში „ოქროს დიდ პრიზსა" და ირანის ტურნირში გამოვლენ (შეადარეთ - ესენი მხოლოდ დარჩენილ დროში ოთხ შეჯიბრებაში იასპარეზებენ, ჩვენები კი საევროპო მზადების ციკლში მხოლოდ ორი საერთაშორისო შეჯიბრებით დაკმაყოფილდნენ!) და ნაკრების საბოლოო შემადგენლობაც ამის შემდეგ გაირკვევა. ვნახოთ, მოხვდება თუ არა ვაჩაძე გუნდში, რომელიც პირველხარისხოვან ტურნირებზე აქამდეც შეხვედრია თანამემამულეებს - 2009 წელს ვილნიუსში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ცხადაიას მოუგო (მაშინ ის პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი, ჩვენი ფალავანი კი მესამეზე გავიდა). საბედნიეროდ, იმავე წელს ცხადაიამ დანიურ ჰერნინგში მსოფლიოს ჩემპიონატზე აუღო რევანში. თუ ვაჩაძე ვერა, მაშინ ევროპაზე ისევ დენისოვი იჭიდავებს, რადგან ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ალბიევი** საზარდულის ტრავმას იშუშებს.

**ირაკლი თავაძე**

### ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

# ნაკრებში რეგიონების წილი გაიზარდა

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით წარმატებულია. ახლახან ბათუმში საქართველოს წლევანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ახალი ნაკრების ბირთვი უნდა გამოკვეთილიყო. ჩემპიონატის შესაფასებლად და ნაკრების მიმდინარე სეზონის გეგმებზე გუნდის მთავარი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი გვესაუბრება.**

- ჩემპიონატის წინაც განვაცხადე, რომ შარშან ახალგაზრდულ ნაკრებში უფრო რჩეულებმა მოიყარეს თავი. თუმცა ამჟამინდელი გამარჯვებულები და პრიზიორებიც არ არიან მაინცდამაინც სუსტები. სხვათა შორის, ჩემპიონატზე, კენჭისყრისას მე განთესვის წინააღმდეგი წავედი და მესამეადგილოსნების გამოსავლენად დამატებითი შერკინებაც არ დავუშვი.

**- ახალგაზრდების წლევანდელი ჩემპიონატი გამორჩეული იყო იმით, რომ გამარჯვებულთა და პრიზიორთა გეოგრაფია გაიზარდა...**

- საუკეთესონი უწინდელივით მხოლოდ სამიოთხი ქალაქის წარმომადგენლები არ გამხდარან. ამჯერად ქვეყნის შვიდი რეგიონის 15 ქალაქიდან მოხვდნენ სამეულებში. ეს რეგიონებში მომუშავე მწვრთნელების დამსახურებაა. განსაკუთრებით ახალგაზრდა საგარეჯოელი მწვრთნელი რამაზ ასაბაშვილი მინდა გამოვყო. მისი აღზრდილია 74 კგ-ში ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ტრიუმფატორი დავით ხუციშვილი, რომელიც წლეულს უკვე დიდებში ასპარეზობს. აგერ ახლა იმავე წონაში ისევ ასაბაშვილის კიდევ ერთი შეგირდი ბექა პეტრიაშვილი გახდა ჩემპიონი. მისივე მოსწავლეა 50 კგ-ში გამარჯვებული ლევან როჭიკაშვილიც. ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს შრომისმოყვარე ახალგაზრდა საგარეჯოელი სპეციალისტი იმსახურებს სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. ნაყოფიერად მუშაობს ხაშურში გია კვინიკაძე. მას შარშან ერთი ჩემპიონი ჰყავდა, წლეულს უკვე სამი პრიზიორი გაუხდა.

**- კვინიკაძის ყველაზე წარმატებული შეგირდი ლაშა ტალახაძე ახლა სხვა წონაში გამოდიოდა...**

- ტალახაძემ შარშან 50 კგ-ში იჭიდავა და საქართველოს ჩემპიონობის გარდა ევროპაზე ბრინჯაოს და მსოფლიოზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ლაშა რატომღაც ახლა 55 კგ-ში გამოვიდა და ფინალის მიღმა დარჩა. ამიტომ რეკომენდაცია მივეცი, ისევ ძველ წონას დაუბრუნდეს და უახლოეს საერთაშორისო ტურნირებზე მას როჭიკაშვილთან ერთად გამოვცდი.

**- 55-ში ლიდერს ლადო ხინჩეგაშვილს და 84-ში დათო მარსაგიშვილს არ უჭიდავიათ...**

- ეს ფალავნები თავიანთი წონის ლიდერები არიან. ისინი უფროსების ნაკრებშიც სჭირდებათ და სწორედ მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით გამოტოვეს ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესაბამისად, ახალგაზრდების ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისინი იჭიდავებენ. სამაგიეროდ საქართველოს ჩემპიონები ლაშა ლომთაძე (55) და ალექსანდრე ამინაშვილი (84) საერთაშორისო ტურნირებსა და გერმანიის მსოფლიოს თასზე გამოვლენ.

**- მომდევნო 60 და 66 კგ წონით კატეგორიებში ოქროს მედლები გორელებს ერგოთ. წლეულს კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო თქვენი შეგირდების შედეგი.**

- გეთანხმებით, ჩვენი დარბაზის აღზრდილებმა ამ ჩემპიონატზე 2 ოქროს, ამდენივე ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 66 კგ-ში საპრიზო სამეულში სულაც შიდაქართლელები მოხვდნენ. საინტერესოა, რომ მათგან თითქმის ნახევარი ასაკით ჭაბუკია. ასე რომ, გაისად ახალგაზრდებში მათგან უფრო წარმატებულ სეზონს უნდა ველოდოთ.

**- უკანასკნელი ორი-სამი წელიწადია ნაკრებში 96 კგ-ს ერთ-ერთ ყველაზე სუსტ რგოლად მიიჩნევდით. ამჯერად რა მდგომარეობაა?**

- გამოკვეთილ ლიდერს ვერ ვხედავთ. ფავორიტობისათვის საბრძოლველად, ვფიქრობ, საპრიზო სამეულს მივცემ შანსს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე.

**- რთული მდგომარეობაა მძიმე წონაშიც...**

- რა თქმა უნდა. ერთდროულად ორი ძლიერი და წარმატებული ფალავანი - გიორგი საკანდელიძე და ლევან ბერიანიძე გადავიდნენ დიდების ნაკრებში. ამ ეტაპზე მათი სრულფასოვანი შემცვლელები არ ჩანან. ვნახოთ, რა შედეგს აჩვენებენ საერთაშორისო არენაზე ჩემპიონი ასლანიშვილი და ვერცხლის პრიზიორი გზირიშვილი.

**- მძიმე წონაში მესამე საპრიზო ადგილზე 16 წლის გორელი ფალავანი გენო პეტრიაშვილი გავიდა...**

- მისი ასაკიდან გამომდინარე, ეს შეიძლება სენსაციადაც ჩაითვალოს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გენოს შესაძლებლობებს, სულაც არ უნდა იყოს მოულოდნელობა. მეტად პერსპექტიული მოჭიდავეა. ამჯერად ჭაბუკთა ნაკრებში ლიდერია წონაში, სამომავლოდ მისი წარმატებებისა ძალიან მეიმედება!

**- ნაკრების მიერ დაგეგმილ წლევანდელ საერთაშორისო ტურნირებზეც გვითხარით...**

- ევროპის ჩემპიონატამდე ტრადიციულად რიგის (19-20 მარტს), ბაქოს (20-23 აპრილს) და შემდგომ თურქეთის საერთაშორისო ტურნირებზე ვაპირებდით ასპარეზობას. თურქეთი ამოვარდება, ვინაიდან ფილა-მ მაისის ბოლოს გერმანიაში მსოფლიოს თასის გათამაშება დაგეგმა, სადაც აუცილებლად უნდა გამოვიდეთ, თურქებს კი მსოფლიო თასთან ძალიან ახლოს აქვთ შეჯიბრება დანიშნული, რაც ხელს არ გვაძლევს. ამიტომ, 6-8 მაისს რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ. მით უფრო, რომ იქ გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატისათვის აკლიმატიზაციაშიც შეგვიწყობს ხელს. ეს შეჯიბრება სწორედ რუმინეთში, ივლისშია დაგეგმილი, ევროპის ჩემპიონატი კი ივნისის ბოლოს სერბეთში. ნაკრების შემადგენლობა მხოლოდ გერმანიის მსოფლიო თასის მერე გახდება ცნობილი.

**- ვიცით, რომ სპორტის სამინისტრო ძალიან გეხმარებათ...**

- სამინისტროს რის საშუალებაც აქვს, მაქსიმალურად ხელი შეგვიწყო, როგორც შეკრებების, ისე ტურნირების დროს. არ მახსოვს მსგავსი ხელშეწყობა და გულისხმიერი მიდგომა, როგორც ახლა. ადრე მწვრთნელებს ხელფასიც არ გვქონდა. ფაქტობრივად ბოლო წლებში ვიგრძენით მწვრთნელებად თავი, ახლა ჩვენი სპორტის მესვეურები მუდამ გვეკითხებიან აზრს, თუ რა და როგორ სჯობს... მოკლედ, უკეთესობისკენ რადიკალურადაა შეცვლილი ვითარება, რაც, ცხადია, დიდი სტიმულია!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო და ევრობასკეტი დარჩა 188 დღე

# დევიდ ბლატი: კირილენკო, კაუნი, მოზგოვი და... მეტოქეებმა, ვინც უნდათ, გამოიყვანონ



როცა ევრობასკეტი-2011-ის წილისყრა გაიმართა, საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეს, რუსეთის ნაკრებს მთავარი მწვრთნელი არ ჰყავდა. მართალია, ჩრდილოელთა გუნდის საჭე ახლაც ცარიელია, მაგრამ გადაწყვეტილ საქმედ უნდა ჩაითვალოს **დევიდ ბლატისა** და რუსეთის კალათბურთის ფედერაციის თანამშრომლობის საკითხი.

*- „ოლიმპიასთან“ საევროლიგო მატჩებმა რუსეთში გამოფრენაში ხელი შემიშალა. ხუთშაბათს, „მაქაბი“-“ბარსელონას“ შეხვედრის დასრულების შემდეგ მოსკოვში ჩამოვალ და კონტრაქტს გავაფორმებთ. ხელშეკრულების ყველა დეტალი შეთანხმებულია,* - განუცხადა ბლატმა „სპორტ-ექსპრესს“.

„ლელოს“ მკითხველს კარგად მოეხსენება ევროლიგაზე „მაქაბისა“ და **შერმადინი-ბოისას** დაპირისპირების შედეგები: დევიდ ბლატის გუნდმა სლოვენიელებს ორივე მატჩი იოლად მოუგო.

ამ სპეციალისტმა წილისყრის შედეგები მოკლედ შეაფასა: 2007 წლიდან დღემდე ყველაზე იღბლიანი სწორედ ევრო-2011-ის წილისყრა იყოო, რუსეთის ნაკრების შანსებზე კი ზოგადად ილაპარაკა:

*- ჯერ არ ვიცით, ევრობასკეტზე ჩვენი მეტოქეები როგორი შემადგენლობით ჩამოვლენ. მათ სისუსტეებზე მსჯელობას, სჯობს, ჩვენს გუნდზე ვთქვათ: თუ ნაკრებში დაბრუნდებიან ანდრეი კირილენკო, ტრავმებს მოიშუშებს საშა კაუნი, დაგვეხმარება ტიმოფეი მოზგოვი და სხვა ბიჭებიც მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან, ლიტვაში ძლიერ რუსეთს ვნახავთ, რომელიც დამოკიდებული არ იქნება მეტოქეთა შემადგენლობებზე.*

რუსი ჟურნალისტები დაინტერესდნენ კირილენკოს ბედით, რომელმაც გამოტოვა ევროპის 2009 წლის და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატები.

*- ანდრეისთვის ნაკრების კარი ყოველთვის ღიაა. მისი დონის კალათბურთელს NBA-ს არაერთი მწვრთნელი ნატრობს. იმედი მაქვს, ამჯერად ნაკრებში თამაშთან დაკავშირებით კირილენკოს პასუხი დადებითი იქნება.*

დევიდ ბლატს ჯერ არ გადაუწყვეტია, დაიმატებს თუ არა რომელიმე ნატურალიზებულ კალათბურთელს...

*- მსოფლიო ჩემპიონატზე ნატურალიზებულის გარეშე ვითამაშეთ. ასეთი სიტუაცია შეიძლება ლიტვაშიც განმეორდეს, თუმცა ამ საკითხზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, გარეთ თებერვალია.*

ლეგიონერები



# მარკოიშვილი: ვეძებ სტაბილურობას

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** გასულ კვირას „ტერამოსთან“ 19 წუთში 16 ქულა ჩააგდო. ამ ამბავს იტალიური გაზეთი „ლა პროვინცია“ გამოეხმაურა და მცირე სტატია მიუძღვნა, სათაურით „სტაბილურობის ძიებაში“.

„მანუჩარ მარკოიშვილმა ფეხის ცერის ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველივე მატჩში „კრემონასთან“ 5 ქულა ჩააგდო, „რომასთან“ - 7, ხოლო იტალიის თასის სამ შეხვედრაში - 10 ქულა. ეს არ არის შთამბეჭდავი მაჩვენებელი, მით უმეტეს, როცა საქმე მარკოიშვილს ეხება, რომლისგანაც ქულათა მონაგარის ორნიშნა რიცხვებით შევსებას მივეჩვიეთ.

ზემოთ ნახსენებ 5 მატჩში ქართველის რეალიზების პროცენტული მაჩვენებელიც დაბალი იყო: 16-დან 5 ორქულიანი, 14-დან 2 სამიანი.

კვირას, 20 თებერვალს ტერამოს მოედანზე განსხვავებული მარკოიშვილი ვიხილეთ: 9-დან 5 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი ჩააგდო და 16 ქულას მოუყარა თავი. საინტერესოა, ასეთი მაჩვენებლები გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მანუმ ტრავმის შემდეგ ფორმა საბოლოოდ დაიბრუნა?

*- იტალიის თასზე რამდენიმე ისეთი ტყორცნა ვერ ჩავაგდე, რომლებიც, როგორც წესი, კალათში ეშვება ხოლმე. დღესაც ვერ ამიხსნია, რატომ მოხდა ასე. ტერამოში კი შეტევაში ჩემი თამაში ვიპოვე. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თავიდანვე შედეგიანად ვისროლე და თვითრწმენაც მომემატა. ახლა სტაბილურობას ვეძებ,* - ამბობს მანუჩარი.

საინტერესოა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც:

*- ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია კარგად წარიმართა, რაც ჩვენი ექიმების დამსახურებაა. თერაპიულ მკურნალობას ახლაც ვაგრძელებ. ვარჯიშებზეც და თამაშებზეც ჩვეულად ვიტვირთები, მაგრამ მცირე ტკივილს მაინც ვგრძნობ. თუმცა საშიში არაფერია.*

მარკოიშვილს 27 თებერვალს სერიოზული გამოცდა ელის - „კანტუ“ იტალიის ჩემპიონატის ლიდერ „მონტეპასკის“ ესტუმრება.

ქართველი NBA-ში

# ლეიკერსი ელიტგუნდია, ატლანტა?

NBA-ის ვარსკვლავთა მატჩის შემდეგ ერთი კვირა მოგვიწია მოცდამ **ზაზა ფაჩულიას** მორიგ თამაშამდე. არაერთმა ქართველმა გულშემატკივარმა „ლეიკერსი“-“ატლანტას“ დაპირისპირება პირდაპირ ეთერშიც იხილა - კომპიუტერს თუ ტელევიზორს საინტერესო მატჩის ხილვის იმედით მიუჯდა...

მაგრამ რა თანაფარდობა იყო ჯორჯიელთა და კალიფორნიელთა შორის, მასპინძელთა ესპანელი ვარსკვლავის **პაუ გასოლის** სიტყვებიდანაც ჩანს:

*- „ლეიკერსი“ ელიტური გუნდია. ისევე როგორც დღეს, ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია მოედანზე დომინირება.*

თუ გასოლის გუნდი ელიტური იყო, მაშ, როგორი იყო „ატლანტა ჰოქსი“? რბილად რომ ვთქვათ, იგი საკუთარ თავს არ ჰგავდა. „ჰოქსის“ სათამაშო სტილი ასეთია: უკანახაზელები ბურთს პერიმეტრზე ატრიალებენ, შეტევებს ან სამქულიანით ასრულებენ, ან შორეული ორქულიანით - ფარქვეშიდან შეტევის დაგვირგვინების შემთხვევები შედარებით მცირეა. „ლეიკერსთან“ გასვლით მატჩში სამიანი „ატლანტას“ ერთმა უკანახაზელმაც ვერ ჩააგდო - ერთადერთი რეალიზებული სამქულიანი (15 მცდელობიდან) ტყორცნა ფორვარდი **მერვინ უილიამსის** ანგარიშზე იყო. „ქორებმა“ ვერც შორეული ორქულიანები ისროლეს ჩვეული სიზუსტით, რაშიც „დამნაშავე“ „ლეიკერსის“ კალათბურთელები და პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** იყო, რომელსაც კარგად ჰყავს შესწავლილი „ატლანტა“. პერიმეტრის გადაკეტვით „ქორებს“ ფრთები შეეკვეცათ და მეტოქის „დასაკორტნად“ სხვა იარაღი არ აღმოაჩნდათ. არადა, ნებისმიერი მწვრთნელი, მაშინ, როცა მისი გუნდის უკანახაზელებს თამაში არ მისდით, ტაქტიკას ცვლის: ერთი ვარიანტი თამაშის ფარქვეშ გადატანაა, საამისოდ „ატლანტას“ რესურსი ნამდვილად აქვს - **ელ ჰორფორდი, ჯოშ სმიტი, მერვინ უილიამსი, ჯეისონ კოლინზი** და ზაზა ფაჩულია. საწყის სამ პერიოდში (როცა მატჩის ბედი წყდებოდა) მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ზაზა მხოლოდ 5 წუთი ათამაშა, ჰორფორდი, უილიამსი და სმიტი სამქულიანი რკალის გასწვრივ დარბოდნენ, ხოლო კოლინზი შეტევაში აქტიურობით არასოდეს გამოირჩეოდა.



მოკლედ, ფარქვეშეთი „ლეიკერსისა“ იყო და ლოგიკურია, რომ „ატლანტას“ მოხსნებში დიდი უპირატესობით აჯობა - 54:32.

სხვა რა გზა გვაქვს, იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ ლოსანჯელესური ფიასკოს შემდეგ „ჰოქსის“ მწვრთნელი წინა ხაზსაც მიაქცევს ყურადღებას და ფაჩულიასაც მეტად დატვირთავს. ფაქტია, „ატლანტაში“ პლეი ოფებამდე რაღაცაა შესაცვლელი. ზაფხულში მწვრთნელის პოსტიდან **მაიკ ვუდსონი** იმიტომ გადააყენეს, რომ გუნდმა პლეი ოფის მეორე რაუნდი ვერ გაიარა...

**ლეიკერსი-ატლანტა 104:80**

**ზაზა ფაჩულია:** 12:51 წუთი, 5 ქულა (2-დან 0 ორქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო), 2 მოხსნა, 2 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:17 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:18 | შეცდომა: 1 |
| 00:44 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 13:26) |
| **II პერიოდი** | |
| 11:29 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 11:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:42 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 07:16 | ზაზამ კროუფორდი შეცვალა |
| 05:54 | საჯარიმოები: 2/1 (2ქ, 91:66) |
| 05:04 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:19 | ფოლი: 1 |
| 03:03 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 74:98) |
| 02:01 | ფოლი: 2 |
| 01:40 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ, 77:102) |
| 01:17 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |




# გრინის 13 რუსებისთვის თარსია

## საჩვენოდ გაპარული კორექტურა

ევროთასის მეორე ჯგუფურ ეტაპზე სამი ესპანური გუნდია. სამივეს თამაში ჩვენთვის საინტერესოა, რადგან „გრან კანარიაში“ საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ტორინ გრინი** თამაშობს; „ესტუდიანტესში“ - **ტაირონ ელისი**, რომელიც სავარაუდოდ ჩვენს ნაკრებს ლიტვაში გაჰყვება; „კახასოლში“ - **ბექა ბურჯანაძე**, რომელიც მწვრთნელს განაცხადში შიგადაშიგ შეჰყავს.

■ ■ ■

აქვე გეტყვით, რომ „კახასოლი“-“პანელინიოსის“ მატჩის 12-კაციან სიაში ბექა არ იყო. მისმა გუნდმა ბერძნები 84:71 დაამარცხა და ევროთასის მეორე ეტაპზე წაუგებელი სერია ხუთამდე გაზარდა. „კახასოლს“ მეოთხედფინალის საგზური ჯიბეში აქვს.

■ ■ ■

პლეი ოფში მოხვედრა დადებითად აქვს გადაწყვეტილი ტაირონ ელისის „ესტუდიანტესს“: 4 მოგებითა და 1 მარცხით იგი K ჯგუფის ლიდერია. სტუდენტები ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგით უსწრებენ თანაბარქულიან „კასერტას“ (იტალია).

მეხუთე ტურში „ესტუდიანტესმა“ სტუმრად ჩეხეთის „ნიმბურკი“ ორქულიანი სხვაობით დაამარცხა - 88:86. შაბათს ესპანეთის ჩემპიონატში 5-დან 5 სამქულიანის ჩამგდებმა ელისმა ევროთასის მატჩი 5 ქულით დაასრულა (4-დან 1 სამქულიანი, 1-დან 1 ორიანი), თუმცა ასეთი დაბალი შედეგიანობა გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ტაირონმა მხოლოდ 8 წუთი ითამაშა.

■ ■ ■

ესპანურ გამოცემა „სოლობასკეტში“ ტორინ გრინის მონაგარში 13 ქულა და 13 პასი წერია. გაგვიხარდა, მით უმეტეს, რომ ტორინმა ასეთი ეფექტური შედეგი რუსულ „უნიქსთან“ უჩვენა. თუმცა, როგორც გაირკვა, „სოლობასკეტის“ სტატიაში კორექტურული შეცდომა გაპარულა - 13-ის ნაცვლად 3 პასი უნდა ყოფილიყო.

მოკლედ, გრინის მონაგარი რეალურად ასეთი იყო: 21 წუთი, 13 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 3 პასი.

ტორინის „გრან კანარიამ“ „უნიქსი“ 76:73 დაამარცხა. პარალელურად, „ჰემოფარმს“ 73:71 სძლია ხორვატულმა „ცედევიტამ“ და მეოთხედფინალის საგზური „გრან კანარიას“ აართვა. ბოლო ტურის წინ კანარელებს 2 მოგება და 3 წაგება აქვთ, ხოლო „ცედევიტას“ - პირიქით, 3 მოგება, 2 მარცხი. მეექვსე ტურში „გრან კანარიამ“ „ჰემოფარმი“ რომც დაამარცხოს, ხოლო „ცედევიტამ“ - „უნიქსი“, გრინის გუნდი მომდევნო ეტაპზე მაინც ვერ გავა (ჯგუფიდან ორი გადის): თანაბარი ქულების შემთხვევაში მეოთხედფინალის საგზური ხორვატებს დარჩებათ, რადგან „ცედევიტამ“ „კანარია“ შინაც დაამარცხა და სტუმრადაც. პირველი ადგილი გარანტირებული აქვს „უნიქსს“ - 4 მოგება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# ქართული სპორტული ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოკუპაციის კვირეული

## მარო მაყაშვილის ხსოვნას

სპორტული საზოგადოება „შევარდენის" აქტიური წევრი ტანმოვარჯიშე **მარო მაყაშვილი** მოხალისე მოწყალების დად დაიღუპა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში 1921 წლის 19 თებერვალს. **კოტე მაყაშვილმა**, მაროს მამამ, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა თავმჯდომარემ, შვილის ხსოვნას უძღვნა ლექსი

### ჩემს მაროს

დავილალე, ალარ მალხენს მნათობთ ლბილი ციალი,
ჩემს ოცნებას ალარ ძალუძს ცად ნავარდი, სრიალი,
ჯადოსნური წრე მევლება, შიგ მიხდება ტრიალი,
ოჰ, უშენოდ, ჩემო მარო, დავრჩი ობოლ-ტიალი!..
არც სიცოცხლის, არც სიკვდილის ალარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით,
საქართველო გაიყლინთა მაყაშვილთა გოდებით...
დავილალე, დავიჩაგრე და შენი ვარ მხმობელი,
სამშობლო თუ შენ - რომელი, ახ, ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლთა მშრობელი!
მაგრამ არა! წამიერი სისუსტეა: შემინდე!
მაროს მამა ლაჩარივით როგორ უნდა შევშინდე?!
რომ ილვიძებ, შვილო, ჩემში, მფეთქლავ ალად ვიგზნები,
შენ ღირსი ხარ ჩემი და მეც შენი ღირსი ვიქნები!



შემომხედე, მუხასავით ვდგავარ, მაგრად, წყნარადა!
სადარაჯოს არა ვსტოვებ, ავდარს ვაგდებ არადა!
და თუ ბედმა წამაქცია, მეხით, ცეცხლის მკვესავით,
წავიქცევი რაინდულად, უდრეკელი შენსავით!

**გაზეთი „პოეზიის დღე", 1922 წ.**

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** მსოფლიო ჩემპიონები (გუნდური) მხატვრულ ტანვარჯიშში არიან **ირინე გაბაშვილი** და **ლალი დოლიძე**. ეს ტიტული მათ 1979 წელს მოიპოვეს.

**პირველმა** სსრ კავშირის ჩემპიონატში საქართველოს ძალოსნებიდან გაიმარჯვა **მოისეი კასიანიკმა** 1936 წელს. მანვე 10 წლის შემდეგ, 1946 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**პირველად** ძალოსნობაში ოფიციალური შეჯიბრება საქართველოში გაიმართა 1926 წელს თბილისში. ეს იყო დედაქალაქის პირველი ჩემპიონატი. რესპუბლიკის პირველი ჩემპიონატი კი მომდევნო წელს ჩატარდა.

## იყო ასეთი შემთხვევა

## გონიერი მანქანა

1981 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის სტუდენტებმა **ემზარ ნიქაბაძემ, უჩა მოდებაძემ** და **ზურაბ ჭეიშვილმა** მეცნიერ-მუშაკების **ალეკო ცინცაძის** და **მალხაზ ფერაძის** ხელმძღვანელობით შეადგინეს მოდელი, რომლის მიხედვით მანქანამ ფეხბურთში 1981 წლის საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" 30 მატჩიდან სწორად გამოიცნო 17 მატჩის შედეგი. ლაპარაკია მხოლოდ მოპოვებულ ქულებზე.

## თარიღი 24 თებერვალი - 2 მარტი

**24.02.1907 წ.** ქ. თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა საფეხბურთო კლუბ „კომეტას" წესდება;
**24.02.1968 წ.** დაიბადა **ელვირა ურუსოვა**-მძლეოსანი
**24.02.1925 წ.** დაიბადა **ვასილ ილურიძე**-თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 1972 წელს.
**26.02.1997 წ.** დაიბადა **ლექსო მოდებაძე**-თავ. ჭიდაობა
**27.02.1978 წ.** დაიბადა **კახა კალაძე**-ფეხბურთი.
**28.02.1950 წ.** დაიბადა **ჯემალ მეგრელიშვილი**-ბ/რ ჭიდაობა.
**28.02.1918 წ.** დაიბადა **აკაკი მეიფარიანი**-ფარიკაობა. გარდაიცვალა 1996 წელს.
**28.02.1997 წ.** დაფუძნდა საქართველოს სოფლად სპორტის ალორძინების ეროვნული ასოციაცია.
**28.02.1971 წ.** დაიბადა **დავით ხახალეიშვილი**-ძიუდო.
**29.02.1991 წ.** დაფუძნდა ფრენბურთის ეროვნული ასოციაცია.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1 ვის ეკუთვნის ჩვენს წინაპრებზე ნათქვამი: „ეს იყო უმამაცესი ხალხი, ყოველთა შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონიათ თავისი ლაშქრობის დროს".**

ა — აგათია სქოლასტიკოსს
ბ — ქსენოფონტეს
გ — პროკოფი კესარიელს

**2. ვის დაანათლა ღვთაებრივმა ნათლიამ „გაქანებული ხარის სიჩქარე და სიმარდე დაქანებული ზვავისა, და თორმეტი ულელი ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი"?**

ა — ფარსმან ქველს
ბ — ვახტანგ გორგასალს
გ — ამირანს

**3. რომელ წელს გაიმართა ყინულის ჰოკეიში საქართველოს პირველი ჩემპიონატი და სად?**

ა — 1960 წელს თბილისში
ბ — 1961 წელს ბაკურიანში
გ — 1962 წელს ახალქალაქში

**4. ვინ არის საქართველოში ბეისბოლის ფუძემდებელი?**

ა — გიორგი პაიჭაძე
ბ — დავით ლოვთაძე
გ — გელა ჩიხრაძე

**5. რომელმა ქართველმა კინორეჟისორმა გადაიღო ფილმი „სიმაღლე" ქართველ ალპინისტებზე?**

ა — მერაბ კოკოჩაშვილმა
ბ — ლერი სიხარულიძემ
გ — ალექსანდრე ქლენტმა

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ა.

## ეს საინტერესოა

## საიდან მოდის ესტაფეტა



**ესტაფეტა** ფოსტალიონების გამოგონებაა. „ესტაფეტა" იტალიურად უზანგია, უფრო ზუსტად „უზანგუნა". ეს სიტყვა ფრანგმა ცხენოსანმა ფოსტალიონებმა გაითავისეს. ცხენებს გზაში ცვლიდნენ საგანგებო სადგურებზე, უზანგს კი არა. შეუცვლელმა უზანგმა წარმოშვა ესტაფეტის ცნება.

## ისტორიის თავფურცელი

**ამ დღეებში** შესრულდა 55 წლისთავი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს პირველი წარმომადგენლის მონაწილეობიდან. ეს იყო თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელი, ბაკურიანელი **კობა წაქაძე**, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიოში სპორტის ზამთრის სახეობების ისტორიაში. კობა 22 წლისა იყო, პირველად რომ გამოვიდა ზამთრის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ნაკრებში კორტინა დ„ამპეცოში 1956 წელს. (30-ე ადგილი), 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 1960 წელს სკვო-ველში მე-9 ადგილზე გავიდა, 1964-ში ინსბრუკში 27-ე იყო, 1972 წელს საპოროში კვლავ მე-9; ხოლო 90-მეტრიანი ტრამპლინიდან 35-ე. ოლიმპიადის ოთხგზის მონაწილემ ექვსგზის (1953, 56, 60, 62, 69, 72) მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა, გახდა ხალხთა სპარტაკიადის (1962) ჩემპიონი, სსრ კავშირის თასის სამგზის (1968, 70, 72) მფლობელი. არის სპორტის დამსახურებული ოსტატი. კ. წაქაძეს უწოდებდნენ „მფრინავ ტორპედოს", რადგან მან დაამკვიდრა „ფრენის" ორიგინალური სტილი.

ასაკის მიუხედავად კობა წაქაძე ბაკურიანში ახალგაზრდებს დღესაც უზიარებს თავის გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ მამის კვალს გაჰყვა **კახა წაქაძე**, რომელიც ასევე რამდენიმე ოლიმპიადის მონაწილეა. იყო იმ გუნდში, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოდან პირველად იასპარეზა ოლიმპიურ თამაშებში ლილეჰამერში 1994 წელს.



70-იანი წლები. კობა წაქაძე

## ვინ რა თქვა

**„სპორტი ისევე, როგორც კინო, თეატრი, პოეზია, ჩვენს სულიერ საზრდოს წარმოადგენს".**

**რეზო ჩხეიძე** კინორეჟისორი

## შეკითხვა ლელოს

**- დემოკრატიულ საქართველოს 1918-1921 წლებში ჰქონდა თუ არა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მცდელობა?**

**მალხაზ ჩუბინიძე**
თბილისი

**პასუხი:** დოკუმენტურად ეს არ დასტურდება, თუმცა უნდა ალვნიშნოთ, რომ თითქოს ჩაფიქრებული იყო თბილისში, საბურთალოზე 140 ათას მაყურებელზე სტადიონის აგება, რაც საქართველოს სპორტულ პოტენციალს გაზრდიდა და ოლიმპიური მოძრაობისკენაც გადადგამდა პრაქტიკულ ნაბიჯებს. საქართველოში სპორტული სულისკვეთება უკვე თვალსაჩინო იყო 1890-იანი წლებიდან მოყოლებული. 1912 წელს ჩვენი ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ უცხოეთში გამართულ შეჯიბრებებში, თბილისში კი 1918 წლიდან მასობრივი სპორტული ალლუმებიც იმართებოდა.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი; 4. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, რომელიც ირაკლი ლაბაძეს ჰყავს დამარცხებული; 8. თბილისის "დინამოს" საფეხბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი 2006-2008 წლებში; 9. ბორის პაიჭაძის თანაგუნდელი თბილისის "დინამოში"; 12. თბილისის "დინამოს" ვეტერანი კალათბურთელი ამირან...; 14. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი; 15. ბათუმის "დინამოს" პირველი თაობის ბერძენი ფეხბურთელი; 18. მორაგბეთა გუნდ "ლელოს" ფორვარდი; 21. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 22. "ბაიას" ფეხბურთელი; 23. ბურთის გადაცემა...; 24. კალათბურთის დაფა; 26. თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი; 28. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 29. ველოტრეკის მყარი საფრის მასა.

**შვეულად:** 1. თემურ ქეცბაიას ინგლისური კლუბი; 2. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ფრანგი მწვრთნელი; 3. ჩოგბურთელ აბჟანდაძის სახელი; 5. სსრ კავშირის საკალათბურთო ნაკრების ლეგენდარული მწვრთნელი; 6. ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც გაიმეორა არგონავტების მიერ გავლილი გზა; 7. ზამთრის VI ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 10. ლევან ყენიას გერმანული საფეხბურთო გუნდი; 11. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი; 13. მსოფლიოს ყველაზე მაღალი მწვერვალი; 16. ოჩამჩირის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 17. დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ქართველი მცველი; 19. მწვერვალი კავკასიონზე; 20. ლეგენდარული ქართველი ხელბურთელი ... ცერცვაძე; 24. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 25. ჯომარდობისთვის მიმზიდველი მდინარე დასავლეთ საქართველოში; 26. ქალაქი, რომლის საფეხბურთო კლუბს ევროპის თასების თასის ფინალი მოუგო თბილისის „დინამომ"; 27. მძლეოსნობის იარალი.

## ფოტომატიანე



სურათზე: საუბარი ფეხბურთსა და ხელოვნებაზე. მარცხნიდან: სოსო ლალიძე, გიორგი სალარაძე, ეროსი მანჯგალაძე, დავით ყიფიანი. ზურგით დგას კოტე მახარაძე.

ერთა თასი

# ოპტიმალური პირველი ხაზი, სახეცვლილი მესამე ხაზი და დებიუტანტი ბექა


ბექა ურჯუკაშვილი

საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩისთვის მზადებას ლისაბონში განაგრძობს. „ბორჯღალოსნები“, პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან მატჩის წინ „სტადიო უნივერსიტარიოზე“ დღეში ორჯერ ვარჯიშობენ.

უკვე ვწერდით, რომ ტრავმის გამო ეროვნულ ნაკრებს დააკლდა მესამეხაზელი **გია ლაბაძე** (ლა სეინი). მის ნაცვლად **რიჩი დიქსონმა** „კლერმონის“ ესპუართა გუნდში მოთამაშე **ვიქტორ კოლელიშვილს** უხმო.

ლისაბონში ჩვენი ნაკრების შოტლანდიელმა თავკაცმა 25 მორაგბე იახლა. ეროვნული გუნდის მენეჯერის **ვასილ აბაშიძის** ცნობით, „ლობუშებთან“ მატჩში ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ექნება ფულბეკ **ბექა ურჯუკაშვილს** (ფიჟაკი). გამოცდილი, ქუთაისის „აიას“ მოთამაშე მწვრთნელი, **ბესიკ ხამაშურიძე** განაცხადში ვერ მოხვდა. დიქსონმა სათადარიგოთა შორის გადაიყვანა მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი** (ფიჟაკი). ამ პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს **ლაშა მალაღურაძე** (ბეზიე).

თითქმის მთლიანად შეიცვალა მესამე ხაზი. ერთწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა **მამუკა გორგოძე** (მონპელიე). მის გარდა მესამე ხაზში ითამაშებენ **სიმონ მაისურაძე** (ვილერბანი) და **შალვა სუთიაშვილ** (მასი). **ვიქტორ კოლელიშვილი** და **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე) საათადარიგოთა შორის იქნებიან.

პირველ ხაზში კონკურენცია იმდენად დიდია, რომ ძნელი სათქმელია, რომელია ოპტიმალური შემადგენლობა. პორტუგალიასთან წამყვანი სამეული გამოცდილი და მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული: **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი) და **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი).

**საქართველოს ნაკრები: 15. ბექა ურჯუკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. სიმონ მაისურაძე, 7. შალვა სუთიაშვილი, 8. მამუკა გორგოძე.**

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. გოდერძი შველიძე, 18. გიორგი ჩხაიძე, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მერაბ კვირიკაშვილი

**ერთა თასი**

**III ტური, 26 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

**IV ტური, 12 მარტი**

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

**V ტური, 19 მარტი**

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +119 | 10 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | +9 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +2 | 5 |
| 4. ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -64 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

ექვსი ერი

# ენდი რობინსონმა შვიდი შეცვალა

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე, შოტლანდიის ეროვნული გუნდი ექვსი ერის გათამაშების მესამე ტურის მატჩში შინ ითამაშებს ირლანდიის ნაკრებთან.

„სკოტების“ თავკაცმა **ენდი რობინსონმა** გუნდი სანახევროდ გადაახალისა. მან მგეზავ **დენ პარქსის** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა **რუარიდ ჯექსონი** დააყენა. ვეტერან ფულბეკს **ჰუგო საუთვილს** შეცვლის **კრის პატერსონი**. შუამარბი **შონ ლამონტი** იქნება, რადგან **ჯო ანსბრო** ტრავმირებულია. მას **ნიკ დე ლუკა** შეუწყვილდება. ადგილები გაცვალეს მეორეხაზელებმა **რიჩი გრეიმ** და **ნათან ჰინესმა**.

*„ვიცით, რომ ირლანდიის ნაკრები ყველაფერს ილონებს წარმატების მისაღწევად. ძალიან ფრთხილად უნდა ვითამაშოთ და მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ განვლილ ორ მატჩში დაშვებული შეცდომები აღარ დავუშვათ“*, - თქვა ენდი რობინსონმა.

შოტლანდია: **15. კრის პატერსონი, 14. ნიკი ვოლკერი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. შონ ლამონტი, 11. მაქს ევანსი, 10. რუარიდ ჯექსონი, 9. მაიკ ბლერი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. მურეი ლოუ, 4. რიჩი გრეი, 5. ალისტერ კელოკი, 6. კელი ბრაუნი, 7. ჯონ ბარკლი, 8. ჯონი ბითი.**

**16. სკოტ ლაუსონი, 17. ჯოფ კროსი, 18. ნათან ჰინესი, 19. რიჩი ვერნონი, 20. რორი ლაუსონი, 21. დენ პარქსი, 22. საიმონ დენიელი.**

# ჰუკი შუამარბი იქნება

უელსის ნაკრები შაბათს, რომში იტალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ბრიტანელთა მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** ნაკრების ძირითადში, შუამარბად გაამწესა **ჯეიმზ ჰუკი**, რომელმაც ათიოდ დღის წინ შესანიშნავად ითამაშა სტუმრად „მერიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებთან. ეს მისი 50-ე კეპი იქნება უელსელთა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

ტრავმა მოიშუშა და კვლავ მგეზავის პოზიციაზე ითამაშებს **სტივენ ჯოუნზი.**

„რომში „ფლამინიოზე“ იტალიელები განსაკუთრებული მონდომებით იბრძვიან. ჩვენ რეალურად ვაფასებთ „სკუადრა აძურას“ ძალას და სათამაშოდ მორაგბეთა უძლიერესი კრებული მიგვყავს. კარგად ვაცნობიერებთ, რომ უმძიმესი მატჩი გველის და მოდუნება წამითაც არ შეიძლება“, - თქვა უორენ გეთლენდმა.

უელსი: **15. ლი ბირნი, 14. მორგან სტოდერტი, 13. ჯეიმზ ჰუკი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი, 10. სტივენ ჯოუნზი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. კრეიგ მიტჩელი, 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლეიდიტი, 7. სემ ვერბარტონი, 8. რაიან ჯოუნზი.**

**16. რიჩარდ ჰიბარი, 17. ჯონ იაპი, 18. ჯონათან თომასი, 19. ჯოშ თარნბული, 20. ტევის კნოლი, 21. რის პრისტლენდი, 22. ლეგ ჰალპფენი.**



ინტერვიუ დავით ვართანიანთან

# უმაღლესში, გადათამაშების გარეშე


არმაზი-აია, 2010 წელი

თბილისის „არმაზი“ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. გასული საუკუნის 90-იან წლებში გუნდი ჯერ „მგლების“ სახელით ასპარეზობდა, მერე კი 1997 წელს „არმაზი“ დაერქვა. ახალი გუნდის კვალობაზე, ცხადია, დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. არმაზელებმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ხუთი წლის წინ მოიპოვეს, თუმცა იმავე წელს უკან, პირველ ლიგაში დაბრუნდნენ.

2009 წლის სეზონი „არმაზმა“ დაუმარცხებლად განვლო და ისევ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა. მიუხედავად აურაცხელი პრობლემებისა, შარშან გუნდმა მაინც შეძლო უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება. წლევანდელი ჩემპიონატისთვის მზადებისა და მომავლის გეგმების შესახებ „არმაზის“ მწვრთნელმა **დავით ვართანიანმა** გვიამბო:

- სეზონისთვის მზადება 17 იანვრიდან დავიწყეთ. კვირაში სამი დღე გუნდი დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ფიზიკურ დატვირთვებს იღებს, დავრბივართ, ხანდახან ბურთით ვარჯიშსაც ვახერხებთ. სხვა დღეებს ძალოსნობის დარბაზში ვატარებთ.

**- რა ცვლილებებია წლეულს „არმაზში“, როგორ აისახა სატრანსფერო სეზონი გუნდის შემადგენლობაზე?**

- „არმაზი“ სამმა მორაგბემ დატოვა. გიორგი ცირეკიძე, ლაშა ლაბაძე და ნიკოლოზ ბერძული პირველი ლიგის გუნდში, თბილისის „ჯიქებში“ გადავიდნენ. სხვა კლუბებიდან არავინ დაგვიმატებია. შევსება ისევ ჩვენი კლუბის აღზრდილებით მოვახერხეთ. ჭაბუკთა A ლიგის გუნდიდან დავიმატეთ 19-წლამდელთა ნაკრების წევრები ვაჟა თვაური, ალეკო ხუციშვილი, რევაზ ჟღენტი და გიორგი მისრიაშვილი. ძალიან კარგი, პერსპექტიული ბიჭები არიან და იმედი გვაქვს, ჩვენს ნდობას გაამართლებენ.

**- შარშან „არმაზი“ ჩემპიონატში მე-7 ადგილს დასჯერდა. წლეულს რა დაუსახეთ მიზნად?**

- დიახ, შარშან მე-7 ადგილზე გავედით და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად გადათამაშებაში მოგვიწია თამაშმა. ამჯერად ჩვენი მიზანია, ისევ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძოლოთ, ოღონდ გადათამაშების გარეშე.

**- რატომ ასე მოკრძალებულად?**

- ფინანსურად ძალიან გვიჭირს. სპონსორი არ გვყავს. გუნდი სპორტის სამინისტროს მიერ დაწესებული პრემიითა და მეგობრების დახმარებით არსებობს. ასეთ პირობებში ძნელია, დიდ მიზნებზე იფიქრო.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „არმაზს“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბავშვთა გუნდები ჰყავს...**

- ბავშვთა გუნდები აბსოლუტურად ყველა ასაკში გვყავს. ამ კუთხით კლუბში მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უკეთაა დალაგებული. მიუხედავად ამისა, არის პოზიციები, მაგალითად, პირველი და მესამე ხაზი, სადაც სერიოზული პრობლემები გვაქვს. არ გვყავს სათანადო რაოდენობის კარგად განსწავლული მოთამაშეები. საკმარისია, ერთი მორაგბე დაგვიშავდეს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდებით.

**- როგორია კლუბის ინფრასტრუქტურა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „არმაზს“ ვაზისუბანში საკუთარი მოედანი აქვს...**

- მოედანი მართლაც გვაქვს. ახლა ვაპირებთ თბილისის მერიის დახმარებით გასახდელები მოვაწყოთ და თუ მოესწრო, საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს იქ ვუმასპინძლებთ. ამით ძალიან კარგი საქმე გაკეთდება. „არმაზი“ უბნის გუნდია და ჩვენი თანაუბნელების ქომაგობა ძალიან წაგვადგება.

# შოტლანდიელის ნაცვლად ტიტო

ამასობაში იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელი თავკაცი **ნიკ მალეტი** იძულებულია შოტლანდიური წარმოშობის ცხრა ნომერი **პაულ დერბიშირი**, რომელიც ტრავმირებულია, **ტიტო ტებალდით** შეცვალოს.

ტებალდი „ავირიონის“ წამყვანი მორაგბეა, თუმცა მალეტს მასთან პრეტენზიები შარშან ნოემბრის ტესტებზე სუსტი თამაშის გამო გაუჩნდა. მისი მთავარი პრობლემა ისაა, რომ გადაწყვეტილებებს ძალზე ნელა იღებს, რაც გუნდის შეტევას საგრძნობლად აფერხებს. გამოასწორა თუ არა ტებელდმა ეს ხარვეზი, „სკოტებთან“ მატჩში გამოჩნდება.

**იტალიის ნაკრები**

შერკინება: **რობერტ ბარბიერი, ვალერიო ბერნაბო, მარტინ კასტროჯოვანი, ლორენცო ჩიტადინი, კარლო დელ ფავა, სანტიაგო დელაპე, კარლო ფესტუჩა, ქუენტინ გელდენჰაუზი, ლეონარდო ჯილარდინი, ანდრეა ლო ჩიჩერო, სერჯო პარისე, სალვატორე პერუჯინი, ჯოშ სოლი, მანოა ვოსავაი, ალესანდრო ზანი.**

უკანა ხაზი: **ტომაზო ბენვენუტი, მირკო ბერგამასკო, კრისტოფერ ბარტონი, გონსალო კანალე, პაბლო კანავოზიო, გონსალო გარსია, ანდრეა მასი, ლუკ მაკლინი, ლუჩიანო ორკუერა, ფაბიო სემენცატო, ალბერტო სგარბი, ტიტო ტებალდი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ჩოგბურთი. დევისის თასი


ჩემპიონი ინდოეთით იწყებს

# შემადგენლობები ცნობილია

**4-6 მარტს სტარტს აიღებს დევისის თასის 2011 წლის გათამაშება. მოახლოებული მერვედფინალის წინ გუნდების კაპიტნებმა პირველი წრის მატჩებისთვის შემადგენლობები დაასახელეს.**

**სერბეთი-ინდოეთი**

(ნოვი სადი, ჰარდი)

**სერბეთი:** ნოვაკ ჯოკოვიჩი, ვიქტორ ტროიცკი, იანკო ტიპსარევიჩი, ნენად ზიმონჯიჩი.

**ინდოეთი:** სომდევ დევარმანი, როჰან ბოპანა, ლეანდერ პაესი, მაეშ ბჰუპატი.

**ჩეხეთი-ყაზახეთი**

(ოსტრავა, ჰარდი)

**ჩეხეთი:** ტომაშ ბერდიხი, რადეკ შტეპანი, იან ჰაიეკი, ირჟი ვესელი.

**ყაზახეთი:** ანდრეი გოლუბევი, მიხაილ კუკუშკინი, იური შჩუკინი, ევგენი კოროლიოვი.

**არგენტინა-რუმინეთი**

(ბუენოს აირესი, გრუნტი)

**არგენტინა:** დავიდ ნალბანდიანი, ხუან მონაკო, ხუან იგნასიო ჩელა, ედუარდო შვანკი.

**რუმინეთი:** ვიქტორ ჰანესკუ, ვიქტორ კრივოი, ადრიან უნგური, ჰორია ტეკაუ.

**ჩილე-აშშ**

(სანტიაგო, ჰარდი)

**ჩილე:** პოლ კაპდევილე, ხორხე აგილარი, ნიკოლას მასუ, გილერმო რივერა.

**აშშ:** ენდი როდიკი, ჯონ ისნერი, ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი.

**ბელგია-ესპანეთი**

(შარლერუა, ჰარდი)

**ბელგია:** ქსავიე მალისე, ოლივიე როხუსი, სტივ დარცისი, რუბენ ბემელმანსი.

**ესპანეთი:** რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო, ფელისიანო ლოპესი.

**ხორვატია-გერმანია**

(ზაგრები, ჰარდი)

**ხორვატია:** მარინ ჩილიჩი, ივან დოდიგი, ივო კარლოვიჩი, ანტონიო ვეიჩი.

**გერმანია:** ფილიპ კოლშრაიბერი, ფლორიან მაიერი, ფილიპ პეტცშნერი, კრისტოფერ კასი.

**ავსტრია-საფრანგეთი**

(ვენა, გრუნტი)

**ავსტრია:** იურგენ მელცერი, მარტინ ფიშერი, შტეფან კუბეკი, ჯულიან ნოული.

**საფრანგეთი:** ჟულიან ბენეტო, მიკაელ ლოდრა, რიშარ გასკე, ჟილ სიმონი.

**შვედეთი-რუსეთი**

(ბუროსი, ჰარდი)

**შვედეთი:** რობინ სიოდერლინგი, იოაჰიმ იოჰანსონი, რობერტ ლინსტედტი, სიმონ ასპელინი.

**რუსეთი:** თეიმურაზ გაბაშვილი, იგორ ანდრეევი, იგორ კუნიცინი. დმიტრი ტურსუნოვი.

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**კოლამბუსი-ნეშვილი 4:0**

**0:0, 0:0, 4:0**

**გოლები:** 1:0 ნეში-28 (ტიუტინი-18, ვერმეტი-19), 2:0 კალვერტი-6 (რასელი-11, ტიუტინი-19), 3:0 ვერმეტი-15 (რასელი-12, კლიტსომი-9), 4:0 ნეში-29 (ვერმეტი-20, ვორაჩეკი-28).

**ვანკუვერი-მონრეალი 2:3**

**0:2, 1:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 დეშარნე-6 (პუიო-12, გილი-6), 0:2 ჯონტა-22 (სუბანი-19, გომესი-23), 1:2 ჰ. სედინი-15 (სამუელსონი-25, კესლერი-24), 1:3 ა. კოსტიცინი-14 (ელერი-7, ვიშნიევსკი-33), 2:3 სამუელსონი-17 (ერჰოფი-27, დ. სედინი-46).

**სტ. ლუისი-კოლორადო 3:4**

**1:2, 1:0, 1:2**

**გოლები:** 0:1 დ. ჯონსი-20 (პ. შჩასტნი-29, ლაილსი-31), 0:2 ჰეიდუკი-18 (ლაილსი-32, პ. შჩასტნი-30), 1:2 ბერგლუნდი-16 (ოში-17, სტინი-28), 2:2 ს. სტიუარტი-16 (მატენკირკი-21, ბოიესი-28), 2:3 ე. ჯონსონი-6, 2:4 პ. შჩასტნი-18, 3:4 ენდი მაკდონალდი-14 (ნიკიტინი-3).

**კალგარი-ბოსტონი 1:3**

**0:1, 0:0, 1:2**

**გოლები:** 0:1 ლუჩიჩი-25 (კრეისი-35, მაკუეიდი-9), 0:2 მარჩანდი-19 (პ. ბერჟერონი-29, ფერენსი-11), 1:2 გლენკროსი-20 (იგინლა-33, ტანგეი-30), 1:3 ლუჩიჩი-26 (კრეისი-36, რეკი-31).

**ფილადელფია-ფინიქსი 2:3 (ო)**

**1:0, 0:0, 1:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 ლეინო-14 (მ. კარლი-25, ბრიერი-23), 1:1 ბელანჟე-9 (ბოდკერი-3, ფიდლერი-10), 1:2 პიატი-16 (ვრბატა-19), 2:2 ჟირუ-21 (ჯ. კარტერი-26, მ. რიჩარდსი-33), 2:3 დოუნი-13 (ვრბატა-20, იენდლი-43).

**დეტროიტი-სან ხოსე 3:4**

**0:1, 2:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯ. ტორნტონი-15 (პაველსკი-30, დ. ბოილი-31), 1:1 ქლირი-20 (ჰუდლერი-22, ლიდსტრიომი-36), 1:2 ქლოუ-17, 2:2 ქლირი-21 (ჰუდლერი-23, კრონვალი-19), 2:3 სეტოგუჩი-16 (ჯ. ტორნტონი-36, კუტური-16), 2:4 სეტოგუჩი-17 (ჯ. ტორნტონი-37, კუტური-17), 3:4 ზეტერბერგი-18 (ჰოლმსტრიომი-14, ფრანცენი-19).

**კაროლინა-რეინჯერსი 3:4 (ბ)**

**1:1, 0:1, 2:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 პრუსტი-9 (მ. ეივერი-20), 1:1 ჰარისონი-2 (სატერი-9), 1:2 კელეჰანი-16 (ცუკარელო-12, პროსპალი-2), 2:2 ი. იოკინენი-13 (მაკბეინი-18, კოული-19), 3:2 ი. იოკინენი-14 (ჰარისონი-6, კოული-20), 3:3 ვოლსკი-11 (მაკდონაჰი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ვოლსკი (რეინჯერსი).

**დალასი-ნიუ ჯერსი 0:1**

**0:0, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 პალმიერი-6 (კოვალჩუკი-21, ფეინი-7).

**ტორონტო-აილენდერსი 2:1**

**1:0, 0:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 მაკარტური-18 (კულემინი-21), 1:1 მოულსონი-27 (ენდრიუ მაკდონალდი-19), 2:1 კესელი-23.

**მინესოტა-ედმონტონი 4:1**

**0:0, 1:1, 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰავლატი-19 (ზენონი-4, სტუნერი-3), 1:1 ფოსტერი-4 (უმარკი-13, სემ განიე-24), 2:1 ბროძიაკი-13 (შულცი-13, ბუშარი-16), 3:1 სპარჯონი-1 (ჟიდლიცკი-17, ბუშარი-17), 4:1 ბუშარი-6 (კლატერბეკი-12, მადენი-10).

### ტურნირები

# ფავორიტები იგებენ

ამ კვირას მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირების მორიგი დღის მიმოხილვა დუბაით უნდა დავიწყოთ, რადგან აქ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პირველი მატჩები ჩაატარეს რეიტინგის პირველ სამეულში შემავალმა ჩოგბურთელებმა - **როჯერ ფედერერმა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**.

ფედერერმა, რომელიც მელბურნში ნახევარფინალურ ეტაპზე დამარცხდა, იოლ გამარჯვებას მიაღწია ინდოელ **სომდევ დევარმანთან** მატჩში. შვეიცარიელს 75 წუთი დასჭირდა შემდეგ წრეში გასასვლელად. როჯერის მეტოქეს ერთხელაც არ ჰქონია ბრეიკის აღების შანსი. შეგახსენებთ, რომ დუბაიში პირველ ნომრად განთესილ ფედერერს ეს ტურნირი ოთხჯერ აქვს მოგებული.

უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავდა შარშანდელ ჩემპიონ ნოვაკ ჯოკოვიჩს - ფრანგი **მიკაელ ლოდრა**. მაგრამ აქაც ყველაფერი ორ სეტში გადაწყდა. სერბს საქმე იმან გაუადვილა, რომ ლოდრამ ჯამში მხოლოდ ერთი ეისი ჩაანოდა, არადა, ეს ჩოგბურთელი ცნობილია ძლიერი და ზუსტი მოწოდებებით. ფრანგს სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა.

ჯოკოვიჩი დუბაიში ჰეთ-თრიკის შესრულებას შეეცდება - მან აქ ბოლო ორ სეზონში დაისაკუთრა მთავარი პრიზი. ნოვაკს საკუთარი სპორტული ფორმა აძლევს ოპტიმიზმის საფუძველს - ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონს მიმდინარე სეზონში ჯერ არც ერთი მატჩი არ აქვს წაგებული.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ფრანგმა **ჟილ სიმონმა**. აქამდე მას ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდა წაგებული რუს **მიხაელ იუჟნისთან** და სწორედ დუბაის ტურნირის პირველ წრეში გატეხა ნავსი. ამისთვის მას საათ-ნახევარი და რვა ეისი დასჭირდა. თუმცა ფრანგის თამაშში ერთი წუნი მაინც შეინიშნებოდა - პირველი მოწოდების სიზუსტე მხოლოდ 44 პროცენტს შეადგენდა.

დუბაის ტურნირს გამოეთიშა განთესილი კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**. მის მეტოქეს **ანდრეი გოლუბევს** იოლი მატჩი გამოუვიდა. ბაღდატისმა 25 წუთში ოთხი გეიმი წააგო და ტრავმის გამო უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.

გადავიდეთ დელრეი ბიჩში, სადაც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა - მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა, 22 წლის არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** კარიერაში 150-ე გამარჯვება იზეიმა. ეს ლიტველი **რიკარდას ბერანკისთან** მატჩში მოხდა, რომელშიც აშშ-ის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა ორ სეტში 6:4, 6:1 გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ დელ პოტრომ პროფესიონალის სტატუსი 2005 წელს მიიღო.

შარშანდელი სეზონის გამოტოვების შემდეგ, არგენტინელი წლის ბოლოს რეიტინგში 485-ე პოზიციამდე დაქვეითდა, მაგრამ ბოლო ორ კვირას სან ხოსესა და მემფისის ტურნირების ნახევარფინალში თამაშმა 166-ე ადგილი მოუტანა ATP-ის კლასიფიკაციაში.

■ ■ ■

რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ქალებს შორის პრემიერ კატეგორიის ტურნირში, რომელსაც კატარის დედაქალაქი დოჰა მასპინძლობს. რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** გასულ კვირას დუბაიში ფინალში გააღწია, მაგრამ ამ წარმატებას, როგორც ჩანს, დიდი ძალები შეალია და ამჯერად პირველივე წრეში თითქმის უბრძოლველად დამარცხდა ისრაელელ **შაარ პეერთან**. მატჩი 80 წუთი გაგრძელდა და რუსმა განსაკუთრებით წარუმატებლად მეორე მოწოდებისას ითამაშა. პეერი კი მატჩის ყველა მნიშვნელოვან მომენტში უშეცდომოდ მოქმედებდა და დამსახურებულად გავიდა მეორე წრეში.

მოულოდნელი იყო ტურნირის მეექვსე ნომრის, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** წაგება სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან**. ეს უკანასკნელი მაქსიმალურად მოტივირებული იყო და ცხრა ეისი ჩაუნოდა მეტოქეს.

ბელარუსი 78 პროცენტის სიზუსტით ასრულებდა პირველ მოწოდებას, მაგრამ ამას საჭირო ეფექტურობა არ მოჰყოლია. თანაც, კრიტიკულად დაბალი იყო მეორე მოწოდების შემდეგ მოგებული ქულების რაოდენობა. შესაბამისად, სლოვაკმა ზედიზედ მესამედ დაამარცხა მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულის წარმომადგენელი. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ჰანტუხოვამ სამწლინახევრიანი შესვენების შემდეგ პირველი ტიტული მოიგო (ტაილანდის ქალაქ პატაიაში).

ყველაზე იოლი გასეირნება გამოუვიდა **ელენა იანკოვიჩს**, რომელმაც ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დაამარცხა ომანელი **ფატმა ელ-ნაბანი**. მეხუთე ასეულის ჩოგბურთელმა, რომელმაც ამ ტურნირზე გამოსვლის უფლება უაილდ-ქარდის მეშვეობით მოიპოვა, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს.

**ATP**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 619 500 დოლარი

**ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 5:0, უარი; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ომარ ევედჰი (საემ) 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:3, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 4) 6:3, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:3, 6:3; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:1, 6:3; **ანდრეი გოლუბევი (ყაზ)**-მარკო ბაღდატისი (კვიპ, 7) 4:0 უარი; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 6) 6:1, 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:2, 6:0.

**Abierto Mexicano Telcel**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 995 000 დოლარი

**ალბერტ მონტანიესი (ესპ, 5)**-დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ) 6:2, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 6:2; **ხუან მონაკო (არგ, 7)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 7:5, 7:6; **ფაბიო ფონინი (იტა)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:3, 6:4; **პაბლო კუევასი (ურუ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 4)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:6, 3:6, 6:0; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 2) 6:2, 4:6, 6:3; **ედუარდო შვანკი (არგ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 8) 3:6, 6:5, უარი.

**International Tennis Championships**

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 442 5000 დოლარი

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-რიკარდას ბერანკისი (ლიტ) 6:4, 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 6)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:6, 7:6; **მარდი ფიში (აშშ, 2)**-ბიორნ ფაუ (გერ) 5:0, უარი; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-ბრიან დაბული (არგ) 6:2, 7:6.

**WTA**

**Qatar Ladies Open**

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**ფლავია პენეტა (იტა)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:2, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 8)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) 6:2, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-ფატმა ალ-ნაბანი (ომან) 6:1, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 6) 4:6, 6:1, 6:2.

**Abierto Mexicano Telcel**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**გრეტა არნი (უნგ, 3)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:4, 6:4; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 7)**-სანდრა ზახვალოვა (ჩეხ) 6:4, 6:1; **რენატა ვორაკოვა (ჩეხ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:4, 4:6, 6:4; **მატილდა იოჰანსონი (საფ)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ, 8) 6:2, 7:6; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-პოლინა ჰერხოგი (სლოვენ, 2) 6:3, 4:6, 6:3; **ლაურა პოუს ტიო (ესპ)**-სიმონა ჰალეპი (რუმ, 5) 6:3, 6:7, 6:3; **იუჰანა ლარსონი (შვედე)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1, 3:6, 6:0; ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)-კაროლინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:1.


როჯერ ფედერერი

### ფორმულა 1

# მერსედესი ყველაზე სწრაფია?

წინასასეზონო ტესტებზე ნაჩვენები შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, „მერსედეს გრან-პრის“ არ ჰყავს ჩემპიონატის მონაწილეებს შორის ყველაზე სწრაფი მანქანა, მაგრამ გერმანული გამოცემა Auto Motor und Sport ამტკიცებს, რომ სწორ მონაკვეთებზე მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით MGP W02 უკან იტოვებს სხვა გუნდების ბოლიდებს.



ბარსელონაში ორი დღის წინ დასრულებულ ტესტებზე ყველამ აღნიშნა „მერსედეს გრან-პრის“ პროგრესი. კომპანია „მერსედესის“ სპორტული განყოფილების შეფმა **ნორბერტ ჰაუგმა** განაცხადა, რომ მაქსიმალური სიჩქარე მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან 2011 წელს ტრასებზე არნახული ბრძოლაა მოსალოდნელი.

*„ბარსელონაში“ უფრო მეტი წრის გავლა მოვახერხეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთ გვესმის მანქანა და საბურავის მახასიათებლები. ეს კი შედეგზე აისახება,* - ამბობს ჰაუგი. - *თუ ყველაფერი სწორი მიმართულებით განვითარდა, ჩვენი გუნდი ბევრის გაკვირვებას შეძლებს“.*

გერმანული ჟურნალის ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ MGP W02-ის მაქსიმალური სიჩქარე საათში 316 კილომეტრს აღწევდა - ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ Renault R31 უტოლდება.

*„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ წელს სხვადასხვა გუნდის მანქანები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან შესაძლებლობების მხრივ, ამიტომაც მაქსიმალურმა სიჩქარემ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს“,* - ასკვნის „მერსედესის“ შეფი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მოგება კარმელოს გარეშეც შეიძლება


ბრძოლაშია პოლ პირსი

„ოლსტარით“ გამოწვეული არდადაგების შემდეგ განახლდა რეგულარული ჩემპიონატი და ფავორიტებმა იოლ გამარჯვებებს მიაღწიეს. მაგალითად, „ბოსტონმა“ სტუმრად გაანადგურა „გოლდენ სტეიტი“, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „კელტებმა“ Oracle Arena-ზე პირველად მოიგეს მას შემდეგ, რაც ამ გუნდში **გარნეტის, პირსისა** და **რეი ალენის** დიდი ტრიო შეიქმნა.

გარდა ამისა, ამ შეხვედრაში „ბოსტონს“ დაუბრუნდნენ **დელონტე უესტი** და **სემიჰ ერდენი**. მართალია, მათ ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ **დოკ რივერსი** ნელ-ნელა კრებს ოპტიმალურ შემადგენლობას. მალე გუნდს დაუბრუნდება **მარკიზ დენიელსი** და ერთ-ერთი **ო'ნილი** და „სელტიქსი“ სრულფასოვანი შემადგენლობით გააგრძელებს სეზონს.

„საკრამენტო კინგზმა“ სამი კვირით დაკარგა შარშანდელი სეზონის საუკეთესო დებიუტანტი **ტაირიკ ევანსი**, თუმცა მოედანზე რომც ყოფილიყო, რთული წარმოსადგენია, „მეფეებს“ დიდი წინააღმდეგობა გაეწიათ „მაიამისთვის“. **ლებრონ ჯეიმსმა** თავისი 31 ქულიდან 14 პირველ მეოთხედში დააგროვა და სწორედ ამ 12 წუთში გადაწყდა მატჩის ბედი - 35:16. ჯამში „მაიამის“ „დიდმა ტრიომ“ 76 ქულა მიითვალა, ფლორიდელებმა კი ბოლო 12 მატჩში მეთერთმეტედ მოიგეს.

„დენვერმა“ პირველი შეხვედრა ჩაატარა **კარმელო ენტონისა** და **ჩონსი ბილაპსის** გარეშე, გარდა ამისა, ნიუიორკელ ახალწვეულებსაც არ უთამაშიათ, მიუხედავად ამისა, „ნაგეტსმა“ რვა კაცის შემადგენლობით შინ „მემფისის“ დამარცხება შეძლო. თავის გასამართლებლად „დათვებს“ ის შეუძლიათ თქვან, რომ ტრავმირებული **რუდი გეის** გარეშე თამაშობდნენ.

თამაში მთლიანად „დენვერის“ კარნახით მიდიოდა. ენტონისა და ბილაპსის არყოფნაში ლიდერობა იტვირთეს **ჯეი არ სმიტმა, აარონ აფლალომ** და **ტაი ლოუსონმა**. მათი მონდომებით ბოლო მეოთხედის წინ „დენვერის“ უპირატესობა 26 ქულას შეადგენდა.

ტრიუმფალური არ ყოფილა მშობლიურ ოკლაჰომაში **ბლეიკ გრიფინის** დაბრუნება. ჩატენვების კონკურსის ახალმა გამარჯვებულმა „თანდერის“ წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა და ორი შედეგიანი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე: 28 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი. მაგრამ „კლიპერსში“ არ აღმოჩნდა ისეთი კალათბურთელი, რომელიც დებიუტანტს მხარს აუბამდა. „ოკლაჰომამ“ ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე გაანადგურა კალიფორნიული კლუბი - 111:88. მეორე მეოთხედში 15:0 გაქცევის წყალობით მასპინძლები 16 ქულით გავიდნენ წინ და შემდეგ ახლოს არ გაიკარეს მეტოქე.

„იუტას“ ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაშის შემდეგ პლეი ოფში მოხვედრის მცირე შანსი მიიღო „ჰიუსტონმა“, თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ „რაკეტები“ ყოველთვის სეზონის მეორე ნაწილში უმატებენ თამაშს. ასე რომ, ტეხასელები სანუკვარი მერვე ადგილისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. გუშინ **რიკ ადელმანის** გუნდმა სტუმრად დაამარცხა „დეტროიტ პისტონზი“.

„როკეტსმა“ პირველი მეოთხედი აშკარად ჩააგდო და მეტოქეს გაქცევის საშუალება მისცა, მაგრამ მეორე მეოთხედიდან მოყოლებული მთლიანად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას. ბრწყინვალედ ითამაშეს იმ საღამოს სტუმრების სათადარიგო კალათბურთელებმა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ **პატრიკ პატერსონი**, ვინც 21 წუთი დაყო მოედანზე და 20 ქულის დაგროვება მოასწრო. გულხელდაკრეფილი არც „დეტროიტი“ ყოფილა, რომელმაც მატჩის ბოლოს **სტაკისა** და **ბინუმის** დუეტის წყალობით გაქცევა მოახერხა და საფინალო სირენამდე დაახლოებით სამი წუთით ადრე მიჩიგანელები წინ გავიდნენ. მიუხედავად ამისა, ადელმანმა გადამწყვეტ მომენტში შეძლო თავისი შეგირდებისთვის საჭირო სიტყვების მონახვა და მატჩის დასკვნით წუთებში „რაკეტებს“ თითქმის არ აუცილებიათ ბურთი. ასე რომ, „ჰიუსტონი“ ჯერ ისევ თამაშშია...

**ვაშინგტონი-ინდიანა 96:113**

30:25, 19:33, 19:32, 28:23

ვ: ბლეტჩი (21+5 მოხსნა+5 პასი), იანგი (16+5 მოხსნა), უოლი (15+10 პასი+8 მოხსნა), ჰოვარდი (14+5 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (21+10 მოხსნა), ჰენსბრო (17+5 მოხსნა), ჰიბერტი (16+6 მოხსნა), ჯორჯი (11+9 მოხსნა), კოლისონი (11+6 პასი+5 მოხსნა).

**შარლოტი-ტორონტო 114:101**

33:27, 28:17, 28:25, 25:32

შ: ოგუსტინი (23+8 პასი), უოლასი (20+6 მოხსნა), დიაო (16+9 პასი), ჰენდერსონი (15+6 მოხსნა), ჯექსონი (13+5 პასი), მუჰამედი (8+14 მოხსნა).

ტ: უიმსი (19), ბარნიანი (18+8 მოხსნა), დეროზანი (14), ბეილესი (11+10 პასი+5 მოხსნა), აჯინკა (10).

**დეტროიტი-ჰიუსტონი 100:108**

28:20, 23:31, 24:27, 25:30

დ: ბინუმი (21+6 პასი), სტაკი (19), მონრო (12+12 მოხსნა), მაკგრეიდი (10+8 მოხსნა).

ჰ: პატერსონი (20+5 მოხსნა), მარტინი (16), ბადინგერი (10).

**მაიამი-საკრამენტო 117:97**

35:16, 28:28, 30:26, 24:27

მ: ჯეიმსი (31+8 მოხსნა), უეიდი (23+8 მოხსნა+7 პასი), ბოში (22+9 მოხსნა), ჩელმერსი (14), ჰაუსი (10).

ს: დალემბერი (18+13 მოხსნა), ტომპსონი (13+7 მოხსნა), ტეილორი (13), კასპი (10).

**მილუოკი-მინესოტა 94:88**

26:23, 18:21, 23:23, 27:21

მილ: ჯენინგსი (27+7 პასი), მაგეტი (20+6 მოხსნა), დელფინო (13+9 მოხსნა), სალმონსი (12+5 პასი), ბროკმანი (4+14 მოხსნა).

მინ: ბიზლი (21), ლავი (20+17 მოხსნა+6 პასი), ჯონსონი (14+8 მოხსნა), რიდნური (12).

**ოკლაჰომა-კლიპერსი 111:88**

23:23, 39:23, 16:21, 33:21

ო: გრინი (22), დურანტი (21+8 მოხსნა), ჰარდენი (19), უესტბრუკი (13+7 პასი), იბაკა (6+10 მოხსნა).

კ: გრიფინი (28+11 მოხსნა+8 პასი), ბლედსოუ (13), ფოიე (12), ამინუ (12).

**დენვერი-მემფისი 120:107**

32:23, 29:19, 41:34, 18:31

დ: სმიტი (26+8 მოხსნა+5 პასი), ლოუსონი (21+7 პასი+6 ჩაჭრა+5 მოხსნა), აფლალო (21+5 მოხსნა+5 პასი), ნენე (15+6 მოხსნა), ანდერსენი (15+5 მოხსნა), ფორბსი (10).

მ: ალენი (26+8 მოხსნა), მაიო (21), რენდოლფი (12+8 მოხსნა), იანგი (10+7 მოხსნა), გასოლი (10), კონლი (10).

**გ. სტეიტი-ბოსტონი 93:115**

30:31, 30:29, 18:28, 15:27

გ-ს: რაიტი (19+6 მოხსნა), კარი (18), ლი (17+5 მოხსნა), ელისი (15).

ბ: გარნეტი (24+12 მოხსნა+6 პასი), პირსი (23+5 პასი), რონდო (19+15 პასი+6 მოხსნა), ალენი (18+6 მოხსნა), დევისი (12+10 მოხსნა).

**ლეიკერსი-ატლანტა 104:80**

28:15, 26:18, 26:21, 24:26

ლ: ბრაიანტი (20+5 პასი), ბრაუნი (15), გასოლი (14+10 მოხსნა), არტესტი (11), ფიშერი (10), ბინუმი (5+15 მოხსნა).

ა: ჯონსონი (14), ჰორფორდი (13+6 მოხსნა), კროუფორდი (12).

# ახალი ქორები

როგორც მოსალოდნელი იყო, **კარმელო ენტონის** „ნიუ იორკში“ გადასვლამ NBA-ის პრაქტიკულად ყველა გუნდს ხელ-ფეხი გაუხსნა და მათ შემადგენლობის გაძლიერებაზე დაიწყეს ზრუნვა. ტრეიდების აკრძალვამდე მხოლოდ ორი დღე დარჩა და შესაბამისად, ამერიკელი ჟურნალისტები მოვლენათა განვითარების უამრავ ვარიანტს გვთავაზობენ.

როგორც ირკვევა, „საკრამენტომ“ თითქმის გააფორმა გარიგება „ნიუ ორლეანთან“, რომლის მიხედვითაც **კარლ ლენდრი** „ჰორნეტსის“ შემადგენლობაში აღმოჩნდება, საპირისპირო მიმართულებით კი **მარკუს ტორნტონი** და **დევიდ ანდერსენი** გაემგზავრებიან.

თავის მხრივ, „ნიუ ჯერსის“ ერთ-ერთი ლიდერის **დევინ ჰარისის** გაშვების დიდი სურვილი აქვს. ESPN-ის ინფორმაციით, მას ან „დალასში“ გაცვლიან **კერონ ბატლერზე** ან „პორტლენდში“ გაუშვებენ.

ენტონის ტრეიდის გარდა, კიდევ ერთი მსხვილი გარიგებაა მოსალოდნელი. „მემფისმა“ ნიადაგი მოსინჯა და ახლა მზად არის „ორლანდოსთან“ მოლაპარაკებებისთვის. „დათვებს“ სურთ „მეჯიქს“ მისცენ **ზაკ რენდოლფი**, სანაცვლოდ კი **ბრენდონ ბასი** და **ჯეისონ რიჩარდსონი** მიიღონ.

„მაიამი ჰიტი“ ცდილობს, რომელიმე კლუბს **მაიკ მილერი** შეაძლიოს. „ჰიტის“ ხელმძღვანელობას მის სანაცვლოდ ცენტრის ან გამთამაშებლის აყვანა სურთ. სწორედ ეს ორი პოზიციაა პრობლემატური ფლორიდელთა რიგებში.

„გოლდენ სტეიტმა“ თითქმის შეიძინა „ნიუ ჯერსიდან“ ტრոი მერფი. კალიფორნიული კლუბი „ნეტსს“ დენ გაძურიჩსა და ახალგაზრდა ბრენდან რაიტს მისცემს. ამასთან, „მეომრები“ არ აპირებენ მერფის შენარჩუნებას და ამ კალათბურთელის კონტრაქტს გამოისყიდიან, რის შემდეგაც 30 წლის ფორვარდი თავისუფალი აგენტი გახდება. მერფის პიროვნებით დაინტერესებულნი არიან „ორლანდო“, „დალასი“, „მაიამი“ და „ბოსტონი“.


რენდოლფს ორლანდოში უშვებენ?

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| ინტერი-ბაიერნი | 0:1 |
| მარსელი-მანჩესტერ იუნ. | 0:0 |
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/16 ფინალი. II მატჩი** | |
| პორტუ-სევილია | 0:1 (2:1) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მიალბიუ-ნორდსილანდი | 1:0 |
| აიკ-ვასალუნდსი | 4:1 |
| სტრიომსგოდსეტი-კარტახენა | 2:2 |
| **ინგლისი** | |
| არსენალი-სტოკი | 1:0 |
| **იტალია** | |
| ბოლონია-რომა | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰალეშერი-ჰერტა A | 1:1 |
| ჰაველსე-ვოლფსბურგი A | 1:1 |
| ხემნიცი-პლაუენი | 2:1 |
| ბრაუნშვაიგი A-ვილჰელმშავენი | 0:0 |
| თურქიემი-ლაიპციგი | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| კასელი-ფიურტი A | გადაიდო |
| ნიურნბერგი A-ზონენჰოფი | 2:1 |
| **ბელგია** | |
| სტ. ტრუიდენი-მეხელენი | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| მოზერველი-სტ. მირენი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეირი-ისტ ფაიფი | 0:4 |
| **III დივიზიონი** | |
| არბროა-ელჯინი | 2:0 |
| სტრანრარი-ისტ სტირლინგი | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ვაასა-ოულუ | 2:3 |
| როვანიემი-ტამპერე | 1:1 |
| [illegible] | |
| ელ ვიხია-მინეროსი | 1:3 |
| იარაკუიანოსი-კარონი | 0:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| პანათინაიკოსი-ლ. რიტასი | 67:68 |
| ოლიმპია-რომა | 76:87 |
| **გერმანია** | |
| ბაიროიტი-მიტელდოიჩე | 74:78 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ატლანტი-სევერსტალი | 2:3 (ო) |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 1:2 (ო) |
| ლოკომოტივი-დინამო (მნ) | 7:4 |
| სკა-სპარტაკი | 4:3 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-პლზენი | 4:2 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 4:3 (ბ) |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. დუბაი** | |
| გასკე-ბუბკა | 6:2, 7:5 |
| გოლუბევი-ფ. მაიერი | 3:6, 4:6 |
| სტახოვსკი-გულბისი | 6:3, 5:7, 6:1 |
| კოლშრაიბერი-პეტცშნერი | 0:6, 6:4, 2:6 |
| დავიდენკო-ბერდიხი | 3:6, 6:7 |
| სიმონი-როსოლი | 6:2, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ფ. ლოპესი | 6:3, 2:6, 6:4 |
| ფედერერი-გრანოლერსი | 6:3, 6:4 |
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| მანარინო-ლ. მაიერი | 1:6, 7:6, 6:4 |
| კუერი-სვიტინგი | 6:7, 4:6 |
| დოდიგი-სელა | 2:6, 6:3, 6:2 |
| **WTA. დოჰა** | |
| სკიავონე-პენგი | 5:7, 3:6 |
| პეერი-ბარტოლი | 1:6, 0:6 |
| ჰანტუხოვა-დუშევინა | 4:6, 6:2, 6:4 |
| ნა ლი-ზაკოპალოვა | 2:6, 1:6 |
| პენეტა-საფაროვა | 4:6, 6:3, 6:4 |
| იანკოვიჩი-მირზა | 6:0, 6:1 |
| ვოზნიაცკი-პეტროვა | 6:3, 6:2 |
| ზვორანევა-ციბულკოვა | 6:1, 6:2 |
| **WTA. აკაპულკო** | |
| კირსტეა-პოუს ტიო | 2:6, 2:6 |
| დულკო-სოლერი | 6:1, 6:1 |

TV პროგრამა

**24 თებერვალი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

21:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. სპარტაკი-ბაზელი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. შტუტგარტი-ბენფიკა (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

21:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-სპარტა (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტვენტე-რუბინი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

21:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ეინდჰოვენი-ლილი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. პსჟ-ბატე (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

21:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. სპორტინგი-რეინჯერსი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ სიტი-არისი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

22:55 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. მაკაბი-ბარსელონა (LIVE).

**SPORT+**

18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. უნივერსიტეტი-ფლენსბურგი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-იანგ ბოიზი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვილიარეალი-ნაპოლი (LIVE).

**EUROSPORT**

16:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ქალები, კაცები. კვალიფიკაცია. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
17:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ქალები, კაცები. ფინალი. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).

**EUROSPORT-2**

15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).

ამბები

ველოსპორტი

## ალბერტოს საქმე არ დამთავრებულა

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ხელმძღვანელმა **დევიდ ჰოუმენმა** განაცხადა, რომ ტურ დე ფრანსის ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** საქმე ჯერ დახურული არ არის.

„კონტადორის საქმე ჯერ არ დასრულებულა. მოდით მოვიცადოთ და დავაკვირდეთ მოვლენათა განვითარებას. აპელაცია შეიძლება შეიტანოს ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა ან ჩვენმა ორგანიზაციამ. შეიძლება ეს ერთდროულად გავაკეთოთ“, - ამბობს ჰოუმენი სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ გაამართლა კონტადორი, არადა, თავდაპირველად მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამ მომენტისთვის ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი ესპანური მხარისგან დოკუმენტებს ელოდება და შემდეგ 30 დღის განმავლობაში მიიღებს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში აპელაციის შეტანის გადაწყვეტილებას.

ფორმულა 1

## კუბიცამ აღდგენა დაიწყო

„ლოტუს-რენოს“ პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** ხანგრძლივი აღდგენითი პროცესი დაიწყო, რომელიც შეიძლება ერთ წელიწადს გაგრძელდეს. რალიში ავარიის შემდეგ კუბიცამ იტალიის საავადმყოფოში სამი ოპერაცია გადაიტანა და რამდენიმე დღის წინ დატოვა ინტენსიური თერაპიის პალატა. ახლა მას აღარ ესაჭიროება მუდმივი ზედამხედველობა.

პოლონელმა უკვე დაიწყო ტრავმირებულ ხელზე ვარჯიშები. ექიმების თქმით, საერთო ჯამში კუბიცას ორგანიზმში დადებითი დინამიკა შეიმჩნევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 ყველაზე პერსპექტიული

**პრესტიჟულმა** ფრანგულმა გამოცემა „ფრანს ფუტბოლმა" გამოაქვეყნა 20 ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის სია, რომლებმაც შეიძლება სამოთხ წელიწადში სერიოზული სიტყვა თქვან მსოფლიო ფეხბურთში. დღეს ამ სიაში მე-11-20 ადგილებზე მყოფ მოთამაშეებს გაგაცნობთ, ხვალ კი ათი საუკეთესოს ჩამონათვალს შემოგთავაზებთ.

## 20. ვაცლავ კადლეცი

***გუნდი:*** *„სპარტა"*
***ნაკრები:*** *ჩეხეთი*
***ამპლუა:*** *შემტევი ნახევარმცველი/თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *20.05.1992*
***პროტოტიპი:*** *ტომაშ როსიცკი*

„ბოჰემიანსის" აღზრდილი ნახევარმცველი ჩეხეთში მთავარ ტალანტად მიიჩნევა იმათგან, ვინც ქვეყანაში კომუნიზმის დაცემის შემდეგ დაიბადა. საფეხბურთო გამოცდები **კადლეცმა** ექსტერნად ჩააბარა: 15 წლის ასაკში ქასთინგი გაიარა „ლივერპულში" და პირველივე თამაშში ჰეთ-თრიკი შეასრულა, 16 წლისამ პირველად გამოიჩინა თავი ჩეხეთის ტოპ-ლიგაში, 18 წლისას კი დებიუტი ჰქონდა ქვეყნის პირველ ნაკრებში, არადა, იუნიორთა დონეზე ნესიერად თამაში დამთავრებული არ ჰქონდა და ახალგაზრდული საერთოდ გამოტოვა. 2008 წლის ზაფხულში „სპარტამ" მოზარდის სანაცვლოდ 10 მილიონი კრონი გადაიხადა. ახლა ასეთი თანხა კადლეცის აგენტ **პაველ პაშკეს** საკომისიოს დაფარავს მისი კლიენტის „ჩელსიში" ან „არსენალში" გადასვლის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ფეხი მარჯვენა აქვს, ძირითადად მარცხენა ფლანგზე თამაშობს ან უკან დახეული ფორვარდის როლში გვევლინება.

## 19. ალექსანდრ დრაგოვიჩი

***გუნდი:*** *„ბაზელი"*
***ნაკრები:*** *ავსტრია*
***ამპლუა:*** *ცენტრალური მცველი*
***დაბადების თარიღი:*** *06.03.1991*
***პროტოტიპი:*** *სებასტიან პრიოდლი*

ზომიერად ხისტი და ფიზიკურად ძლიერი ცენტრალური მცველი სამი წელი პასუხისმგებელი იყო „აუსტრიას" დაცვის ცენტრზე, გარდა ამისა, მეორე წელია რეგულარულად იწვევენ ეროვნულ ნაკრებში. ვენელი ვუნდერკინდი - ავსტრიელი ტალანტების ახალი ტალღის (**არნაუტოვიჩი**, **ალაბა**, **პრიოდლი**, **ჰარნიკი**) ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ავსტრიის ბუნდესლიგაში მოსაწყენად **დრაგოვიჩს** მაქსიმუმ ნახევარი წელი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ზაფხულში კონტრაქტის დასრულებას არ დაელოდა და შვეიცარიის „ბაზელში" გადაბარგდა, თუმცა მის გადაბირებას „აიაქსი", „ტვენტე" და „უდინეზეც" აპირებდნენ.

## 18. კევინ დე ბრუინე

***გუნდი:*** *„გენკი"*
***ნაკრები:*** *ბელგია*
***ამპლუა:*** *მარცხენა ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *16.08.1991*
***პროტოტიპი:*** *არიენ რობენი*

ბელგიური საფეხბურთო მოდის ახალი ბრენდი, „ჟუპილერ ლიგის" ყველაზე იმედისმომცემი ნახევარმცველი და „გენკის" შეტევითი იდეების გენერატორი. ოპონენტები უმოწყალოდ ურტყამენ ფეხებში ზედმეტად „თავხედური" დრიბლინგისთვის, მშობლები ემუდარებიან სწავლის გაგრძელებას, ხოლო მწვრთნელი **ფრენკი ვერკოტერენი** ურჩევს მეტი იმუშაოს დაცვაში და ნაკლები იწუწუნოს არასაყვარელ პოზიციაზე თამაშის გამო. თუ ზაფხულში **კევინის** პიროვნებით მხოლოდ „ტვენტე" ინტერესდებოდა, ახლა მასზე გაცილებით მდიდარი კლუბები ნადირობენ. *„უკვე გამოგვიგზავნეს მოწვევა „სტემფორდ ბრიჯიდან" და ლონდონში გამგზავრებას ვაპირებთ"*, - ამბობდა იანვარში ფეხბურთელის აგენტი, მაგრამ ბელგიელს ზაფხულამდე მოცდა მოუწევს.

## 17. ანტუან გრიზმანი

***გუნდი:*** *„სოსიედადი"*
***ნაკრები:*** *საფრანგეთი*
***ამპლუა:*** *მარცხენა ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *21.03.1991*
***პროტოტიპი:*** *ფრანკ რიბერი*

ტექნიკური ბურგუნდიელი ბასკების ქვეყანაში ხუთი წელია ცხოვრობს. გასულ წელს **გრიზმანის** ექვსმა გოლმა ხელი შუეწყო „სოსიედადის" ტრიუმფს სეგუნდაში, ხოლო პრიმერაში პირველივე წარმატებებმა „ლიონისა" და „ლივერპულის" მხრიდან ინტერესი გამოიწვია. ლა ლიგაში სადებიუტო გოლი გრიზმანმა არაორდინალურად აღნიშნა - სარეკლამო ბარიერებს გადაახტა და მინდორთან დაყენებული მანქანის საჭეს მიუჯდა. ანტუანი წამყვან როლებზეა არა მარტო კლუბში, არამედ საფრანგეთის იუნიორთა ნაკრებში. გასულ ზაფხულს „სამფეროვნებმა" ევროპის 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი მოიგეს და გრიზმანი იმ ტურნირის ერთ-ერთი გმირი გახდა. ანტუანი ცაციაა, მაგრამ არაერთი გოლი აქვს გატანილი მარჯვენათი. სქემატურად ფლანგზეა გამწესებული, მაგრამ შეტევის მთელ ფრონტზე მოქმედებს.

## 16. ერიკ ლამელა

***გუნდი:*** *„რივერ პლეიტი"*
***ნაკრები:*** *არგენტინა*
***ამპლუა:*** *შემტევი ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *04.03.1992*
***პროტოტიპი:*** *პაბლო აიმარი*

2004 წლის ოქტომბერში „ბარსელონას" ხელმძღვანელობა მზად იყო კატალონიაში გადაეყვანა 12 წლის **ერიკის** მთელი ოჯახი, გაეფორმებინა მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი და გადაეხადა ყოველწლიურად 120 ათასი ევრო - იმდენად მოიხიბლა „ბარსელონა" იუნიორთა ერთ-ერთ ტურნირზე ლამელას თამაშით. ერიკის მშობლები თანახმანი იყვნენ, „რივერ პლეიტი" და არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია - წინააღმდეგი. მშობლიურ კლუბში დარჩენილი ლამელა გასული წლის შემოდგომაზე „რივერის" ძირითადი პლეიმეიკერი გახდა. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ **აიმარისა** და **ორტეგას** მემკვიდრე უახლოეს ზაფხულში „მილანში" გადავა - **არიედო ბრაიდა** უკვე ორი თვეა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს „რივერის" ხელმძღვანელობასთან.

## 15. კრისტიან ერიქსენი

***გუნდი:*** *„აიაქსი"*
***ნაკრები:*** *დანია*
***ამპლუა:*** *ცენტრალური ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *14.02.1992*
***პროტოტიპი:*** *მიკაელ ლაუდრუპი*

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ ჯერ კიდევ „ოდენსეს" სკოლაში თამაშისას მოხიბლა ევროპელი სკაუტები. „ჩელსისა" და „ბარსელონაში" სტაჟირების შემდეგ **კრისტიანმა** „აიაქსის" აკადემიას მიაშურა, ხოლო ერთი წლის წინ, უკვე დანიის საუკეთესო იუნიორის რანგში ამსტერდამული კლუბის ძირითადში მოხვდა. **მორტენ ოლსენმა** კრისტიანი სამხრეთ აფრიკაში წაიყვანა და შეცვლაზე ათამაშა ჰოლანდიისა და იაპონიის წინააღმდეგ. ერიქსენის საკლუბო კარიერა წარმატებით ვითარდება: თუ **მარტინ იოლი** კრისტიანს **ენოსა** და **დე ზეუვის** შემცვლელად მოიაზრებდა, **ფრანკ დე ბურმა** მთავარი მწვრთნელის პოსტზე თავის პირველივე მატჩში ძირითადში დააყენა დანიელი.

## 14. ტიაგო ალკანტარა

***გუნდი:*** *„ბარსელონა"*
***ნაკრები:*** *ესპანეთი*
***ამპლუა:*** *შემტევი ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *11.04.1991*
***პროტოტიპი:*** *მაზინიო*

**ტიაგო** იტალიის ქალაქ ბარიში დაიბადა, მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ლეჩესა და ფლორენციაში თამაშობდა, საფეხბურთო განათლების მიღება დაიწყო „ფლამენგოში", თუმცა მამამისი „ვასკოსა" და „პალმეირასში" გამოდიოდა. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეროვნულ დონეზე ტიაგომ ესპანეთი აირჩია და არა ბრაზილია, რომლის შემადგენლობაში მამამისმა **მაზინიომ** 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. შესანიშნავი დრიბლიორი და გამთამაშებელი ესპანეთში საბოლოოდ ხუთი წლის წინ გადავიდა და შარშან დებიუტი ჰქონდა **პეპ გვარდიოლას** გუნდში, თანაც პირველივე მატჩში გოლი გაიტანა. ინგლისური კლუბების სკაუტების თავიდან მოცილების შემდეგ „ბარსამ" იანვარში 2013 წლის ზაფხულამდე გააგრძელა კონტრაქტი.

## 13. ჯეკ როდუელი

***გუნდი:*** *„ევერტონი"*
***ნაკრები:*** *ინგლისი*
***ამპლუა:*** *საყრდენი ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *11.03.1991*
***პროტოტიპი:*** *პატრიკ ვიეირა*

ბავშვობიდან „ევერტონის" შეყვარების შემდეგ **ჯეკს** ბევრი არ უფიქრია - ლივერპულის რომელ საფეხბურთო სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. უკვე 16 წლის ასაკში დებიუტი ჰქონდა მშობლიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში, რითაც მის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ევროდებიუტანტი გახდა. ადრეულ ასაკში დაცვის ცენტრში თამაშისას **დევიდ მოიესს** ჯეკის საყრდენ ნახევარმცველად გამოყენების იდეა დაებადა - სწორედ ამ პოზიციაზე შეეძლო მას მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი ფიზიკური ძალა და ლიდერის თვისებები. გასული წლის მარტში „მანჩესტერ იუნაიტედმა" სცადა როდუელის 20 მილიონ ფუნტად შეძენა, რასაც „ევერტონმა" ახალი ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებით უპასუხა. მიმდინარე სეზონი როდუელისთვის ნაკლებად იღბლიანი აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ სექტემბერში მძიმე ტრავმა მიიღო. ექიმების დიაგნოზით ფეხბურთელი დეკემბრამდე ვერ დაბრუნდებოდა, მაგრამ ნოემბრის შუაში განაახლა თამაში.

## 12. ჰეონ-მინ სუნი

***გუნდი:*** *„ჰამბურგი"*
***ნაკრები:*** *ს. კორეა*
***ამპლუა:*** *თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *08.07.1992*
***პროტოტიპი:*** *ბუმ-კუნ ჩა*

**სუნი** 18 წლისაა, მაგრამ 14 წლის ბავშვი გეგონებათ, არადა, მას უკვე უწოდებენ მეორე **ბუმ-კუნ ჩას** ან სამხრეთკორეელ **გერდ მიულერს**. „ჰამბურგში" 2008 წლის ზაფხულში გადასვლის შემდეგ, სუნმა ორი წლის თავზე მიიღო სეზონებს შორის შესვენებისას ძირითად გუნდში თავის გამოჩენის შანსი. მაგალითად, აგვისტოში „ჩელსისთან" ამხანაგურ მატჩში სწორედ მისმა გოლმა მოაგებინა „ჰამბურგს". სულ კი ზაფხულში საწვრთნელ შეხვედრებში 9 გოლი გაიტანა. ფეხის ტრავმამ ოქტომბრამდე გადაწია მისი დებიუტი ძირითად გუნდში, მაგრამ დებიუტი შედგა და მერე როგორი: პირველივე მატჩში გოლი გაიტანა და როგორც აღმოჩნდა, „ჰამბურგის" შემადგენლობაში ასეთ ადრეულ ასაკში ბურთი არავის გაუტანია - დაემხო 40 წლის წინანდელი რეკორდი, რომელიც **მანფრედ კალცს** ეკუთვნოდა.

## 11. ანტე ვუკუშიჩი

***გუნდი:*** *„ჰაიდუკი"*
***ნაკრები:*** *ხორვატია*
***ამპლუა:*** *თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *04.06.1991*
***პროტოტიპი:*** *დავორ შუკერი*

ხორვატიის ლიგის საუკეთესო სნაიპერი სისწრაფით, მოხერხებულობითა და საგოლე ალღოთია დაჯილდოებული. უფრო ხშირად **ვუკუშიჩს** ერთი შეხება ჰყოფნის კარის ბადეში ბურთის გასაგზავნად. დრიბლინგი და თავით თამაში არ განეკუთვნება მის ძლიერ მხარეებს, გოლების უმრავლესობა მას პოზიციის კარგად შერჩევითა და კონტრშეტევაში მცველისგან გაქცევის უნარით აქვს გატანილი. როცა „ჰაიდუკის" მწვრთნელი **სტანკო პოკლეპოვიჩი** 4-2-3-1 სქემას ირჩევს, ვუკუშიჩი ერთ-ერთ ფლანგზე სათამაშოდ მიდის, მაგრამ უფრო ხშირად მაინც ცენტრალური ფორვარდის პოზიციაზე თამაშობს. ხორვატიის ჩემპიონატის პირველ წრეში მის ანგარიშზე 11 გოლია. ამბობენ, **არსენ ვენგერს** აქვს გამზადებული წინადადება „ჰაიდუკისთვის".

***(დასასრული შემდეგ ნომერში)***

**გია თვალაბეიშვილი**



ანტუან გრიზმანი



ლამელა ბავშვობაში



კევინ დე ბრუინე



ჯეკ როდუელი



ტიაგო ალკანტარა